



ახალი წესები ქართული კლუბებისთვის
პრესკონფერენცია ფიხბურთის ფედერაციაში 2



ლავა ჯაკობია მომდევნო ორ წელს პირსკლაში გაატარებს 2



თურქებმა ზაზა ზირაქაშვილს სპარაბისგებთან ნასულა შესთავაზეს 5

ლეინმა ახალი ფურცელი უნდა დაბვიწაროს



რაგბის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მალხაზ ჭიჭიშვილი: ჩვენ ჩვენი საქმი შევასრულეთ და გული არაფერზე გვწყდება. ავსტრალიელმა მომდევნო საფეხურზე უნდა აბვიწვანოს. მე, ჩავლიწვილი და ნარიგანაწვილი რაგბის აკადემიას ჩავიგარებთ

საწრანაწვილი დასრულებული მსოფლიო თასის გათამაშების შემდეგ, თითქოს პირი შეკრესო, თითქმის ყველა მონანილე გუნდის მწვრთნელი შეიცვალა. ცვლილებებია საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში. მარალია, ოფიციალურად ხელშეკრულება გაფორმებული არაა, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ნაკრებს ავსტრალიელი ტიმ ლეინი უთავკაცებს. რას ფიქრობს ყოველივე ამაზე და რა სამომავლო გეგმები აქვს ნაკრების ყოფილ მწვრთნელ მალხაზ ჭიჭიშვილს?

- ეროვნულ ნაკრებთან ოთხი წელი ვიმუშავე. ეს დრო ჩემთვის ყველა მიმართულებით ნაყოფიერი გამოდგა. როგორც მწვრთნელმა, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, გავიზარდე. ძალიან ბევრი რამ შემძინა მოთამაშებებთან სუფთა ადამიანურმა ურთიერთობებმა, რაც ფიქრობ ყველაფერი დანარჩენზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

- თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. თუმცა, მიუხედავად ამისა გუნდს დატოვება გინევთ...

- ახლა ნაკრებში ახალი ფურცელია დასანერი. სჯობს, ეს ახალმა ადამიანებმა გააკეთონ. ავსტრალიელი მწვრთნელი ტიმ ლეინი უდავოდ ჩვენზე ბევრად გამოცდილია, საკმაოდ დიდ გუნდებთან, მაღალ დონეზე უმუშავია და განსწავლელობასაც ვერ დაუნუნებ.



სალუქვაძის პირველი მარცხი ეროვნულზე

იტალიას ერთხელ სომ უნდა მოვუგოთ?

ინტარკვი
ლავა სალუქვაძისთან 3



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ძარბაზის ფეხბურთის წარმომადგენელი კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge

პრესკონფერენცია

გინდათ უაღლესი ლიგა და ევროფურნიკები? მისაღები ლიცენზირებას!

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია-პრეზენტაცია გაიმართა. მასმედიის წინაშე საკლუბო ლიცენზირების მენეჯერი ბაქარ ყორღანი, თანამემყენე ანა წერეთელთან ერთად წარდგა. ყორღანიამ ლიცენზირების შესახებ უფროსი მონონებელი და ფედერაციის აღმასკომის მიერ დამტკიცებული და ახლავსამოცემო სახელმძღვანელო წარმოადგინა. საუბრისას კი სპეციალურად დამონტაჟებულ მონიტორზე წიგნისა და ამავდროულად ლიცენზირების სისტემის მთავარი კომპონენტები წარმოგვიდგინა.

ლიცენზირება 1999 წლიდან იღებს სათავეს. საქართველოში კი პირველად 2002 წელს დაიწყო, თუმცა მაშინ მხოლოდ ევროტურნირებზე მოასპარევე გუნდებისთვის. ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეთათვის ლიცენზირების მოთხოვნები 2003-04 წლების სეზონში გაჩნდა. ბუნებრივად გაჩნდა მოთხოვნა ეს სისტემა ქართულ კანონმდებლობასთან და თავისებურებებთან შესაბამისობაში მოყვანილიყო და სახელმძღვანელოდ ქცეულიყო. ასეც მოხდა. უფრო ქართული სახელმძღვანელო, რომელიც გუშინ ბაქარ ყორღანიამ წარმოგვიდგინა, 2007 წლის 14 სექტემბერს დაამტკიცა.

დინამო, ზესტაფონი, ვიტ ჯორჯია, ბორჯომი, ოლიმპი, ამერი, მესხეთი, სიონი, მგლები, სპარტაკი, მერანი (თბილისი), ლოკომოტივი, დილა, ბათუმი, გავრა, მეშაქრე, კახეთი, მდაროელი, მერანი (მარტვილი), ტორპედო, კოლხეთი (ფოთი), კოლხეთი (ზობი).

გასაკვირია, მაგრამ ლიცენზირების სისტემაში არ არის ჩართული რამდენიმე გუნდი, რომელსაც პირველიდან უმაღლეს ლიგაში გადასვლის შანსი აქვს. მაგალითად ტყიბულის „მეშახტე“. არა და ჩართვა უკვე დაგვიანებულია. კლუბი, რომელიც ლიცენზირებას ვერ გაივლის მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში ვერ იასპარეზებს... თუ ამჟამად პირველ ლიგაში მოასპარევე გუნდი გადათამაშებაში მოხვდება და არ ექნება ლიცენზია, მაშინ მის ნაცვლად გადათამაშებაში მომდევნო ადგილზე მყოფი გუნდი იასპარეზებს. თუ პირველი ლიგაში ავტომატურად გადმოსვლულ გუნდსაც არ ექნება ლიცენზია, მაშინ მის ადგილსაც მომდევნო დაიკავებს. თუ ასეთი არცერთი არ აღმოჩნდა და უმაღლესი ლიგადან შედეგით გავარდნილ გუნდს ექნა ლიცენზია, მაშინ ის უმაღლესში ადგილს შეინარჩუნებს.

იგივე სისტემა იმუშავებს ევროტურნირებზეც. თუ გუნდი მოიპოვებს ევროტურნირზე სასპარეზო საგზურს და არ ექნება ლიცენზია, მაშინ მის ადგილს მომდევნო ადგილზე მყოფი კლუბი დაიკავებს.

ამასთან ევროტურნირებზე გასულ გუნდს აუცილებლად უნდა ჰქონდეს A კატეგორიის სერტიფიკატის მფლობელი მთავარი მწვრთნელი, ახალგაზრდულ გუნდებსა და კლუბში ახალგაზრდულ ფეხბურთის განვითარების პროგრამას კი B კატეგორიის სერტიფიკატის მწვრთნელი უნდა ხელმძღვანელობდეს. მომავალში უფრო მსგავს მოთხოვნებს ნაუყენებს ეროვნულ და 21-წლამდელო ნაკრებების მწვრთნელებსაც, - აღნიშნა ბაქარ ყორღანიამ.

ასე რომ თუ გინდათ უმაღლეს ლიგასა და ევროტურნირებზე სათამაშოდ დაბრკოლება არ შეგექმნათ, მიიღეთ ლიცენზია!

დავით ცაბაძე



ლამა ჯაკობია

ჯაკობია ორი წლითი პორსკლაში

საქართველოს ნაკრების ფორვარდმა, ლამა ჯაკობიამ ხარკოვის „მეტალისტ“ პოლტავის „ვორსკლაზე“ გაცვალა. უკრაინულმა სააგენტოებმა გუშინ გაავრცელეს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, 27 წლის ჯაკობიამ „ვორსკლასთან“ ორწლიანი ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

„მხარეები საკმაოდ სწრაფად შეთანხმდნენ და თანამშრომლობა გადამწყვეტს. კონტრაქტი ორწლიანია. უკვე რვა იანვარს, როდესაც ფეხბურთელებს შევებულება უმთავრდებათ, ლამა ახალ პარტნიორებს პოლტავაში შეუერთდება. მას კლუბის ხელმძღვანელობა დიდი იმედებს უკავშირებს, რადგან ყველასათვის ცნობილია, რომ

„ვორსკლას“ თავდასხმაში სერიოზულ პრობლემები გააჩნია. ენახოთ, როგორ გამოაწვინეს ის პოლტავაში თავს. ამაზე სერიოზული მსჯელობა მხოლოდ თურქეთში საკონტროლო შეხვედრების გამართვის შემდეგ შესაძლებელი.

ბოლოს ქართველი ლეგონერები პოლტავაში ათი წლის წინათ თამაშობდნენ. 1994-95 წლების სეზონში კავკასიური ქვეყნის ერთდროულად სამი წარმომადგენელი გამოდიოდა გუნდში - კახა სარტანიანი, გოჩა გოგობია და ანზორ კავთელაძე. თუმცა მათგან მხოლოდ გოგობია დაგვამახსოვრდა, რომელიც აუტიდან ბურთს ძალიან შორს ისროდა. სეზონის შემდეგ სამივემ და-

ტოვა გუნდი და კარიერა დაბალ ლიგებში გააგრძელეს.“ - იწყება „ვორსკლას“ ოფიციალური ვებ-გვერდი.

ლამას დამატებაზე ვორსკლას პრეზიდენტმა ოლეგ ბაბაევმაც ისაუბრა: „ვფიქრობ, ჯაკობია თავდასხმას მეტ სიმწვევეს შემატებს, როგორც მისი დონის თავდასხმელს შეეფერება. მე ამაში დარწმუნებული ვარ.“


ლამა ჯაკობიასთვის „ვორსკლა“ მეოთხე უკრაინული კლუბია. ის თავიდან ხარკოვის „მეტალისტში“ თამაშობდა, საიდანაც კიევის „არსენალში“ გაანათხოვეს, მერე ხარკოვში დაბრუნდა და ბოლოს პოლტავისკენ პერი-პერი.

მერაზ ბაგულაშვილი

კანკაპა საუკეთესოა

ინტერნეტ-საბაბანტო „გოლმა“ და ამავე სახელწოდების ჟურნალმა „გოლმა“ უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის შედეგები შეჯამებაში მონაწილეობა მკითხველებსა და ინტერნეტ-მომხმარებლებს შესთავაზეს.

ერთ-ერთი ნომინაციით პირველი წრის საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველი უნდა გამოვლინათ. გულმემატყვიერებმა პირველობა დონეცკის „შახტარის“ ნახევარმცველ ფერნანდინოს მიანიჭეს, მერე ადგილზე გავიდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ და უკრაინის ნაკრების წევრი ოლეგ შელავეი, მესამეზე კი ხარკოვის „მეტალისტის“ ფეხბურთელი ვალენტინ სლიუსარი.



ჯაბა კანკაპა

საუკეთესოებში საქართველოს ნაკრებისა და „დნეპრის“ საყრდენი ჯაბა კანკაპაც მოხვდა. მან 5 პროცენტით მეშვიდე ადგილი დაიკავა. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ჯაბას ტრავმის გამო, პირველი წრის ლამის ნახევარი გაუცდა, მეორე ნახევრის ნაწილი კი სათადარიგოთა სკამზე გაატარა, მეშვიდე ადგილი ცუდი მაჩვენებელი არ უნდა იყოს. გავითვალისწინებთ ისიც, რომ უკრაინელები ტრადიციულად ძლიერ საყრდენ ნახევარმცველებს ზრდიან, ქართველებს კი პირიქით, ამ პოზიციაში ყოველთვის გვიჭირდა. აქედან გამომდინარე, შედეგი კიდევ უფრო უკეთესია. ბოლოს მან ისე მოაწონა ოლეგ პროტასოვს თავი, რომ ძირითადიდან კონკურენტები ამოაგდო და ზემოთნახსენები შელავეი და ლეპა ერთმანეთს ცვლიდნენ, ქართველი კი სასტარტოში ხვდებოდა.

უკრაინული პრესა „დნეპრს“ ტალანტების სამჭედლოს უწოდებს და უკრაინული „სპორტ-ექსპრესი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პატარა ბიჭებში ჯაბა კანკაპას გამორჩეული ადგილი უკავია.

თუმცა ჯაბას პოტენციალიდან გამომდინარე, მას გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლია და იმედია, მეორე წრეში ასეც მოხდება და მას საუკეთესოდ დაასახელებენ.

ვიტ ჯორჯია

მზადაა დღეს იწყება



თბილისის „ვიტ ჯორჯია“ სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადებას დღეს დაიწყო. გუშინ გუნდის კრება გაიმართა და როგორც კლუბის პრესსამსახურისგან შევიტყვეთ, მეტწილად საშუალებით მოსამზადებელ პერიოდზე იყო საუბარი.

ვიტელები დღეიდან უბურთოდ ვარჯიშს შეუდგებიან, ახალი წლიდან კი ჩვეულებრივ ვარჯიშებზე გადავლენ. თებერვლის პირველ რიცხვებში კი „ვიტ ჯორჯია“ ანთალიაში გაემგზავნება.

ავრძელებს მზადებას, სადაც საერთაშორისო ოთხ საკონტროლო მატჩს გამართავს. ვიტჯორჯიელები თურქეთში თორმეტი დღით წავლენ. ამ დროისთვის ანთალიის აღმოსავლეთი ევროპის გუნდებია შემორჩებიან. ჯერ უცნობია, თუ ვის გაეჯობებიან ვიტელები.

„ვიტ ჯორჯიიდან“ ჯერჯერობით არავინ ნასულა. თავდასხმელი ნიკა გელაშვილი ამ გუნდის საკუთრება არ არის და ბელგიაში აპირებს წასვლას, თუმცა ჯერ „ვიტ ჯორჯიაშია“. უცხოეთში სურს კარიერის გაგრძელება ვიტელთა კაპიტან ლექსო კვასხაძესაც, თუმცა რეალური შემოთავაზება ჯერ არ აქვს.

დავით თაყაიშვილი



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინებთ კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge

ინტერვიუ ლაშა სალუქვაძესთან

იტალიას პრეტენდი სოფ უნდა მოვუბოთ?

რატომ დასწყვიტა გული სალუქვაძის ლიტვასთან წაბეზამ

ლაშა სალუქვაძემ „რუბინის“ რიგებში მორიგი სეზონი დაასრულა რუსულ პრემიერლიგაში. ჯერ კიდევ ზაფხულში „ლელოსთან“ საუბრისას მან აღნიშნა, რომ გერმანული „შტუტგარტი“ იყო მისი დანტერესებული. თუმცა მას მერე ლაშა ყაზბეგელთა გუნდში გააგრძელა ასპარეზობა და როგორც ჩანს ახალი სეზონიდანაც „რუბინში“ ითამაშებს.

ლაშას ყაზბეგელებთან ერთობლივი კონტრაქტი აკავშირებს. ახლა ის თბილისშია, ზამთრის შევებულებას სამშობლოში ატარებს.

- ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო „რუბინში“. ანთალიაში ერთკვირიანი შეკრება გვექონდა და იქიდან თბილისში დავბრუნდი. რამდენიმე დღით სამშობლოში ვიქნები, 5 იანვარს კი მორიგი შეკრება გვეწყება.

- ანთალიურ შეკრებაზე ნუკრი რევიშვილიც იყო?

- არა, რადგან იმ ავტოავარიის შემდეგ ნუკრის ვარჯიში ჯერ კიდევ არ შეიძლება. ის ახლა კარგადაა და ალბათ, იანვარში უკვე შეეძლება ვარჯიშის დაწყება.

- უკვე კარგა ხანია „რუბინში“ თამაშობ. კლუბის შეცვლას ხომ არ აპირებ?

- კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს. უახლოეს მომავალში სხვა გუნდში არ გადავალ და მერე ვნახოთ.

- კონტრაქტის გაგრძელება ხომ არ შემოგთავაზეს?

- კლუბის ხელმძღვანელობამ ამაზეც ჩამომიგდო სიტყვა. ხელშეკრულების გაგრძელებაზე უფრო აქტიური მუშაობა მაშინ მიდის, როცა ფეხბურთელს რთვანი საკონტრაქტო ვადა დარჩება. შესაბამისად ზაფხულში ამ საკითხზე უფრო აქტიური საუბრები იქნება.

- და როგორ იმუქმებდ, კონტრაქტს გააგრძელებ?

- დღეს ამაზე გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, ვნახოთ რა ვითარება იქნება ზაფხულში.

- რამდენიმე თვის წინ „შტუტგარტი“ იყო თქვენი დანტერესებული და ეს „ლელოსთან“ საუბარშიც არ დაგიმაღავთ...

- კი, მაგრამ ინტერესი ერთია და რეალური წინადადება, მეორე. ამ ინტერესს გაგრძელება აღარ მოჰყოლია. ალბათ, გერმანელებმა გაიგეს, რომ „რუბინთან“ არც თუ ხანმოკლე კონტრაქტი მქონდა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ყაზბეგის კონტრაქტის ბოლომდე ვითამაშო, ხელშეკრულება არ გაგაგრძელო და თავისუფალი აგენტის სტატუსით უკეთეს გუნდში გადავიდე. ისე კი, ყაზბეგის თვის კარგად ვგრძნობ, ამ ქალაქში უყვართ და პატივს სცემენ ქართველებს. ჩემი ოჯახიც შეეწვია ყაზბეს.



სალუქვაძის ამ დარტყმის შემდეგ ლიტველთა კარი ძელმა იხსნა

- ახალ სეზონში რას გეგმავ?

- მონინავე ოთხეულში ვვინდა მოხვდეთ და იმედი მაქვს ამას შევძლებთ კიდევ.

- „რუბინში“ კიდევ ხომ არ გამოჩნდება ქართველი?

- ვერაფერს გეტყვით. ამაზე ჯერჯერობით საუბარი არ ყოფილა.

- ხშირად აღნიშნავენ, რომ რუსეთის ჩემპიონატში ჩადებული დიდი ფინანსების მიუხედავად იქ ფეხბურთელი დიდ სტრატეგიულ და ტაქტიკურ განათლებას ვერ იღებს. ამაზე რას იტყვით?

- ვერ ვიტყვი, რომ ასეა. რუსეთის ჩემპიონატში მარლთა დიდი ფინანსებითაა ჩადებული. უცხოეთიდან ფეხბურთელებთან ერთად უკვე მაღალი კლასის მწვრთნელებიც ჩამოჰყავთ. შესაბამისად ფეხბურთელთა ტაქტიკურ სტრატეგიული მომზადებაც დღითიდღე მატულობს.

- კარგი, ახლა სანაკრებო თემებზე გა-

დავიდეთ. გასულ შესარჩევში ჩვენი ნაკრების ასპარეზობას როგორ შეაფასებდ?

- შეიძლებოდა უფრო მეტი ქულა მოგვეგროვებინა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ფეხბურთში გამართლებაც ბევრს ნიშნავს. რომ გაგვმართლებოდა უკრაინასთან მინიმუმ არ წავაგებდით. იგივეს თქმა შეიძლება შოტლანდიასთან და ლიტვასთან გასულით მატჩებში. ყველაზე მეტად კი ლიტვასთან საშინაო ნაგებამ დამწყობი გული და ამას თავისი მიზეზებიც აქვს...

- რა მიზეზებს გულისხმობ?

- თბილისის „დინამოში“ ასპარეზობიდან მოყოლებული, ეროვნულ სტადიონზე ნათამაშები არცერთი თამაში არ წამიგია. ჩემი პირადი ნაუგებელი სერია სწორედ ლიტვასთან ნაგებით შეწყდა. ამ თამაშშიც ბუდი არ გვწყალობდა, დანავსულებივით ვიყავით, ლიტველთა კარს კი თითქოსდა რაღაც ზებუნებრივი ძალა იცავდა. არადა, ერთი რომ გაგვეტანა, დარწმუნებული ვარ ლიტვას მოუვებდით. ლიტველთა მე-

კარე მოსკოვის „დინამოში“ ირიცხება, ხშირად არ უნეკს კლუბში თამაში, მაგრამ იმ შეხვედრაში საკმაოდ რთული ბურთები მოიგერია. ლიტველებმა სულ ორჯერ დარტყეს ჩვენს კარში და სამწუხაროდ ორივე გაიტანეს.

- მომავალ შესარჩევ ციკლში, ჩვენი ჯგუფის მეტოქეებზე რას იტყვით?

- ახლა უკეთეს ჯგუფში ვართ, ვიდრე წინა იყო. იტალიის გარდა შინ ყველა ნაკრების დამარცხება შეგვიძლია. უფრო მეტიც თუ ჯგუფიდან გასვლის პრეტენზია გვაქვს სტუმრად კვიპროსს უნდა მოვუგოთ. სხვა ნაკრებებთანაც შეგვიძლია სტუმრად ქულების აღება.

- იტალიაშიც?

- არა, ეს ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ იტალიას უკვე რ-ჯერ ვეთამაშეთ და ბოლო-ბოლო შინ ერთხელ ვერ უნდა მოვუგოთ?


- იტალიაში ვინცებთ და შინ იტალიით ვამთავრებთ, ასეთია სათამაშო კალენდრის ტომპილირისული ვარიანტი...

- ჩინებულია. იტალიაში პირველი თამაში თუ გვექნება სტუმრად შეიძლება ქულებზე ვიზრუნოთ. ბოლოს კი იტალიასთან შინ გამარჯვებაზე ფიქრი შეიძლება. იმ დროისათვის იტალიას შეიძლება განადგებულ იქნეს კი ჰქონდეს ჯგუფიდან გასვლა.

- კლას ტომპილირის ნაკრებში მუშაობას აგრძელებს. ჩვენს ეროვნულში მის მოღვაწეობას როგორ შეაფასებდ?

- მხოლოდ შედეგს თუ მივიღებთ მხედველობა, ამით თავს ვერ მოვიწონებთ. ტომპილირმა ბევრი გააკეთა, ახალი ფეხბურთელები გამოცადა, გუნდში კონკურენცია გაზარდა და ყველა პირობა შექმნა ძლიერი გუნდის ჩამოსაყალიბებლად. იმედი მაქვს ახალ შესარჩევ ციკლს სწორედ ძლიერი გუნდით შევხვდებით.

დავით ცაბაძე




ვალერი აბრამიძე

ლევიონერაპი თურქეთში აშვეთია და აბრამიძეს ნავლან

ვალერი აბრამიძემ და მიხეილ აშვეთიამ მახაჩყალის „ანჟისთან“ რამდენიმე თვის წინათ გააფორმეს კონტრაქტი, თუმცა რუსეთში სეზონის ისე დასრულდა, რომ არც ერთ მათგანს არ მისცემია თამაშის საშუალება - მიზეზთა გამო „ანჟის“ ფეხბურთელთა დამატების ფლება არ მისცეს.

ამჯერად, ზამთრის სატრანსფერო პაუზისას კი ეს უკვე შესაძლებელი იქნება. რუსულ პრესაში გუმინ გავრცელებულ ცნობათა თანახმად, მახაჩყალის „ანჟიმ“, რომელმაც ვერ შეძლო პრემიერლიგაში აღზევება და კვლავაც პირველ დივიზიონში იასპარეზებს, უკვე დაგეგმა ზამთრის მოსამზადებელი პერიოდი. მახაჩყალელები პირველ მოსამზადებელ შეკრებას 11 იანვრიდან თურქეთში, კერძოდ ანთალიაში გაივლიან. შეკრება 1 თებერვლამდე გასტანს. რუსული სააგენტოების ინფორმაციით აშვეთია და აბრამიძე „ანჟის“ ანთალიაში გაჰყვებიან. ცნობაში ნათქვამია ისიც, რომ „ანჟი“ დატოვა ქართველმა ნახევარმცველმა ზურაბ არზიანმა, რომელსაც მახაჩყალელებთან საიჯარო კონტრაქტის ვადა ამოეწურა.



მიხეილ აშვეთია



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგინებთ კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge

საქართველოს

უმაღლესი ლიგა. გუნდები. ლოკომოტივი

ჩემპიონატი

აუბსაიღარობიდან დიდი მიზნებისკენ

შარპანას და წლეულსაც „ლოკომოტივი“ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძვის. არადა, იყო იმის რეალური მოლოდინი, რომ რკინიგზელებს მიმდინარე სეზონი წინაზე გაცილებით შედეგიანად ჩატარებინათ. პირველ ტურში გიორგი კიკნაძის გუნდმა ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ „ამერს“ სძლია. მას შემდეგ ბევრი რამე შეიცვალა, მთავარი ამბავი ლევან ყენიას „შალკეში“ წასვლა იყო, რასაც გუნდის დაღმასვლა მოჰყვა. პირველი წრე „ლოკომოტივმა“ სახიფათო ზონაში ჩაამთავრა, თუმცა არსებობს წინაპირობა, რომ მეორე წრეში ვაკელები უფრო წარმატებულნი იყვნენ.

გიორგი კიკნაძე მთავარი მწვრთნელი

„რალა თქმა უნდა, პირველი წრით უკმაყოფილო ვარ. სეზონის სტარტი ჩინებული გამოგვივიდა, მაგრამ შემდეგ გარკვეულმა პროგრესმა იჩინა თავი. გუნდმა ლიდერი დაკარგა ლევან ყენიას სახით, ამას გარდა, გამოუცდელი ბამაც იჩინა თავი“.

საუკეთესო მატჩი

„ყველაზე გამართულად „ლოკომოტივმა“ ჩემპიონატის პირველ ტურში, „ამერთან“ ითამაშა“.

ყველაზე ცუდი მატჩი

„ასეთი რამდენიმე იყო, განსაკუთრებით დაბალ დონეზე „მესხეთსა“ და „მგლებთან“ ვითამაშეთ“.

კლუსი

„იყო რამდენიმე მატჩი, რომლებშიც „ლოკომოტივმა“ გააზრებული ფეხბურთი ითამაშა. „ამერთან“ შეხვედრის გარდა, „დინამოსთან“ დაპირისპირებას გავიხსენებ, სადაც ჩვენმა გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა, მარცხს ნამდვილად არ ვიმსახურებდით“.

მინუსი

„საკმაოდ გვეტონდა ხარვეზები სათამაშო ასპექტში, შედეგად, აქტივში ძალიან ცოტა ქულა გვაქვს. მთავარი მიწისიც ესაა“.

პროგრამა მინიუსი პროგრამა მასიუსი

„ბუნებრივია, ამ სეზონში მხოლოდ უმაღლესში ადგილის შენარჩუნებაზე ვფიქრობთ. დარწმუნებული ვარ, ამას შევძლებთ, უბრალოდ, საქმეს მაქსიმალური მობილიზებითა და პასუხისმგებლობით უნდა მივუდგეთ“.

საკადრო პოლიტიკა

„საკადრო საკითხებზე უახლოეს პერიოდში შემედლება საუბარი. დღეისათვის მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „ლოკომოტივი“ ვრჩები. შესაძლოა, გუნდი არც ზაზა ზამთარაძემ დატოვოს“.

მზადება

„მეორე წრისთვის სამზადისი 25 დეკემბერს დაიწყეთ, ჯერ მხოლოდ ფიზიკურად ვემზადებით. საახალწლოდ შევისვენებთ, 5 იანვარს კი კვლავ შევიკრიბებით. უკვე გადაწყვეტილია ანთალიური შეკრების საკითხი. თურქეთში 10 იანვარს გავემგზავრებით, სადაც ორ კვირას დავეყოფთ. სავარაუდოდ, სამ საკონტროლო მატჩს ჩავატარებთ რუსულ და ფრანგულ კლუბებთან. აქვე გეტყვით, რომ მარტიდან საგურამოს ბაზაზე ვივარჯიშებთ“.

წინანსური

მდგომარეობა

„ამ მხრივ კლუბში ყველაფერი რიგზეა. სეზონის მეორე ნახევრისთვის კარგ პირობებში მოვემზადებით“.

რჩეული

შევირება

„პირველ რიგში, ლევან ყენიას გამოვყოფდი. მის გარდა, პირველი წრე მაღალ დონეზე ირაკლი სამხარაძემ და ნიკა გუშარაშვილმა ჩაატარეს“.

პირველი წრის რჩეული

1. ლევან ყენია (ლოკომოტივი)
2. გიორგი მერუაშვილი (დინამო)
3. დავით ბოლქვაძე (ამერი)

ლოკომოტივი და ქომაგი

„სამწუხაროდ, „ლოკომოტივს“ გულშემატკივარი არ ჰყავს, ჩვენთვის ყველა მატჩი საგარეოა. ჩვენი მატჩების სანახავად მხოლოდ ფეხბურთელების ახლობლები დადიან“.

მსაჯობა

„ყოველთვის ვცდილობ, ამ თემაზე კომენტარი არ გავაკეთო, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ამ სფეროში საქართველოში საკმაოდ დაბალი დონეა“.

სკანდალები

„ჩემი აზრით, ექსცესების უმრავლესობას არაკვალიფიციური მსაჯობა იწვევს“.

პროგნოზები

„მეორე წრე ძალიან დაძაბული იქნება. ჩემპიონობისთვის „დინამო“ და „ზესტაფონი“ იბრძობებენ. სადღეისოდ, „დინამო“ პირველ ადგილზე და ამიტომ მცირე უპირატესობას მას მივანიჭებდი“.

ლოკომოტივი | წრეები

გვარამაძე



გუშარაშვილი



ბ. კვასაძე



სოსონიშვილი



ფლენტი (ლალაძე)



გალიჩავა




სამხარაძე



გულორაძე



ჩენია (ბარბაქაძე)



იხედაძე (შიდაძე)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. დინამო	13	12	0	1	35:4	36
2. ზესტაფონი	13	11	1	1	26:6	34
3. ვიტ ჯორჯია	13	10	1	2	25:8	31
4. გორჯოში	13	7	4	2	17:9	25
5. ოლიგა	13	7	3	3	13:8	24
6. ამერი	13	7	0	6	21:16	21
7. მსხატი	13	6	2	5	15:17	20
8. მგლავი	13	5	0	8	14:19	15
9. სიონი	13	4	3	6	16:17	15
10. სარტაპი	13	3	3	7	5:14	12
11. მირანი	13	3	1	9	7:23	10
12. ლოკომოტივი	13	3	0	10	8:21	9
13. დილა	13	1	3	9	7:24	6
14. ბათუმი	13	1	1	11	5:28	4

I ტური		
10.08	შ	ამერი 2:1
გოლები: სამხარაძე, გუშარაშვილი		

II ტური		
18.08	ს	ვიტ ჯორჯია 0:1

III ტური		
24.08	შ	მსხატი 2:3
გოლები: მიქაძე, ყენია		

IV ტური		
31.08	ს	ზესტაფონი 0:5

V ტური		
14.09	ს	მგლავი 0:1

VI ტური		
22.09	შ	დილა 1:0
გოლი: ბარბაქაძე		

VII ტური		
29.09	ს	ოლიგა 0:1

VIII ტური		
7.10	შ	სიონი 1:0
გოლი: იხედაძე		

IX ტური		
19.10	ს	გორჯოში 1:2
გოლები: გუშარაშვილი		

X ტური		
28.10	შ	მირანი 0:2

XI ტური		
24.11	შ	დინამო 1:2
გოლები: გუშარაშვილი		

XII ტური		
1.12	ს	ბათუმი 0:1

XIII ტური		
5.12	ს	სარტაპი 0:2

ლოკომოტივი

	განი	ქომაგა	გოლი	წითელი
გულორაძე	13	13	-	2
დ. ფლენტი	13	13	-	1
გვარამაძე (მპ.)	12	12	-19	1
იხედაძე	11	7	1	-
სამხარაძე	10	10	1	2
გალიჩავა	10	10	-	2
ლალაძე	10	10	-	3
ბ. შიდაძე	10	8	1	5
ბარბაქაძე	10	7	1	4
გუშარაშვილი	9	9	3	3
სოსონიშვილი	9	8	-	3
მშენილაძე	8	8	-	1
ბ. კვასაძე	8	7	-	1
დ. ჩაბელიშვილი	8	1	-	-
ტიკაშვილი	7	2	-	2
მ. ფლენტი	6	3	-	1
ალავერდიაშვილი	6	2	-	1
ბოგოშვილი	5	2	-	-
ჩენია	4	4	1	4
ბ. კვასაძე	3	3	-	-
დ. ჩაბელიშვილი	2	2	-	-
გულდარაშვილი	2	-	-	-
ბ. კიკნაძე	2	-	-	-
გიგინეიშვილი (მპ.)	1	1	-2	-
ბარბაქაძე	1	1	-	-
ბარბაქაძე	1	-	-	-

CDN CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სტაბილური ინტერნეტი; მონაცემთა სარეგისტრაციო მომსახურების სრულ პაკეტს;

- CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
- CDN 255 ტელეფონის დადგმა;
- CDN 8-66 კავშირი ყველაზე და ყოველთვის;
- GIGABIT ისაუბრე შეტი, გადაიხადე ნაკლები;
- CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

განმავლობაში
24 საათის

- უწყვეტი მომსახურება
- ტექნიკური მხარდაჭერა
- გარანტირებული ხარისხი
- გადაიხადე ხელიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრძვი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩააგრო!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ძირითად ფეხბურთს წარმოგიდგინთ კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge

გედევან დარასელია გორკაედოს ძირითადშია

20 წლის ქართველი მცველი გედევან დარასელია მოსკოვის „ტორპედოში“ 2006 წლის სექტემბერში ჩაირიცხა. მან გასული სეზონი დუბლებში ჩაატარა. ეტყობა, მწვრთნელი მისი გამოსვლით კმაყოფილი დარჩა. ყოველ შემთხვევაში, გუშინ გუნდის ოფიციალური ვებ-გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია ამაზე უნდა მეტყველებდეს.

საქმე ისაა, რომ მოსკოვის „ტორპედოში“ 23 დეკემბერს ვარჯიშები განახლდა და ძირითადი შემადგენლობის

ფეხბურთელთა შორის ქართველი მარცხენა მცველის გვარიც ამოვიკითხეთ.

ეს არაა ე.წ. გაფართოებული სია, საიდანაც საუკეთესოებს დაიტოვებენ. „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა სულ ცხრამეტი მოთამაშე შეკრიბა და მათ საფეხბურთო სკოლის თერთმეტი გაზრდილი დაუმატა. გუნდი ამჟამად მოსკოვში ემზადება.

ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „ტორპედოში“ გასასინჯად რუსეთის მოქალაქე, წარმოშობით ქართველი რაფინ მელქაძე მიიწვიეს. ის 23

წლისაა, ამპოლუთი ნახევარმცველია და ადრე ტულის „არსენალში“ და ბრიანსკის „დინამოში“ თამაშობდა.

რაც შეეხება „ტორპედოს“ მიერ თბილისის „მერანში“ განათხოვრებულ ნახევარმცველ ბექა ჟღენტს, მას იჯარის ვადა ჯერ არ დასრულებია და როგორც გვითხრა, მაისამდე „მერანს“ დაეხმარება. „ტორპედოში“ დაბრუნებას ის გამოირიცხავს, მაგრამ სად გააგრძელებს კარიერას, ჯერ კიდევ გაურკვეველია.

მერაბ მამულაშვილი

ალადაშვილი გაინს კიჰვს დაუბრუნდა?

„სპრინტული“ „სპორტ-ექსპრესი“ უფროდის „ზაკარპატიეს“ მთავარ მწვრთნელს, ვლადიმერ შარანს გაესაუბრა. მან დაადასტურა, რომ ოთარ მარცვალაძემ და კახა ალადაშვილმა კლუბი დატოვეს. ინფორმაცია არაბაზირებულია, მაგრამ ამ ინტერვიოში სიახლე მაინც ამოვიკითხეთ.

შარანი ამტკიცებს, რომ ალადაშვილი კიევის „დინამოს“ დაუბრუნდა. თუმცა, კახა თბილისშია და კიეველთა ინტერესზე თავად არაფერი იცის.


„კიეველთა არც ერთი წარმომადგენელი არ დამკავშირებია და გამიჭირდება მტკიცება, მართლა სურთ ჩემი დაბრუნება თუ არა. ასეც რომ იყოს, ნესით, ჯერ მე გამაფრთხილებდნენ და პრესაში ამბავს შემდეგ გაავრცელებდნენ. მე რაღაც ვარიანტების იმედი მაქვს და ამას მალე შეიტყობთ. იმედია, ნორმალურ კლუბში ჩავიბრუნდები“ - გვითხრა ალადაშვილმა.

უკრაინაში სიმბოლურ ნაკრებს ათავსებენ გამოცემა ადგენს და ერთი მათგანი უურნალი „გოლია“. უურნალის რედაქციამ დაითვალა და აღმოჩნდა, რომ უფრო დიდ კლუბში ნახევარწლიანი გამოსვლის პერიოდში ალადაშვილი სიმბოლურ ნაკრებში სამჯერ მოხვდა. აუტსაიდერი გუნდის მოთამაშის ასეთი აღიარება საპატიო და ძნელადმისაღწევია.

როგორც დავითვალეთ, მასზე მეტჯერ სიმბოლურ ნაკრებში მხოლოდ რვა ფეხბურთელი მოხვდა და თითოეული მათგანი ლიდერ გუნდებში გამოდის - დნეპროპეტროვსკელი სერგეი ნაზარენკო, ხარკოველი მარკო დივიჩი, შახტარელი ბრაზილიელი ილსინიო და ა.შ. ამ მაჩვენებლით კახამ უკრაინაში ჩასული თუ ადგილობრივი ვარსკვლავები - ლუკარელი, სრნა, ბანგურა, ჟადსონი ჩამოიტოვა.

ამიტომაც დაიჩვილა შარანმა, ნეტავ ალადაშვილი და მარცვალაძე მეორე წრეშიც გვეხმარებოდნენ, მაგრამ ეს უკვე ოცნებააო. თუმცა იმედს მაინც არ კარგავს, ცდა ბედის მონახვერეაო და „დინამოსთან“ მოლაპარაკების დაწყება მაინც უნდა.

მერაბ მამულაშვილი



კახაბერ ალადაშვილი


ბრძელდება ქართულ ფეხბურთელთა მომზადება არბენტინაში

დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისა

ედუარდო დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო ინვესს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლება ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.

დანვრილებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება ინარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.

დავით თაყაიშვილი



ინტერვიუ ზაზა ზირაქაშვილთან

თურქებმა ზირაქაშვილს საპარაზისგან ნასვლა შესთავაზეს

სადაც არ მიდიან ქართველი ფეხბურთელები, ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩინეთამდე ბევრი ქვეყანა აქვთ გადასერილი და რაღაც ვასაკვირია, რომ ჩვენებურები თურქეთის მესამე ლიგაშიც იყვნენ - დავით დათვადე, დავით ბაქრაძე, კახა ქაცარავა და ზაზა ზირაქაშვილი - ისინი ქვედალიგის მონაწილე გუნდებში თამაშობენ. ერთ-ერთ მათგანს, ზირაქაშვილს სტამბულში შეეხებიათ და იქაური ამბები გამოვიკითხეთ.

ზირაქაშვილი 2001 წელს საქარველოს ჩემპიონატის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, უთამაშა ახალგაზრდულ ნაკრებში, პორტუგალიის უმაღლეს ლიგაში, ახლა კი სტამბულის „აიზასფორში“.

- ჩვენი ლიგა მოყვარულთა ლიგად ითვლება, თუმცა ვინც „აიზასფორში“ სხვაგან არსად მუშაობს. „აიზასფორი“ ფაქტობრივად პროფესიონალური გუნდია. ქაცარავა ჩემი თანაგუნდელია, დათვადე და ბაქრაძე კი „ჰადემქოში“ თამაშობენ, სტამბულიდან ორმოციოდ კილომეტრით მოშორებული ქალაქის გუნდში.

- რა ფორმატით ტარდება თურქეთის მესამე ლიგა? „აიზასფორი“ და „ჰადემქოი“ რა პოზიციებზე არიან?

- მესამე ლიგა ექვს ჯგუფად არის დაყოფილი, ჩვენ და „ჰადემქოი“ სხვადასხვა ჯგუფში ვართ. ჩვენ ჯგუფში ამ დროისთვის მეორე დაგილზე ვართ, „ჰადემქოი“ კი თავის ჯგუფში ლიდერია. ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი გადის და მერე ფინალური ეტაპი გაიმართება მეორე ლიგის საფურისთვის.

- თურქეთის მეორე ლიგაში ლეგიონერებს თამაშის უფლება არ აქვთ, ანუ თუ „აიზასფორი“ ან „ჰადემქოი“ გადავა მეორე ლიგაში, ქართველები იქ ვეღარ ითამაშებენ...

- მასეა, მაგრამ საქმე ისაა, რომ უკვე შემომთავაზეს თურქეთის მოქალა-

ქეობის მიღება, როგორც ვაგივე, ორმაგი მოქალაქეობის მიღება დასაშვებია. თუ „აიზასფორი“ მეორე ლიგაში გადავა, მოქალაქეობის მიღებაზე მერე დავფიქრებთ.

- მანდაური პირობებით კმაყოფილი ხარ?

- ყველაფერი ნორმალურადაა, კლუბის ბაზაზე ვცხოვრობ და კვებასაც კლუბი უზრუნველყოფს. „აიზასფორში“ სტამბულილი არავინაა და მთელი გუნდი ბაზაზე ვცხოვრობთ. ერთი ეგ არის, რომ ტრავმამ შემიშალა ხელი და ბევრი გამიცდა - იანვრიდან უკვე შემეძლება ოთხმთვიანად ნუთის თამაში.

- თუ „აიზასფორი“ მეორე ლიგაშიც ვერ გადავა, რას აპირებ?

- „აიზასფორის“ თამაშებზე და ვარჯიშებზე თურქი აგენტი დადიოდა და თურქეთის კვიპროსზე გადასვლა შემომთავაზა. კვიპროსზე თურქებს თავიანთი ჩემპიონატი აქვთ და როგორც ამ აგენტმა მითხრა, საკმაოდ კარგ პირობებს სთავაზობენ ფეხბურთელებსო. არ გამოვირიცხავ, რომ იქ წავიდე.

- თურქეთის მესამე ლიგას საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს როგორ შეადარებდი?

- საქარველოს ჩემპიონატს სამი საუკეთესო გუნდი რომ ჩამოაშორო, მიიღებთ თურქეთის მესამე ლიგას. თუმცა აქ უფრო ბევრს და სწრაფად დარბიან, სულ, ასე ვთქვათ, ფეხზე გაზიან - არ არის ადვილი აქ თამაში, კლასი ნაკლებია, მაგრამ ბრძოლა და დატვირთვები დიდია.

- თქვენს საშინაო მატჩებზე საშუალოდ რამდენი გულშემატკივარი დადის?

- მინიმუმ ორი ათასი. გვეუბნებიან, თუ ფინალურ ეტაპზე გახვალთ, ბევრად მეტი მყურებელი მოვაო. ფინალური ეტაპი მარტის ბოლოს დაიწყება.



ინგლისის ნაკრები

ახალგაზრდა ხნიერი მწვრთნელი


ვენბარი კაპილოს ალფონსიას მიხვდას ურჩევს...

მილიონობით ინგლისელი გულშემატკივარი ერთ ადამიანს განუზომებლად იმედს უკავშირებს. ამ 61 წლის კაცმა გადაწყვიტა, საკუთარი მხრებით ზედოს ის დიდი პასუხისმგებლობა, რასაც ინგლისის ნაკრების გაძლიერება უკავშირდება. დონ ფაბიო კაპილომ ინგლისელთა ქრონიკულ ნარუმბატელობებს უნდა უწამლოს. "დეილი მილი" გასულ ზაფხულს გადაღებული ფოტოები გამოაქვეყნა. პოპულარულმა გამოცემამ მას ასეთი კომენტარი დაურთო: დარწმუნებით, რომ ჩვენს მწვრთნელს ძლიერი მხარბეჭი აქვს, ამიტომ ტვირთის ზიდა არ გაუჭირდებაო. კაპილოს საუცხოო ფორმაშია, ასაკისათვის შეუფერებლად კარგ ფორმაშიც კი. მწვრთნელს არაფერი ეტყობა იმისა, რომ მეშვიდე ათწლეულში გადააბიჯა. ეს სურათები სიცოცხლისათვის გადაღებული. დონ ფაბიო "რეალიდან" ახალი ნამოსულს. ის მეულესთან ერთად ნებეროვს. სინორა კაპილოს ლაურა ჰქვია. მეულესებმა ერთმანეთი დიდი ხნის წინ, კოლეჯში სწავლისას გაიცნეს. ისინი უკვე 40 წელია, ერთად არიან. კაპილოს ფეხზე სანდლები აცვია, შემოტყევილი ტრუსი აცვია და ბოლო წლებში განუწყვეტი ატრიბუტი, სათვალე უკეთია. მან ხელში წიგნი უჭირავს და უდარდები გამოძვრის მითითებით კითხულობს. "დეილი მილი" წერს, ფოტო რომ ახლა გადაეღოთ, კაპილოს ხელში აუცილებლად ინგლისური ენის სახელმძღვანელო ექნებოდა. უახლოესი პერიოდში ამოცანა ისაა, რომ მწვრთნელმა ინგლისური ისწავლოს. მან ამ ენაზე მხოლოდ რამდენიმე აუცილებელი ფრაზა იცის, ეს კი ფეხბურთელებთან ურთიერთობისათვის საკმარისი არ გახლავთ. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ მას უკვე დაუჭირა ინგლისური ენის სპეციალისტი. კაპილო ახალ პოსტზე პირველი მატჩის თებერვალს გამართავს. ის დღეში სამ საათს მეცადინეობს. ესე იგი, მომდევნო თვეს ხვედრის განმავლობაში საგრძობ პირობებს უნდა მიაღწიოს.

დავუბრუნდეთ მწვრთნელის ფოტოებს. კაპილოს საუკეთესო

დასვენება ზღვის პირას ყოფნა არ არის. ის ყოველთვის კარგად ისვენებს, თუ ოჯახი გვერდით ჰყავს. დონ ფაბიო და მისი მეუღლე ლონდონში გადასასვლელად ემზადებიან. ისინი შესაფერის სახლს ეძებენ. მწვრთნელს წლიურად 4.8 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. ნარმატების შემთხვევაში, კიდევ სოლიდურ პრემიებს მიიღებს. კაპილო დისციპლინას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. ვარაუდობენ, რომ ის საწვრთნელ ბანაკში კომენდანტის საათს შემოიღებს. ფეხბურთელები ვალდებული იქნებიან, შეკრებაზე დათქმულ დროზე ნახევარი საათით ადრე გამოცხადდნენ, საღამოობით კი 10 საათზე დაიძინონ.

ინგლისის ნაკრების თემას არსენ ვენგერის კომენტარით გავაგრძელებთ. მოგესხებათ, ვენგერი ერთ-ერთი იმ სპეციალისტთაგანია, რომელმაც საფეხბურთო ასოციაციას კაპილოს დანიშვნა მოუწონა. "არსენალის" თავკაცმა არ დაიზარა და კოლეგას ერთი რჩევა მიაწოდა. რჩევა ვენგერის შეგირდს, მანუელ ალმუნიას ეხება. მოსიე არსენი კაპილოს ურჩევს, ესპანელი გოლკიპერი ინგლისის ნაკრებში მიიწვიოს. ალმუნია დიდი ხნის განმავლობაში "არსენალის" სათადარიგო მეკარე გახლდათ. შარშანდელ სეზონში მან ერთი ხანობა, ძირითადად თამაშს მოუხშირა. შემდეგ ისევე იქნა ლემანი დააბრუნეს. ნელსაც ანალოგიური რამ მოხდა. სეზონის დასაწყისში დაშვებული რადენიმე შეცდომის გამო ლემანი სკამზე გადასვეს. ძირითად მეკარედ ისევე ალმუნია მოგვევლინა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მანუელი პოზიციების დათმობას აღარ აპირებს. ლემანი კი სამსახურის შეცვლაზე ფიქრობს. ალმუნიას ესპანეთის ნაკრებში არასოდეს უთამაშია. ცოტა ხნის წინ მან ინგლისის მოქალაქეობა მიიღო. ყველა პირობა საიმისოდ, რომ ალმუნია ინგლისელთა ნაკრებში ითამაშოს. მანუელი "სელექსიონში" მიწვევის იმედს არ კარგავს, მაგრამ თუ ეს-



ინგლისელთა ახალგაზრდა ხნიერი მწვრთნელი: ფაბიო კაპილო სიცოცხლოვით არდადეგებისას

პანელები მას ზედმეტად ჩათვლიან, დაიხაც განიხილავს ინგლისელთა მაცდუნებელ შეთავაზებას. ალმუნია 30 წლისაა. ის ინგლისში 2004 წელს გადავიდა. ინგლისის ეროვნულ გუნდს მეკარის პრობლემა აქვს. პოლ რობინსონი შეცდომას შეცდომაზე უშვებს. ხორვატიასთან გადამწყვეტ მატჩში სკოტ კარსონი დააყენეს, მაგრამ მისი მიზეზით ორი გოლი გავიდა. ვენგერის აზრით, პრობლემის გადაჭრის უმოკლესი გზა ალმუნიას გამოძახებაა: "მე მხოლოდ რჩევს მოცემა შემიძლია. ალმუნია ინგლისში სი-ვის გარეშე ჩამო-

ვიდა. მან ყველაფერი ნულიდან დაიწყო. მანუელს დიდ კლუბში თამაშის გამოცდილება არ ჰქონდა. ამიტომ ხშირად ცდებოდა. შეცდომას ყველა უშვებს. ვან დერ საარეი კი. მაგრამ მანუელის მდგომარეობა ბევრად უფრო რთული იყო. მა უძლიერესი კონკურენტები ჰყავდა. ალმუნიას გუნდში დასამკვიდრებლად ურთულესი ტესტი უნდა გაეყო. შემიძლია, მოგახსენოთ, რომ მან ტესტი წარმატებით ჩააბარა." "არსენალის" მეკარეს ინგლისის ნაკრებში თამაშის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია.

არსენალი. ტრანსფერები

ბერბატოვი ლონდონიდან ლონდონში?

გულგარედ თავდამსხმელს ემირიტისთვის უხმეს, მბარამ ვენბარი ბევრ ფულს არ დახარჯავს...

"ტოტენჰემი" დიმიტარ ბერბატოვის გაყიდვას არ აპირებს. "მამლების" თავკაც ხუანდე რამოს სურს, სპეკულაციების ერთხელ და სამუდამოდ დაუსვას ნერტილი. ლონდონელებმა ბულგარელი თავთამსხმელი 20 მილიონ გირვანქად (40 მილიონი დოლარი) შეაფასეს. ფორმალურად, ფეხბურთელის შექმნა შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად - არა.

ბერბატოვი 20 მილიონი არ ღირს. ეს ყველაზე უკეთ "ტოტენჰემის" დირექტორებმა იცინ. ამხელა თანხის მოთხოვნა ერთ მიზანს ემსახურება: დაინტერესებულმა კლუბებმა ხელი უნდა ჩაიქონონ. ბერბატოვს "მანჩესტერ იუნაიტედი" აკვირდებოდა. "ემპაკები" ფეხბურთელს გასულ ზაფხულს

ყიდულობდნენ. გარიგება არ შედგა. ახლა კი დაინტერესებული კლუბების სიას "არსენალიც" დაემატა. ეს ინფორმაცია გუმბადელ "სანში" ამოვიკითხეთ. "არსენალი" "ტოტენჰემს" გასულ უქმეებზე შეხვდა. მეთოფებმა 2:1 გაიმარჯვეს. მათ კარში ის ერთი გოლი ბერბატოვმა გაიტანა. ნამატჩევს "მეთოფების" თავკაცმა არსენ ვენგერმა დიმიტარს დიდი ყურადღება დაუთმო: "ის ტიერი ანრის ჰგავს. მინდორზე ყოველთვის იქ არ დგას, სადაც მწვრთნელი ავალვს. ის ყველგანაა: მარჯვენა და მარცხენა ფლანგზე, ან ცენტრში. ხასიათითაც ტიერის ჩამოკვავს. ემოციურია და ამ ემოციების დამალვას ოდნავადაც არ ცდილობს. მან დღეს ჩინებულად ითამაშა." "არსენალის" ბოს მოსალოდნელი გარიგებასთან დაკავშირებით არაფერი უთქვამს.

ვენგერი ამბობს, რომ "არსენალს" საკმარისად გრძელი სათადარიგო სკამი აქვს. ახალგაზრდა ფეხბურთელები ძირითადი შემადგენლობის სამ მოთამაშესაც კი იოლად შეცვლიან. იანვარში ემირიტს სთედლიუმზე დაბრუნდება "ბირმინგემში" განათხოვრებული იოჰან ჯურუ. ის ცენტრალური მცველია და კოლო ტურეს შეცვლის.

"არსენალი" ფრანგი მცველის, ლასანა დიარას სანაცვლოდ 6 მილიონ გირვანქას ითხოვს. 22 წლის ფეხბურთელი ალმუნიაზე ვერ მალავს. მან "ემირიტსიდან" ნასვლა უნდა. ამხელა კომპენსაციას კი არავინ გადაიხდის. დიარა "არსენალში" გასულ ზაფხულს "ჩელსიდან", სულ რაღაც 2 მილიონ გირვანქად გადავიდა. ექვსი თვის განმავლობაში მას თითქმის არ უთამაშია. ვენგერმა კი 4 მილიონის გაკეთება მოისურვა. ლასანას ინგლისური კარიერა 2005 წლის ზაფხულში დაიწყო. "ჩელსი" ის "ჰავრიდან" სულ რაღაც 1 მილიონად იყიდა. დიარა "არისტოკრატებს" იმ იმედით გამოეთხოვა, რომ "არსენალში" უფრო ხშირად ითამაშებდა. ის ახალ სამსახურს ეძებს. ფეხბურთელი "ნიუკასლი" და "ასტონ ვილა" დაინტერესდნენ. განიხილება "მონაქოსა" და "პარი სენ ჟერმენის" ვარიანტებიც.

ვენგერი ამბობს, რომ "არსენალს" საკმარისად გრძელი სათადარიგო სკამი აქვს. ახალგაზრდა ფეხბურთელები ძირითადი შემადგენლობის სამ მოთამაშესაც კი იოლად შეცვლიან. იანვარში ემირიტს სთედლიუმზე დაბრუნდება "ბირმინგემში" განათხოვრებული იოჰან ჯურუ. ის ცენტრალური მცველია და კოლო ტურეს შეცვლის.



დიმიტარ ბერბატოვი

საკრავი ჯუჯიყმა ჩაიხარა

რომში მოსალოდნელი იყო, შიროსლავე ჯუჯიკის სერბეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მან ესპანელი ხავერ კლემენტე შეცვალა. ამ უკანასკნელმა ამბიციური კოლექტივი ევროპის ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა. ჯუჯიკი 41 წლისაა. თავის დროზე ის "დემორტივოსა" და "ვალენსიაში" თამაშობდა. სერბეთის ნაკრებში კი 48 თამაშის ჩატარება მოასწრო. ჯუჯიკი ბოლოს ბელგრადის "პარტიზანში" მოღვაწეობდა. იქამდე ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელიც იყო. აქვე გეტყვით, რომ "პარტიზანი" სერბების კიდევ ერთ ყოფილ ვარსკვლავს სლავიშა იოკანოვიჩს ჩააბარეს. მეკუბოვეები ქვეყნის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერები არიან. ისინი უახლოეს მდევარ ცრვენაზე ვეზდას ექვსი ქულით უსწრებენ.

ლიხაკული: პინხა და უიფალუი

"ლიხაკული" ისევ გაბრიელ ჰაინცეს ეპატივება. მერსისაიდელს არგენტინელი მარცხენა მცველის შექმნა აგვისტოს ტრანსფერებისას სურდა. გარიგება "მანჩესტერ იუნაიტედის" ახირებამ ჩაშალა. მან ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ფეხბურთელი კონკურენტისათვის არ დაეთმო. შემდეგ კი მაინც "რეალთან" სწრაფად გამოიხარა საერთო ენა და გაბრიელი ესპანეთში გაისტუმრა. 29 წლის ფეხბურთელს მადრიდული კარიერა არ აწყობს. მიზეზი ქრონიკული ტრავმაა. "ლიხაკული" იმედს აქვს, რომ "რეალთან" საერთო ენას გამოიხარავს. პირველ ეტაპზე დავაგმილია ფეხბურთელთან ექვსთვიანი საიჯარო კონტრაქტის გაფორმება. ამ საკითხზე ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა. "ლიხაკული" ტომას უიფალუის შექმნასაც ცდილობს. 29 წლის ჩეხი მცველი "ფორენტინის" საკუთრებაა. მისი ფლორენციელი კონტრაქტი ივნისში იწურება. ტომასი ხელშეკრულების გაგრძელებას არ აპირებს. თუ მას იანვარში არ გაყიდონ, სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი გახდება. უიფალუში საკმაოდ იაფი, 700 ათასი ევრო ღირს.

ანგოლელი თავდამსხმელი მანჩესტერში

"მანჩესტერ იუნაიტედმა" ანგოლელი თავდამსხმელი მანუო გონკალესი შეიძინა. სერ ალექს ფერგისონი ამბობს, რომ მანუო თამაშის მანერით ოლე გუნარ სოლსკვიარს ჰგავს, თუმცა ინგლისში ადაპტაციისათვის გარკვეული დრო დასჭირდება. ახალწვეული 24 წლისაა. მისი სიმაღლე 185 სანტიმეტრი. მიმდინარე სეზონში მას დროს უშეტესი წაწილის გატარება სათადარიგო გუნდში მოუწევს. გაისად კი ძირითად გუნდში დამკვიდრებას შეეცდება. გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია. უცნობია ისიც, ნიშნავს თუ არა მანუოს ტრანსფერი სხვა თავდამსხმელების შექმნაზე უარის თქმას.

ქარაქოვი: გოგანაშვილის შეფაბ, ასტონ ვილა

რუსი თავდამსხმელი ალექსანდრ კერუაკოვი, შეიძლება, "ასტონ ვილაში" ვიხილოთ. ის "სველიის" საკუთრებაა, მაგრამ ანდრეუსიური კლუბის ძირითადი იშვიათად თამაშებენ. 25 წლის ფეხბურთელს "ტოტენჰემში" აკვირდებენ. "მამლების" დამრიგებელია ხუანდე რამოსი. სენიორ რამოსი "სველიის" ყოფილი მთავარი მწვრთნელი გახლავთ. კერუაკოვი ესპანეთში სწორედ მან ჩაიყვანა. ინგლისური საავტენტოების ცნობით, "ვილა" მზადაა, ფეხბურთელს წლიურად 4 მილიონი ევრო გადაუხადოს. ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

რას აპირებს სანიოლი?

ვილი სანიოლის საკითხი ისევ ბურუსითაა მოცული. ფრანგ მცველს "ბაიერნიდან" აბარებენ სურდა. ის უკვე იანვარში გეგმავდა ახალ სამსახურში გადასვლას. სანიოლი "იუვენტუსი" და "მანჩესტერ იუნაიტედი" დაინტერესდნენ. რამდენიმე დღის წინ გერმანულმა საავტენტოებმა გეგმავს, რომ ვილიმ მიუნხენურ გიგანტთან უთახმოებდა მოავაგრა და გუნდში რჩებდა. გუშინ "სანში" სულ სხვა შინაარსის ცნობა ამოვიკითხეთ: სანიოლს "ჩელსი" ეპატივება და მასში 5 მილიონ გირვანქას იხდისო. "სანის" მტკიცებით, "არისტოკრატებს" ის პაულ ფერეირას შეცვლელად სჭირდებათ. ფერეირამ გადაწყვიტა, ლონდონში სამსწლიანი მოღვაწეობის შემდეგ მისამართი შეიცვალოს.

ირანს სანიონის აბარებენ?

საზრანბაშის ნაკრების ყოფილი მთავარი თავკაცმა ჟაკ სანტინომ, შეიძლება, ირანს მიაპოვოს. მას ამ ქვეყნის ნაკრების განვრთნა შესთავაზეს. ირანის ფეხბურთის ფედერაციამ დაადასტურა, რომ განიხილება ორი მწვრთნელის კანდიდატურა: ერთი სანტინია, ხოლო მეორე - პორტუგალიელი არტურ ჟორჟე. ირანელებს სურთ, გამოცდილია დამრიგებელმა გუნდი მსოფლიოს 2010 ჩემპიონატზე გაიყვანოს. სანტინი "ლიონისა" და "ტოტენჰემის" ყოფილი მწვრთნელიც გახლავთ. მისი ბოლოდროინდელი კარიერა არა და არ აწყობს. მოსიე ჟაკმა ირანში გმგზავრების სანაცვლოდ წლიურად 1.5 მილიონი ევრო მოითხოვა.

ინტერვიუ მიხეილ ბალაქთან

პოპარობ, 2008 წელი ჩემთვის ბიბლიოთეკის წელი იქნება!

გერმანიის ნაკრების კაპიტანს ჩემპიონთა ლიგის და ევროპის ჩემპიონატის მოგება უნდა...

რეპორტიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, „ჩელსისა“ და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი მიხეილ ბალაქი მოედანს დაუბრუნდა. ბუნდესლიგის პიტანი ნელ-ნელა იწყებს ფორმის აღდგენას და უნდა, რომ ევროპის ჩემპიონატს საუკეთესო ფორმაში მყოფი შეხვდეს. ბალაქს „კიკერის“ კორესპონდენტი გაესაუბრა.

დი სიამოვნებით აკეთებთ? როცა ტრავმა მივიღე, მითხრეს, ორი-სამი კვირა დაისვენებო, მაგრამ დრო გაიწეწა და სიტუაცია სულ უფრო და უფრო დამძიმდა. ნერვებში მოლილი ვიყავი და ეს არცაა გასაკვირი.

- ბოლოს და ბოლოს გაირკვა, თუ რატომ მოგიხდათ ამდენ ხანს დასვენება?

- ექიმი არ ვარ და დიაგნოზის დასმა არ მეხერხება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გამოგვანმრთელეულიყავი.

- ზაფხულში, როცა „ჩელსიმ“ ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შევიყვანეთ, უკმაყოფილება ვერ დამალეთ და ამ ფაქტმა გერმანიაშიც სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. როგორც ჩანს, თქვენს ტრავმას „ჩელსიმ“ თავიდანვე უფრო რეალურად შეხედა, ვიდრე თქვენ...

- პირადად მე განვამი არ ამიტყვია, მაგრამ ის კი მართალია, რომ ვფიქრობდი, ტრავმას უფრო ადრე მოვირჩენ-მეთქი და განაწყენებული გახლდით იმის გამო, რომ ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შემიყვანეს. არ მინდოდა იმის დაჯერება, რომ იძულებითი პაუზა ასე დიდხანს გაგრძელდებოდა. როგორც გაირკვა, გუნდი მართალი იყო.

- დარწმუნებული ხართ, რომ იანვრიდან ისევ მოხვდებით ჩემპიონთა ლიგის განაცხადში?

- თუ ასე არ მოხდა, ძალიან გამიკვირდება.

- „ჩელსი“ მერვედფინალში „ოლიმპიკოსს“ შეხვდება. თქვენც ფიქრობთ, რომ გაგიმართლათ?

- „ოლიმპიკოსის“ გადაფასება არ შეიძლება. ეს საკმაოდ ძლიერი გუნდია, რომელმაც „ვერდერს“ ორივე თამაში მოუგო. მაგრამ ჩვენ ფინალში გავსვლა გვინდა და ამ მიზნის მისაღწევად ნებისმიერი გუნდი უნდა დავამარცხოთ.

- იყო თუ არა რვათვიანი პაუზა თქვენთვის დაკარგული დრო?

- მე არ ვიტყვით, რომ ეს დაკარგული დროა. უბრალოდ, ასე უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდევ, რაც ჩემთვის მისაღებია - ასე უნდა იყო იმიტომ. შესაძლოა, ეს ბედისწერა იყო. ნესითა და რიგით „ნიუკასლთან“ არ უნდა მეთამაშა, მწვრთნელს ჩემი დასვენება ჰქონდა გადაწყვეტილი, რადგან ნინ უფრო მნიშვნელოვანი მატჩი გვქონდა „ლივერპულთან“. მაგრამ რიკარდო კარვალომ ტრავმა მიიღო და სხვა გზა აღარ იყო, ნახევარდაცვაში მე უნდა მეთამაშა. მაგრამ ეს ყველაფერი უკვე დავივიწყე და ახლა მხოლოდ მომავალზე ვფიქრობ. ჯერ-ჯერობით ყველა ტურნირში ვმონაწილეობ და ყველა ტიტულის მოგების შანსი გვაქვს.

- რას ნიშნავს თქვენთვის ტიტულები?

- ტიტული არის ის, რასაც კარიერის დასრულების შემდეგ სიამოვნებით გავიხსენებ.

- საერთაშორისო ასპარეზზე დიდი ტიტული არასდროს მოგაჩიათ...


- ჩემპიონთა ლიგის მოგებასთან ყველაზე ახლოს „ლევერკუზენში“ თამაშის დროს ვიყავით, მაგრამ მაშინ არ გავგიმართლა. „ბაიერთან“ ერთად ამ მართლაც უდიდესი ტიტულის მოგების რეალური შანსი არ მქონია. ამიტომაც იყო, „ჩელსიმ“ რომ გადავადვი. იმედი მაქვს, რომ 2008 წელი ამ მხრივ იდეალური იქნება: ჩემპიონთა ლიგასაც მოვიგებ და მერე ევროპის ჩემპიონიც გავხდები.

- გერმანიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფავორიტად მიგაჩნიათ?

- სიმართლე გითხრათ, გაკვირვებული ვარ, რომ ბუქმეკრები ფავორიტად გერმანიას ასახელებენ.

- თქვენ ასე არ ფიქრობთ?

- მოდით, ასე ვიტყვი: თუ ყველაფერს რეალურად შევხედავთ, ბოლო 10 წლის მანძილზე ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტობას იმსახურებდა. 2002 წელს ფავორიტები არ ვიყავით, მაგრამ ფინალში გავედით, 2006



მიხეილ ბალაქი ჩაფიქრებულია, მაგრამ ოპტიმისტად რჩება

წელსაც არ ვიყავით ფავორიტები, მაგრამ ფინალამდე ძალიან ცოტა დაგვაკლდა. ახლა, ბოლოს და ბოლოს ფავორიტები ვართ და ვნახოთ...

- ბუნდესლიგის ჯგუფში პოლონეთთან, ავსტრიასთან და ხორვატიასთან ერთად მოხვდა. შედეგად, ევროპა უდიდესია და გერმანიაში ყველა დარწმუნებულია, რომ ბუნდესლიგის ჯგუფიდან იოლად უნდა გავიდეთ...

- მნიშვნელობა არა აქვს, როგორ ჯგუფში გერმანია - ჩემი ქომაგები ყოველთვის მინიმუმ მეოთხედფინალში გასვლას ითხოვენ. ახლა გერმანიას ყველა იტალიასთან, პოლანდიასთან და საფრანგეთთან ერთად ფავორიტად იხსენიებს. ნესითა და რიგით, ამ ფაქტორმა დადებითად უნდა იმოქმედოს და თავდაჯერება შევგვატოს, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის მოგება იოლი ნამდვილად არ არის.

- რა მხრივ არ არის იოლი?

- ჯგუფი არაფრის საშობი არაა. ტურნირი მხოლოდ მაშინ იწყება, როცა ჯგუფური ეტაპი მთავრდება. ჩემი მიზანი ფინალში გასვლა უნდა იყოს.

- მიზნის დასახვას პრემიების დანიშნავს თანაც აქვს კავშირი, როგორ გირჩევენ, პრემია მეოთხედფინალიდან დაინიშნოს თუ ნახევარფინალიდან?

- მოდით, ამ კითხვას უპასუხოვ და ვტყვი, პრემიის დანიშვნა ჩემი პერსონალისაა და არაა.

- მიუხედავად ტრავმისა, თქვენ გერმანიის ნაკრების არცერთი მატჩი არ გამოგიტოვებიათ. რატომ?

- პირველ რიგში იმიტომ, რომ მე გერმანიის ნაკრების კაპიტანი ვარ. კაპიტანი კი ყოველთვის გუნდთან ერთად უნდა იყოს. მინდოდა, რომ ბუნდესლიგის ახლოს ვყოფილიყავით და ბიჭებს გინდოდა, რომ მათ მხარში ვუდგავარ. მინდოდა, ყველას დაენახა, რომ ნაკრების ბედით დაინტერესებული ვარ და მინდა ვიცოდე, რა ხდება გუნდში, რომლის კაპიტანიც ვარ.

შემადგენლობაში ადგილს დაიმკვირდებენ, მათ დიდი ფეხბურთის თამაში გარანტირებული ექნებათ.

- იურგენ კლინსმანთან კონტრაქტი გაქვთ?

- რა თქმა უნდა. ამახ წინათ მან მოედანზე დაბრუნება მომილოცა.

- გიკვირთ თუ არა ის, რომ იოახიმ ლიოვი გერმანიის ნაკრების წარმატებული მწვრთნელია?

- არანაირად! კლინსმანის დროსაც კი, იოგი გავარჯიშებდა და საერთოდ, სპორტული თვალსაზრისით ის გვაძნეობდა. ხოლო, რაც შეეხება ფილოსოფიას, ამ მხრივ ლიოვი კლინსის იდენტურია. ჩემთვის გასაკვირი იყო ის, რომ ლიოვი ბუნდესლიგის მწვრთნელად დაინიშნა, მაგრამ ერთხელაც არ მიიქცია, რომ მასზე დაკისრებულ ამოცანას თავს ვერ გაართმევდა. ლიოვი პირველივე დღიდანვე ლიოსეულად შეუდგა საქმეს და თამაზად შემოიღო ვთქვა, რომ ის უკვე დიდი ავტორიტეტია. ჯერ არ შემხვედრია მწვრთნელი, რომელიც თავის აზრს ფეხბურთელებს ლიოვზე გასაგებად გადასცემდეს.

- დაახლოებით 40 ფეხბურთელს აქვს იმის იმედი, რომ ევროპის ჩემპიონატის 23 კაციათ განაცხადში მოხვდება...

- ასეა - გერმანიის ნაკრების გავართობული შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ძალიან კარგია. ამ ტენდენციას კლინსმანმა ჩაუყარა საფუძველი და მის დაწყებულ საქმეს ლიოვი აგრძელებს. ძალიან კარგია ის, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს თავის გამოჩენის შანსი ეძლევათ. შესაბამისად, ნაკრების გაახალგაზრდავებაც უმტკივნეულოდ მოხდა.

- იოგიმ გაგრძობინათ, რომ მისი უმთავრესი იმედი ხართ. ავრამ გრანტის ხელშიც გრძობთ მხარდაჭერას და ნდობას?

- დიახ.

- „ჩელსიმ“ თქვენ ჟოზე მოური-ნიომ მიგიყვანათ და არ ნაღვლობთ იმის გამო, რომ ჟოზე ლონდონური კლუბის თავადაც აღარ არის?

- ძალიან საშინაოა, რომ მოური-ნიო აღარ გვეწვინის, მაგრამ ეს ფეხბურთია. მწვრთნელები თითქმის ყველგან ხშირად იცვლებიან ხოლმე. „ჩელსის“ მოთამაშეები მოური-ნიოს ძალიან ემადლიერებიან.

- მოური-ნიო გუნდს უმეტესად ორი თავდამსხმელით ათამაშებდა. გრანტი კი სამ ფორვარდს ამჯობინებს. თქვენს ადგილს სად ხედავთ?

- გრანტმა 4-3-3 იერარია, რითაც ნახევარდაცვაში კონკურენცია კიდევ უფრო გაიზარდა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ადგილს მაინც ვიპოვი და ძირითად შემადგენლობაში აუცილებლად ვითამაშებ. საყრდენი ნახევარდაცველების ადგილზე მაკლეს და ობი მიკელის სახით ორი ძალიან კარგი ფეხბურთელი გვყავს. რა დადარჩა?

- ზაფხულში ბერნდ შუსტერს ძალიან უნდოდა, რომ „ჩელსიმ“ გადასულიყავით...

- ეს მეც გავიგე, მაგრამ ამაზე ფიქრი არ დამიწყია - ტრავმირებული ვიყავი და ჩემი პრობლემები მანუხებდა. თანაც, „ჩელსისთან“ მოქმედი კონტრაქტი მაქვს.

- თქვენს ხელშეკრულებას ვადა 2009 წელს გასდის. მერე რას აპირებთ?

- დღემდე ისე მოვდივარ, რომ კარიერაში უკან ნაბიჯი არ გადამიდგია. სულ ნინ მივიღოდი და იმედი მაქვს, რომ 2009 წელსაც ასე იქნება.

- ბუნდესლიგაში დაბრუნებაზე არ ფიქრობთ?

- არა.

- დაბოლოს: შობა როგორ იზეიმეთ?

- მეუღლესთან და შვილებთან ერთად საშობაო სიმღერა ვიმღერე, მერე კი საჩუქრები გავხსენით. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოველთვის. ახლა „ასტონ ვილასთან“ მატჩზე ვფიქრობ...

გოტფრიდ ლანცი



ინტერვიუ ჩავისთან

არ ვიხილდი, სად დაშვალულიყავი

სამარცხვინოა, რომ გამარჯვების იმედით შეკრებილი გულშემატკივრები შინ განვიღებულავი დაბრუნდნენ...

საკვირამ სუპერკლასიკომ "ბარსელონის" ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს საშობაო სადღესასწაულო განწყობა ჩაუშხამა. არავინ მალავს, რომ "რეალთან" წაგება მათთვის ყველაზე დიდი შეურაცხყოფაა. სამეფო კლუბთან მატჩის შემდეგ ორი დღე იყო გასული, მაგრამ "ბარსას" ფეხბურთელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ყურნალისტების ხმის გაგონებაც კი არ სურდათ. მოთამაშეთა ნაწილი საშობაო არდადეგებზე გასახდელიდანვე წავიდა. მათ მცირე კომენტარიც კი არ გააკეთეს. ისინი სატელეფონო ზარებსაც არ პასუხობენ. ზოგი ისევ ბარსელონაშია, მაგრამ კორესპონდენტები მათთან დაკავშირებასაც ვერ ახერხებენ. ერთადერთ ადამიანს, რომელიც "დიარო სპორტის" თანამშრომელს ინტერვიუზე დათანხმდა, ჩავი ერნანდესი გახლდათ. "ბარსას" ნახევარმცველი "რეალთან" წაგებით უკიდურესად იმედგაცრუებული დარჩა. შესაძლოა, მის სიტყვებში სასონარკვეთილებაც კი ამოვიკითხოთ.

- ჩავი, როგორ შეაფასებთ სუპერკლასიკოს?

- რა თქმა უნდა, უკიდურესად უარყოფითად. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ წაგებდით. სამწუხაროდ, ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დავტოვეთ. საშინლად ვითამაშეთ. სიმართლე თქვას, განსაკუთრებული შთაბეჭდილება "რეალსაც" არ მოუხდენია, მაგრამ ეს ჩვენთვის დიდი ვერაფერი შედეგია. თავად დინახეთ, რომ შეხვედრას უდიდესი დაძაბულობა ახლდა. დასაძაბუნია, რომ წინსვლა ვერ გავუძლიეთ და დავმარცხდით. ვალდებულებები ვიყავით, ყველა გამოცდისთვის გავგეძლო და თამაში იმ შედეგით დავგვესრულებინა, რომელიც საშობაო არდადეგების წინ კარგ განწყობას შეგვიქმნიდა. უკიდურესად ვწუხვარ, რომ ჩვენს ქომაგებს სევდიანი დღესასწაული ვაჩუქეთ. ჩუქება, რა თქმა უნდა, ირონიულად, თორემ "რეალთან" წაგება რა საჩუქარია.

- "რეალი" უკვე შვიდი ქულით გისწრებთ. სეზონის დასრულებამდე 21 ტურია დარჩენილი. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ამ ჩამორჩენის აღმოფხვრას?

- 21 ტური სოლიდურად უღერს. საკმაოდ დიდი დრო გვაქვს იმისთვის, რომ მდგომარეობა გამოვასწოროთ, მაგრამ

მედალს მეორე მხარეც აქვს. გულწრფელად ვიტყვი, ამ პანდემიის ამოქაჩვა ჯოჯოხეთურად რთული იქნება. სამეფო კლუბი ფანტასტიკურ ფორმაშია. ისინი სერიოზულ უპირატესობას ფლობენ. "ბარსელონა" მხოლოდ საკუთარ თავზე აღარ არის დამოკიდებული. თუ მადრიდელები ქულებს არ დაკარგავენ, ჩვენ ყველა თამაშზე რომ მოვიგოთ, ვერაფერს მივალწვეთ. ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ. ახლა ისლა დავგრჩენია იმედი ვიქონიოთ, რომ სამეფო კლუბი ფორმიდან ამოვარდება და ამით "ბარსელონა" ისარგებლებს.

- როგორ ფიქრობთ, რატომ წააგეთ დედაქალაქელებთან?

- იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ "ბარსელონამ" საკუთარი შესაძლებლობების მიწინააღმდეგ ვერ გამოამყუდუნა. ამასთან ისიც სათქმელია, რომ "რეალმა" დაცვასა და ნახევარდაცვაში საოცრად გამართულად ითამაშა. ჩვენს ფორვარდებს გასაქანს არ აძლევდნენ. გამოვიტყდებით, თავისუფალი სივრცის მონახვა მეც ძალიან მიჭირდა. უდიდესი წინააღმდეგობა წაგვყვდა. ამ ყველაფრის შედეგად სამარცხვინოდ წაგავით.

- ხომ არ გეჩვენებთ, რომ მეტისმეტად თვითკრიტიკული ხართ? მართალია, ცუდად ითამაშეთ, მაგრამ სირცხვილზე საუბარი მართლაც მეტისმეტი ხომ არ არის?

- არა. სწორედ, რომ სამარცხვინოდ წაგავით. მაშინ, როცა "კამპ ნოუზე" 100 ათასი ადამიანი ჩვენი გამარჯვების იმედით მოვიდა, "ბარსელონამ" ღირებული ვერაფერი გააკეთა და მის ისტორიულ მეტოქეს სამი ქულა გაატანა. საფინანსო სასტვენის შემდეგ არ ვიცოდი სად დავმალულიყავი. ძალიან მრცხვენოდა, ახლაც მრცხვენია. დაზუსტებით ვიცი, ინჩასების აბსოლუტურ უმრავლესობას საშობაო განწყობა ჩაუშხამდა. მათ ალბათ, ახლა არაფერი უხარიათ. არადა, შობაზე ადამიანები ბედნიერები უნდა იყვნენ. არ ვიცი მიიღებენ თუ არა ჩემს სიტყვებს, მაგრამ მსურს, ქომაგებს ბოდიში მოვუხადო. ისინი ამას არ იმსახურებდნენ.

- მოდით, თქვენი გუნდის თამაში უფრო დეტალურად გავანალიზოთ. ერთადერთი ვისთანაც პრეტენზიები არ შეიძლება არსებობდეს ვიქტორ ვალდესი. დაცვაზე რას იტყვით?

- მიჭირს კოლეგებზე საუბარი, თუმცა საზოგადოებრივი ინტერესებიდან

გამომდინარე თავს უფლებას მივცემ განვაცხადო, რომ "ბარსელონის" მცველებისთვის ეს არ იყო საუკეთესო შეხვედრა. მჯერა, ბიჭები ცუდად არ გამოვიბენ. ფეხბურთი ისეთი თამაშია, რომელშიც ყოველთვის ყველაფერი კარგად არ გამოვივა. რამდენიმე წუთის წინ გითხარით, რომ მეც უდიდეს პრობლემებს გადავყავარ. ასეთივე შავი საღამო ჰქონდათ ჩემს სხვა კოლეგებსაც. მართალია, სამეფო კლუბის ფორვარდებს შეტყვისთვის დიდი დრო არ დაუხარჯავთ, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა კონტრიერშიმებისა მცველებს ძალიან უჭირდათ. რამდენჯერმე მადრიდელები "ბარსელონის" ორი მცველის წინააღმდეგ ოთხი კაცით მოქმედებდნენ. იმ ეპიზოდებში ძალიან გავვიმართლა, თორემ კიდევ უფრო დიდი ანგარიშით წაგავებდით.

- არ ფიქრობთ, რომ დაცვას ნახევარდაცვა არ ეხმარებოდა? სწორედ იმ კონტრიერიშებს გავისხენებ და ვიტყვი, რომ შუახაზის უპასუხისმგებლობის გამო სტუმრები "ბარსას" საჯარიმო მუდნის მისადგომებთან სერიოზულ რიცხვობრივ უპირატესობას იძულებდნენ.

- აბსოლუტურად გეთანხმებით, ეს პირველ რიგში ჩვენი, ნახევარმცველების დანაშაული გახლდათ... თუმცა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება, მას შემდეგ რაც სტუმრები დაინაშურდნენ, იძულებულები გახდით, დიდი ძალებით შეგვეტია. რაც დრო იწურებოდა, მით უფრო დიდ რისკზე მივდიოდით. ბუნებრივია, პირველად ჩვენ რომ გავგეჯანა, მსგავსი რამ არ მოხდებოდა. პირიქით, სავარაუდოდ უკვე "რეალს" შეექმნებოდა ანალოგიური პრობლემა.

- თავდასხმის ხაზზეც ვისაუბროთ. ჩემი აზრით, სამუელ ეტოომ და რონალდინო კარიერის ერთ-ერთი ყველაზე უსახური ორთაბრძოლა ჩაატარეს. შეთანხმებით?

- კიდევ ერთ ვიწორებ, ჩემთვის ძალიან ძნელია კოლეგებზე აუგად საუბარი. მოდით შევთანხმდეთ, რომ კვირას "ბარსელონას" შავი საღამო ჰქონდა. რონალდინო და ეტოო ისევე, როგორც მე და სხვები ძალიან ბევრ სირთულეს გადავყავართ. მიმაჩნია, რომ იმ დღეს მთელმა გუნდმა ნაიფორხილა. ჩვენდა სამწუხაროდ, "რეალის" მცველებმა საკუთარ თავს აჯობეს და მათი კარისკენ მიმავალი გზები საიმედოდ გადაკეტეს.



ჩავი ერნანდესმა ბარსელონელთა დამარცხება ძალიან განიცადა

- რატომაც მეჩვენება, რომ სასონარკვეთილებამდე არაფერი გიკლიათ?

- შეიძლება ითქვას, რომ ახლა სასონარკვეთილი ვარ, მაგრამ დროთა განმავლობაში ოპტიმიზმი დამიბრუნდება. სხვაგვარად შეუძლებელია. მჯერა, საშობაო არდადეგებზე ყველა დავმშვიდებით და სწორ დასკვნებს გამოვიტანთ. აუცილებელია, რომ საკვირაოდ დამირისპირება ჭკუის სასწავლებლად გამოვიყენოთ. ასეც იქნება.

- გულშემატკივართა დიდი ნაწილი "ბარსელონაში" გასატარებელ აუცილებელ რეფორმებზე საუბრობს. ზოგს მიაჩნია, რომ უნდა ლაპორტამ ფრანკ რაიკარდი უნდა შეცვალოს, ნაწილი კი შემადგენლობის გადახალისებას ითხოვს.

- ეს არ არის ცემი საქმე. მე მხოლოდ ფეხბურთის თამაში მევალება.

- გასაგებია, მაგრამ შეუძლებელია, ამ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება არ გქონდეთ...

- საფეხბურთო გუნდი პატარა სახელმწიფოსავითაა. სახელმწიფოს კი მოფრთხილება სჭირდება. დამეთანხმებით, პოლიტიკოსები ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ყველაფერს არ ლაპარაკობენ. ზოგჯერ საჭირო და სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ ჩემად იყო და გუნდის ინტერესები ყველაფერზე მაღლა დააყენო. მე ერთი რიგითი მოთამაშე ვახლავართ. ჩემს მოვალეობაზე უკვე მოგახსენეთ, მწვრთნელის მითითებები უნდა შევასრულო და კარგად ვითამაშო. სხვა დანარჩენი კი არ მეხება. გადაწყვეტილებები ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს.

- და მაინც, რამდენად მოსალოდნელია ფრანკ რაიკარდის ან რონალდინოს გაშვება?!

- ვიმიერებ, ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარს დუმილს ვამჯობობ. წარმოდგენა არ მაქვს, ვის რა გეგმა გააჩნია. ფეხბურთელებს ამგვარ საქმეებზე არავინ გველაპარაკება.

- ეს დისკომფორტს არ გიქმნით?

- არა.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ყველას საკუთარი კომპეტენცია აქვს. პრეზიდენტი არ არის ვალდებული, შემადგენლობას ანგარიში აბაროს. ისევ სახელმწიფოსთან გავაგებულ პარალელს ვიტყვი, რომ გადანყვეტილებებს მთავრობა იღებს. დაბალი რანგის მოხელეები კი ამ გადანყვეტილებებს შემდეგ იგებენ. ზუსტად ასეა საფეხბურთო გუნდების ცხოვრებაშიც.

- სიტუაცია უიმედოა? გჯერათ, რომ შეიძლება ჩამორჩენას ამოქაჩაო?

- ვალდებულებები ვართ, ყველაფერი გავაკეთოთ, რათა ჩემპიონობა წინასწარვე არ დავკარგოთ. სიტუაცია საკმაოდ რთულია, მაგრამ "ბარსელონას" შესწევს უნარი ეს რთული სიტუაცია გამოსასწოროს. თუმცა არ უნდა დავგავინყდეს, რომ ჩვენი ბედი დიდ წილად "რეალზე" დამოკიდებულია.


- შობას სად შეხვდებით?

- ჩემს ოჯახში, ახლობლების გარემოცვაში.

- ბედნიერ შობასა და ახალ წელს გისურვებთ, წარმატებები გქონდეთ...

- დიდი მადლობა. თქვენც დიდ ბედნიერებას გისურვებთ.

ილია ნიკოლაიშვილი



რონალდინოს მორიგი კრიზისი დაუღა

ბარსელონა. სუპერკლასიკოს გამოსხაურება

რონალდინო, ნადი და მხოლოდ გურიისბად დაბრუნდი

გაშვებაგულა ფანაზა გაუჩოს განკითხვის დღე მოუხყვას

"ბარსელონის" გულშემატკივრები სასწრაფო ცვლილებებსა და გარდაქმნებს ითხოვენ. ასეთი რადიკალური განწყობის მიზეზი, რა თქმა უნდა, გასულ კვირას "რეალთან" განცდილი მარცხი გახდა. ინჩასები სამეფო კლუბთან არსებული შვიდქულიანი ჩამორჩენის გამო აღშფოთებულს არ მალავენ და დამნაშავეებად ცალკეულ ადამიანებს მიიჩნევენ...

პირველივე ნამიდან ნათელი გახდა, რომ კატალონიელ გულშემატკივრებს ბედნიერი საშობაო ღამე არ ექნებოდათ. მადრიდელებთან მატჩის საფინანსო სასტვენისთანავე "კამპ ნოუს" გასასვლელებთან სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. ინჩასების იმ ნაწილმა, რომელმაც მატჩი ნაადრევად დატოვა ფეხბურთელების გასასვლელთან პიკეტი მოაწყო. მათ სახელდახელო პლაკატები დაამზადეს და ამ გზით სცადეს მათი მოსაზრებები გუნდის წევრებისთვის გაეზიარებინათ. უნდა ითქვას, რომ ყველაზე დიდი აგრესია რონალდინოს დაატყდა თავს. ბრაზილიელი ფორვარდის მისამართით უამრავი სალანდლაგი სიტყვა დაიხარჯა. ფანები მას "ბარსელონიდან" წასვლას ურჩევენ. ამ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ გაუჩომ ყველა ის თვისება დაკარგა, რის გამოც მას მთელი კატალონია

ეთაყვანებდა. მთელი სერიოზულობით სჯერათ, რომ სამხრეთამერიკელი ნამდვილ მუქთახორად ჩამოყალიბდა. რა თქმა უნდა, საკმაოდ შეხედულებაა, მაგრამ ამკარაა, რომ სუპერკლასიკოს წაგების შემდეგ ბრაზილიელს მოწინააღმდეგეები ერთ-ერთად მოუმრავლდა. მოპიკეტეები იმდენად ეგზალტირებულები იყვნენ, რომ რონალდინოს დაცვის სამსახურმა თავიანთი კლიენტი გარეთ იქამდე არ გაიყვანეს, მანამ ხალხი არ დაიშალა. ამის შემდეგ გაუჩო პირდაპირ აეროპორტისკენ გააქანეს. მანქანაში მასთან ერთად დეკუ და რობინიო იჯდნენ. ისინი საშობაო არდადეგების გასატარებლად ბრაზილიაში გაემგზავრნენ. აღსანიშნავია, რომ რონალდინოს აეროპორტშიც ელოდნენ, თუმცა სტადიონისგან განსხვავებით იქ მას სრულიად განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანები შეხვდნენ. ნაწილი სამხრეთამერიკელის გამხმევებას ცდილობდა და გაჰყვიროდა, ყურებს ნუ ჩამოყრი, ჩვენ შენთან ვართ. კარგად დაისვენე და გაძლიერებული დაგვიბრუნდიო. მეორენი კი პირიქით, მთელი ხმით გაიძახოდნენ, რონალდინო ნადი და ბარსელონაში მხოლოდ ტურისტის სტატუსით ჩამოდი. რობინიო ამ ყველა-

ფერს ოდნავ გაოცებული და შემინებული უყურებდა. აეროპორტის შესასვლელთან ფრიად წარმოუდგენელი რამ მოხდა, "რეალის" ვარსკვლავს კატალონიური გრანდის ინჩასები ოვაციებით შეხვდნენ, გაუჩო კი სტვენით აიკლეს. ამ ამბებმა კიდევ ერთხელ დავგარწმუნა, რომ ბარსელონელი ფანები ერთ-ერთი ყველაზე რადიკალურები და მეტისმეტად მომთხოვნები არიან.

ამასობაში, ესპანური სპორტული გაზეთების ვებ-გვერდები სპეკულაციური ინფორმაციებით აჭრულდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპა ახლა ქრისტეს შობას უეიმობს, ელექტრონული მედიის საშუალებით ინტენსიურად ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კვირას რონალდინომ "ბარსას" მაისურით უკანასკნელი მატჩი ჩაატარა. მოსაზრების გასამყარებლად წერენ, რომ უნდა ლაპორტამ "მილანის" მეპატრონისგან, სილიო ბერლუსკონისგან ზღაპრული წინადადება მიიღო და იტალიელს სიტყვიერი თანხმობა განუცხადა. თუ "დიარო მარკას" დაუჯერებთ, დიდია შანსი იმასა, რომ ბრაზილიელი ვარსკვლავი "მილანში" იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე გადაბარდეს.


რეალი. სუპერკლასიკოს გამოხმაურება

ექვანებათი რეალის კატალონიელ გულშემატკივრებს

სამეფო კლუბი ბარსელონიდან ემოციურად გააცილეს

სუპერკლასიკოს კატალონიამ დიდი მწუხარება მოიტანა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ესპანეთის ამ ავტონომიაში სამეფო კლუბის გულშემატკივრები ერთი-ორად მორაგდებულნი არ არიან. დედაქალაქელები მადრიდში რატომღაც არა კვირასვე, არამედ ორშაბათს საღამოს დაბრუნდნენ. "რეალის" ბარსელონიელმა ქომაგებმა ამით კარგად ისარგებლეს და თვითმფრინავის გაფრენამდე რამდენიმე საათით ადრე პრატის აეროპორტში მოიყარეს თავი. ისინი, რა თქმა უნდა, თავიანთი გმირების გამოჩენას ელოდნენ. სამეფო კლუბის ავტონომიის მისვლას უდიდესი ოვაციები მოჰყვა. ცნობილია, რომ დეტატიორმა ფრანკომ მისი მმართველობის დროს კატალონიამ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან უამრავი ესპანელი ჩასახლა. ფრანკო ვიქტორობდა, რომ ამით დემოგრაფიულ სურათს შეცვლიდა და კატალონიამ სეპარატიზმს დაასამარებდა. დღეს 21-ე საუკუნის გადმოსახედიდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიზნობრივმა მიგრაციამ სეპარატიზმი ვერ გააქრო, თუმცა ისიც ფაქტია, რომ პირველი თაობის მიგრანტი ესპანელების შთამომავლები ვერაფერ კატალონიურს ვერ იტანენ და ამის ნიშნად სწორედ "რეალს" ქომაგობენ. აეროპორტში ცხადია, სწორედ ეს ხალხი შეიკრიბა...


ვარსკვლავები გულთბილი ცაცილებით იმდენად მოხიბლულნი დარჩნენ, რომ მადრიდში დაბრუნებისთანავე სენტიმენტალური განცხადებები ერთმანეთის მიყოლებით გააკეთეს. თქვენს სამსჯავროზე რეალის სიტყვებს გამოვიტანთ: "ბარსელონის" აეროპორტში ზღაპრული შეხვედრა მოგვიწყეს. "კამ ნოუზე" არაერთხელ მითამამია, მაგრამ მსგავსი რამ არასოდეს მინახავს. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ კატალონიამ ამდენი ქომაგი გვყავდა. დიდი ხანია, ამხელა სითბო არ მიგრძენია. აღფრთოვანებული ვახლავართ. ჩემთვის ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რამხელა სირთულეებთანაა დაკავშირებული ბარსელონაში ცხოვრება და "რეალის" ქომაგობა. ალბათ, ქუჩაში



ბარსელონა კამ ნოუზე შერცხვა: მადრიდის რეალი სეზონის უმთავრეს გამარჯვებას

რომ შეგამჩნიონ, სერიოზულ უსიამოვნებას ვერ გაექცევი. მინდა განვაცხადო, რომ საკვირაო გამარჯვებას პირველ რიგში სწორედ სამეფო კლუბის კატალონიელ გულშემატკივრებს ვუძღვნი. თქვენ მე გამოვანთე და უზომოდ შემაყვარეთ თავი. ყველაფრისთვის უდიდეს მადლობას მოგახსენებ. ბედნიერი ვარ, რომ გავახარეთ და ერთმანეთს მართლაც დაუვიწყარი წუთები ვაჩუქეთ.

ამ ხალხის შესახებ ყველას მოეუყვები. ვერ წარმოვდგენთ, რა უნერა მათ თვალეში - უდიდესი მონივნა, პატივისცემა, სიყვარული და სითბო. ყოჩაღ ბიჭებო, თქვენ ნამდვილი და საამაყო მადრიდისტები ხართ. არ მიყვარს ზედმეტი პათეტიკა, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ცხოვრება მხოლოდ იმ წამებისთვის ღირდა, რაც ბარსელონის აეროპორტში განვიცადე.



კლაუს ალოფსი და ული ჰიონესი საუკეთესო მეგობრები ნამდვილად არ არიან!

მიუნხენის "ბაიერნის" ხელმძღვანელებს პირველ რიგში მთავარი მწვრთნელის საკითხი აქვთ გადასანწყვეტი. ეჭვი აღარავის ეპარება იმაში, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ ოტმარ შტილიცხელი რეკორდმაისტერს დატოვებს. ასე რომ, ბავარიელებს კიდევ ხუთი თვე აქვთ იმისათვის, რომ ოტმარის შემცვლელი იპოვონ. როგორც კი ამ

პრობლემას მოაგვარებენ, კიდევ ერთი პოსტის საკითხი ექნებათ გადასანწყვეტი. 2009 წლის ზაფხულში რეკორდმაისტერის გენერალურ მენეჯერ ული ჰიონესს "ბაიერნთან" კონტრაქტი უმთავრდება... ამთავითვე ცნობილია, რომ 2009 წლიდან "ბაიერნს" ახალი მენეჯერი ეყოლება, რადგან ჰიონესს სამეთვალყურეო საბჭოში გადასვლა აქვს გა-

მოსლოდელი გადაადგილება

კლაუს ალოფსი ბაიერნის მენეჯერად?

შეცვლის თუ არა ვერდერის პოსტი ული ჰიონესს?

დაწყვეტილი ვინ უნდა შეცვალოს ის მენეჯერის პოსტზე? ჩვენი გერმანელი კოლეგები ბოლო ორი დღეა ამტიკებენ, რომ ულის "ვერდერის" პოსტი, 51 წლის კლაუს ალოფსი შეცვლის. ეს უკანასკნელი ბრემენულ კლუბს 1999 წლიდან ხელმძღვანელობს, აქტიურ სპორტულ კარიერაში ბუნდესლიგის ეგიდით 424 თამაშში აქვს მონაწილეობა მიღებული (177 გოლი "დოიხელდორფში", "ვიოლში" და "ვერდერში"). ალოფსმა ბოლო დროს უდიდეს წარმატებებს მიაღწია, "ვერდერში" რამდენიმე ძალიან სარფიანი ტრანსფერი გაჩარხა და სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ "მუსიკოსები" რეგულარულად იბრძვიან გერმანიის ჩემპიონობისთვის

და ბოლო წლებში "ბაიერნის" უმთავრეს კონკურენტებად ჩამოყალიბდნენ. მაგრამ ნავა კი ალოფსი "ბაიერნში"? ბრემენულ გუნდთან მას კონტრაქტი 2009 წელს უმთავრდება, ანუ ზუსტად იმ დროს, როცა ჰიონესს "ბაიერნთან"...

"ფაქტი ის ვახლავთ, რომ პირველ რიგში "ვერდერს" დაველაპარაკებ. მოლაპარაკებებს პარალელურად არავისთან ვანარმოებ - ეს გამოირიცხულია. მაგრამ ფაქტია, რომ ჩემი ბევრი გუნდი დაინტერესდება", - აცხადებს "ვერდერის" სპორტული დირექტორი. გერმანულ მედიამ გამოთქმულ მოსაზრებას ჰიონესის მიერ ვაკეთებული განცხადებაც ადასტურებს. "ბაიერნის" მენეჯერის პოსტზე 30 წლის ბიჭი, მაგალითად ისე-

თი, როგორც შორსტ ჰელდტი (მტუტ-გარტის მენეჯერი) პირადად მე ვერ წარმოვიდგენია. შესაბამისად, არცაა ვასაკვირი, რომ პირველ რიგში ალოფსზე ვფიქრობ, - განაცხადა ჰიონესმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

"ვერდერის" სამეთვალყურეო საბჭოს ალოფსისთვის ახალი კონტრაქტის შეთავაზება აქვს გადაწყვეტილი. პირველი მოლაპარაკება 16 იანვარსაა დაგეგმილი. "ვერ ვიტყვი, რომ აუცილებლად "ვერდერში" დავრჩები. სანამ ასეთ რამეს ვიტყვოდე, სამეთვალყურეო საბჭოს უნდა გავესაუბრო. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სამეთვალყურეო საბჭომ იცის, რომ ჩემი არაერთი კლუბია დაინტერესებული", - ამბობს ალოფსი.

ინგლისი. პრემიერლიგა. XIX ტურის წინ

გილოცავთ შოხას და ახალ ნელს: ინგლისში საღმარისაგანაულო მარათონი დაიწყო

დღეს

გილიანაი-ვილსონი
ჩალსი-ასტონ ვილა
ლაიპსი-ლივერპული
ვეარსონი-პულსტონი
პრუსტონი-არსენალი
სანდერლენდი-მანჩესტერ იუნაიტედი
ბრუსტონი-შუტლინგენი
ნელსი-არსენალი

ხვალ

მანჩესტერ სიტი-პალერმი

რომ ამდენი უარყოფითი ბალანსის შემდეგ "დერბი ქაუნთის" ცხრილში უკანასკნელი საფეხური უყავია. და მაინც, "ლივერპულს" თავაკცმა რაფა ბენიტესმა ფრთხილი კომენტარი გააკეთა. მან შეგიძლებს მოუწონა, მეტოქის სატურნირო მდგომარეობას ყურადღება არ მიაქციონ და ისიც არადა ჩააგდონ, რომ სექტემბერში, საშინაო მატჩისას, "დერბის" ექვსი უპასუხო გოლი უძღვნეს. ბენიტესი შემადგენლობის როტაციას ვაგვრძელებს. მომავალ უქმეებზე მას ვაცილებით რთული გამოცდა აქვს - სტუმრად "მანჩესტერ სიტისთან". ამიტომ გუნდის რამდენიმე ლიდერს თადარიგში ვიხილავთ. სამაგიეროდ, თავის გამოჩენის შანსი მიეცემათ რაიან ბაბელს, ანდრეი ვორონინს, ფაბიო აურელიოსა და ლუკასს. "დერბის" შემადგენლობაში სავსეა კაპიტან მეტ ოუელის ასპარეზობა. ცნობისათვის, მასპინძელთა თავაკცია პოლ ჯუელი ბავშვობიდან "ლივერპულს" თავგადაკული ფანია. მაგრამ ამ საღამოს მინიმუმ 90 წუთის განმავლობაში საკუთარი გრძობების დაინყება მოუწევს...

18 შეხვედრაში მხოლოდ 35 გოლი გავიდა (საშუალოდ, 1.94 გოლი ერთ მატჩში). გოლების სიმცირე ქულეებზე აისახა. 18 მატჩში დაგროვებულ 37 ქულა "ჩელსის" ყველაზე ცუდი შედეგია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

დღეს ლონდონელებს ძირითადი გოლიკები უტერ ჩეხი დააკლდებათ. ის "ბლექბერნთან" ბოლო ტურის მატჩში დაშავდა. ტრავმირებულია მეორე მეკარე კარლო კუდინიცი. ძირითადი ენრიკე ილარიოს ვიხილავთ. ილარიო "ბლექბერნთან" შეცვლაზე შევიდა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. შეგახსენებთ, პარმანდელ სეზონში, ჩეხის უმძიმესი ტრავმისას, არისტოკრატების კარს სწორედ ილარიო იცავდა და არა ნომინალური მეორე გოლიკები კუდინი, მიუხედავად იმისა, რომ იმხანად კუდინი ჯანმრთელი იყო. საყვეყნოდ ცნობილია ჯონ ტერისა და დიდე დროგას ტრავმების შესახებ. ამიტომ ამ საკითხზე აღარ შევიჩერდებით. გრანტს სხვა საკადრო პრობლემები არ გააჩნია. რაც შეეხება "ვილას", გამოჯანმრთელდა ნამყვანი ნახევარმცველი სტილიან პეტროვი. ბულგარელმა ლევიონერმა "მანჩესტერ სიტისთან" ბოლო ტურში შეცვლაზე ითამაშა. ბირმინგემელები ოთხმატჩიანი მოუგებელი სერიის დასრულებას შეეცდებიან...

"ტოტენჰემთან" ბოლო ტურის მატჩის წინ მას ნაიარეგმა ფეხმა შეახსენა თავი. ჰოლანდიელი გარემარბის დაყენება არ გარისკეს. უმნიშვნელო ტრავმა აწუხებს თეო უოლკოტსაც. ძირითადში ვიხილავთ კიდევ ერთ ახლად გამოჯანმრთელებულ ფეხბურთელს, ემანუელ ებუეს, რომელმაც "მამლუბთან" 74 წუთი ითამაშა. საინტერესო დეტალი: "პორტსმუთს" "არსენალი" 49 წელია, არ დაუმარცხებია. ბოლო გამარჯვება შორეული 1958 წლით თარიღდება...

სანდერლენდში მოსწავლისა და მასწავლებლის, როი კინსა და სერ ალექს ფერგუსონის დუელი ვიხილავთ. "სთუდენტს" ოფ ლაითზე "მანჩესტერ იუნაიტედი" ჩადის. "სანდერლენდმა" პრემიერლიგის ბოლო 11 შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა. "იუნაიტედი" ბოლო ოთხი თამაში მოიგო. "შავ კატებთან" "ემპაკების" ბოლო ნაგება 1997 წლის თარიღდება. მას შემდეგ გუნდები პრემიერლიგაში 11-ჯერ შეხვედნენ ერთმანეთს. "მენიუმ" რვა შეხვედრაში გაიმარჯვა და სამი ფრედ დასრულა.

"ტოტენჰემი" უთაო "ფულჰემს" ეთამაშება. სუანდე რაბოსს მთელ რიგ პრობლემებთან მოუწევს გამკლავება. საეჭვოა დარენ ბენტონს, დოსონის, რიჩასა და ჯენასის ასპარეზობა. ხანგრძლივ შეხვედრაში იმყოფებიან კინგი, გარდნერი, ბელი, ზოკორა და ასუ-ეკოტი. "ფულჰემს" კვლავ ვერ დაეხმარება ორი ლიდერი, ბრაიან მარკუარიდი და ჯიმი ბულარდი.

ტურის ერთი შეხვედრა, "მანჩესტერ სიტისა" და "ბლექბერნს" შორის ხვალ გაიმართება. სტუმრებს ერთბაშად სამი ფეხბურთელი ჰყავთ დასჯილი: რობი სევიჯი, სტივ უორნოკი და კიტ ტონისი. ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხსნება ცენტრალური დისკვალიფიკაცია კრისტოფერ სამბამ. გასულ უქმეებზე, "ჩელსისთან" მატჩისას, მის ადგილზე სურაბ ხი-ნანიშვილი ასპარეზობდა.

	მ	ა	ფ	ნ	ბ	ქ
1. არსენალი	18	13	4	1	36-15	43
2. მან. იუნ.	18	13	3	2	32-9	42
3. ჩალსი	18	11	4	3	25-10	37
4. მან. სიტი	18	10	4	4	25-20	34
5. ლივერპული	17	9	6	2	31-11	33
6. მმრტონი	18	9	3	6	32-18	30
7. პრუსტონი	18	8	6	4	29-19	30
8. ასტონ ვილა	18	8	5	5	29-21	29
9. ნიუსასლი	18	7	5	6	26-28	26
10. პალერმი	18	7	5	6	23-25	26
11. მმტონი	17	7	4	6	22-15	25
12. რაინი	18	6	3	9	24-35	21
13. ტოტენჰემი	18	4	6	8	30-31	18
14. ბლექბერნი	18	4	5	9	21-27	17
15. ვილსონი	18	4	5	9	17-30	17
16. ბირმინგემი	18	4	3	11	18-30	15
17. ფულჰემი	18	2	8	8	19-24	14
18. სანდერლენდი	18	3	5	10	17-34	14
19. შიპსონი	18	3	4	11	18-34	13
20. დერბი	18	1	4	13	8-41	7



ინტერვიუ ჟან-პიერ პაპენთან

შეიშვლა ფანბურთელთა მენტალიტეტი და არა თავად ფანბურთი

პაპენს იმედი აქვს, რომ ლანსთან ერთად რომელიმე ფრანგულ თასს მოიგებს

დღი ფეხბურთელები ყოველთვის ვერ ხდებიან დიდი მწვრთნელები, ზოგიერთებს ეხერხებათ თავიანთი მრავალწლიანი გამოცდილების შეგირდებამდე ზუსტად მიტანა, ზოგიც ამ საქმეს ნაადრევად ანებებს თავს. სპეციალისტები ჟან-პიერ პაპენს წარმატებულ სამწვრთნელო კარიერას უწინასწარმეტყველებენ. 90-ანი წლების შესანიშნავმა ფრანგმა თავდამსხმელმა უკვე მიაღწია თვალსაჩინო წარმატებებს საფრანგეთის მეორე დივიზიონში, როცა "სტრასბური" ელიტაში გადაიყვანა. მაგრამ ამ კაცმა, რომელიც გულშემატკივრებმა "მარსელის" XX საუკუნის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, იცის, რომ ფეხბურთში სიტუაცია სწრაფად იცვლება. და აი, მიმდინარე სეზონის დაწყების წინ, მას მიღწევები დაუფასეს და "ლანსში" ლეგენდარული გი რუს პოსტი შესთავაზეს. ახლა, პაპენი პირველ ნაბიჯებს დგამს საფრანგეთის მთავარ ლიგაში, როგორც უკვე ჭეშმარიტად პროფესიონალი მწვრთნელი.

პრემიერდივიზიონში გამოცხადებულმა შესვენებამ პაპენს თავისი მშობლიური კუთხისკენ უბიძგა. ის ახლა პა-დე-კალეში ისვენებს. სწორედ იქ შეხვდა "ოქროს ბურთის" ყოფილ ლაურეატს (1991) ფიფას ოფიციალური ვებგვერდის კორესპონდენტი...

- "ლანსს" რთული პერიოდი უდგას. გამოდინარე იქიდან, რომ თქვენთვის ეს პირველი სერიოზული გამოცდაა პრემიერდივიზიონური კლუბის მწვრთნელის პოსტზე, საინტერესოა, როგორ უძლებთ ნწებს?

- ეს უკვე გამოცდილი მაქვს ფეხბურთელების დროს, მაგრამ მწვრთნელობისას ხვდები, რომ აბსოლუტურად განსხვავებულ ფენომენთან გაქვს საქმე. თავისთავად, მთავარსა და მეორე ლიგას შორის განსხვავება დიდია, ოღონდ, არა მხოლოდ სპორტული კუთხით, არამედ მედიის მხრივაც. უმალეს დივიზიონში რომ მუშაობ, შეგუებული უნდა იყო, რომ მუდმივად გაზეთების თუ ტელევიზიების ყურადღების ცენტრში იქნები. აქ არ იცნობენ ცნებას "მიეცით მწვრთნელს მეტი დრო". თუ საქმე კარგად მიდის, ბრილიანტი ხარ, მაგრამ როგორც კი ოდნავ ფეხი დაგიცდება, მაშინვე ამას კატასტ-

როფად ნათლავენ. სხვათა შორის, არც ერთი ეს შესაფება სწორი არ არის. იცით, მთავარი სირთულე რაშია? თუ მწვრთნელი მუშაობს ინყებს მაშინ, როცა ჩემპიონატის რამდენიმე ტური უკვე ჩატარებულია. ბუნებრივია, როცა გუნდი შენ არ მოგიზადებია, ამას ყოველთვის ახლავს თან მძიმე სიტუაცია.

- ეს უფრო ძნელია თუ ის, რომ "სტრასბურში" დარჩენილიყავით და ამ გუნდისთვის უმაღლეს ლიგაშიც გეხელმძღვანელო?

- წმინდა საფეხბურთო მოსაზრებით, "სტრასბურში" მუშაობა ჩემთვის უდიდესი გამოცდილების მომტანი იყო, მაგრამ თუ ვისაუბრებთ პერსონალურ მოტივებსა და პერსპექტივაზე, რა თქმა უნდა, ეს არ იყო მთლად კარგი პერიოდი. თუმცა ყოველთვის ვცდილობ, ცუდი მალე დავივიწყო. არის ხალხი, ვისი ამაგიც მუდამ მემახსოვრება, ვისიც მუდამ მადლობელი ვიქნები. ჩემი პრობლემა ის იყო, რომ ვენდობოდი ხალხს და მეგონა, ყველაფერი კარგად იყო. ფეხბურთელები, გულშემატკივრები და მთლიანად ქალაქი, ჩემს გარშემო შესანიშნავ, განუმეორებელ ატმოსფეროს ქმნიდნენ. თუმცა იყო სხვაიც, ვგულისხმობ არასაფეხბურთო ფაქტორებს, რის გამოც "სტრასბურში" დარჩენა აღარ მსურდა.

- რამდენად გეხმარებოდათ თქვენი, როგორც ფეხბურთელის რეპუტაცია, გუნდის შიგნით პატივისცემის მოპოვებაში?

- ცხადია, შენი წარსული, ის, რაც გაგიკეთებია, პატივისცემას გმატებს. თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისისთვის. მაგრამ მერე შედეგებიც უნდა გქონდეს, თორემ ლამაზი წარსული ყველას ავიწყდება. თუ ფეხბურთელებს ზუსტად არ გადასცემ იმას, რაც საჭიროა, ეს ძვირად გიჯდება. გასულმა სეზონმა ეს თვალნათლივ მაჩვენა და ბევრი რამ მასწავლა. ამიტომაც ვამბობ, რომ "სტრასბურში" სერიოზული გამოცდილება მივიღე. ახლა უფრო მკაცრი ვარ.

- "სტრასბურამდე" იყო სამოყვარულო კლუბი "არკაშონი". ეს თუ დაგეხმარათ გამოცდილების დაგროვებაში?

- ყოველმხრივ. მაგრამ საქმე ისაა, რომ სამოყვარულო კლუბში ფეხბურთელები მოდიან სავარჯიშოდ, რათა საშუალო შემდეგ გაერთონ და განტვირ-

თვა ნახონ. მათთვის ეს თავისუფალი დროა. პროფესიონალისთვის კი ეს ჩვეულებრივი სამსახურია. ამაშია სწორედ განსხვავება. თუმცა გამარჯვების სურვილი ყოველთვის არსებობს. რომ არა "არკაშონი", ნამდვილად არ ვარ დარწმუნებული, დავინწყებდი თუ არა საერთოდ მწვრთნელობას. ტრავმაში ნუ ჩამომართმევთ და, საქმე ფაქტობრივად არაფრიდან დავინწყე. მერე მოვიგეთ მეოთხე დივიზიონი, მერე იყო "სტრასბური", რომელიც პრემიერდივიზიონში გადავიდა... დღეს "ლანსში" ვარ და ესეც აბსოლუტურად სხვა გამოწვევაა, თან უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. ეს ისეთი ეტაპია, როცა თავისი საქმით დაინტერესებულმა მწვრთნელმა მუშაობაზე უარი არ უნდა თქვას და მხოლოდ პროგრესზე იზრუნოს.

- ანუ, გინდათ თქვათ, რომ სამოყვარულო კლუბში მუშაობა შეგნებულად დაინწყეთ, რათა დღევანდელი მისთვის მომზადებულიყავით?

- ვიდრე "არკაშონში" მივიდოდი, მეორე დივიზიონის კლუბში მიმინვიც, ასევე, მქონდა შეთავაზება, მეგუშავა "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდთა მწვრთნელად... მაგრამ ახლა ნამდვილად ვერ ვიტყვი, იგივე ვაზს გავივლიდი თუ არა, წარსულში რომ დავბრუნებულიყავი. ვადავებ ვყოველთვის მქონდა ეჭვები და არ მინდოდა, რომ ახალი თავგადასავლის ძიებაში რაიმე შეცდომა დამეშვა. თუ მწვრთნელობა გინდა, უნდა გქონდეს ვნება როგორც ფეხბურთის, ისე ქომაგებისა და რაღაც სიახლისადმი.

- პრაქტიკულად, თქვენ ყველაფერი მოიგეთ, როგორც ფეხბურთელმა. საინტერესოა, რა გაძლევთ კიდევ იმის მოტივაციას, რომ ყოველ დილით ადრე ადგეთ, ჩაუტაროთ გუნდს ვარჯიში, მერე ბევრი ინერვიულოთ თამაშის დროს და ეს მაშინ, როცა იცით, რომ ყოველ წუთს შეიძლება სასტიკი კრიტიკის ობიექტი გახდეთ?

- ფეხბურთი ძალიან მიყვარს. ამ საქმისადმი ჩემი დამოკიდებულება აბსოლუტურად ნათელია და ვიცი, რაც უნდა გავიღო ფეხბურთისთვის. ვიდრე ამაში დიდი ვნებაა, მზად ვიქნები, პროფესიონალის ყველაფერი გავიღო, მთელი დრო მას დავუთმო. არ ვიცი, რამდენად დიდხანს დავრჩები ფეხბურთში... ალბათ, ნ წლამდე. მერე უნდა მქონდეს



ჟან-პიერ პაპენი საფრანგეთის ნაკრებში

დრო იმისთვისაც, რომ შვილებითა და შვილიშვილებით დაგტკბე.

- ამბობთ, რომ მთავარ მწვრთნელად მუშაობა უდიდესი პასუხისმგებლობაა. რა მსხვერპლი გაიღეთ იმისთვის, რომ ფეხბურთში დაბრუნებულიყავით?

- მქონდა შანსი, რომ ფეხბურთელობის შემდეგ მოედნისკენ საერთოდ აღარ გამეხებდა. შვიდის წლის განმავლობაში ასეც ვაკეთებდი. მერე დაგბრუნდი... ვცდილობდი, ამეწყო ახალი ცხოვრება მას შემდეგ, რაც ჩემი ქალიშვილი გამოჯანმრთელდა (გოგონამ ტვინის დაზიანება მიიღო, რის შემდეგაც ჟან-პიერმა და მისმა მეუღლე ფლორანსმა დააარსეს ასოციაცია, რომელიც ამგვარი დაზიანებისგან თავის დაცვას უზრუნველყოფს). შვიდის წლის განმავლობაში ასეც ვაკეთებდი. მერე დაგბრუნდი... ვცდილობდი, ამეწყო ახალი ცხოვრება მას შემდეგ, რაც ჩემი ქალიშვილი გამოჯანმრთელდა (გოგონამ ტვინის დაზიანება მიიღო, რის შემდეგაც ჟან-პიერმა და მისმა მეუღლე ფლორანსმა დააარსეს ასოციაცია, რომელიც ამგვარი დაზიანებისგან თავის დაცვას უზრუნველყოფს). შვიდის წლის განმავლობაში ასეც ვაკეთებდი. მერე დაგბრუნდი... ვცდილობდი, ამეწყო ახალი ცხოვრება მას შემდეგ, რაც ჩემი ქალიშვილი გამოჯანმრთელდა (გოგონამ ტვინის დაზიანება მიიღო, რის შემდეგაც ჟან-პიერმა და მისმა მეუღლე ფლორანსმა დააარსეს ასოციაცია, რომელიც ამგვარი დაზიანებისგან თავის დაცვას უზრუნველყოფს).

- როგორ მიდის საქმეები იმ ასოციაციაში, რომელიც მეუღლესთან ერთად დააარსეთ?

- ახლახან, 10 წლისთავი აღვნიშნეთ. ასოციაცია ძლიერდება. შემუშავებულია ახალი მეთოდები, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ ბავშვებს რეალურად ვუშველოთ. სამწუხაროდ, არ მაქვს დრო, რომ ამ საქმეს ყოველდღიურად მივხედო, მაგრამ როგორც კი თავისუფალ დროს გამოვინახავ, მაშინვე ასოციაციას მივაშურებ ხოლმე...

- დავბრუნდით ფეხბურთს. როცა ყოფილი მოთამაშეები ფეხბურთში მწვრთნელებად ბრუნდებიან, ხშირად ამბობენ, რომ ამ სფეროში ბევრი რამ შეიცვალა. 10 წელია, რაც ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდეთ. რას ფიქრობთ, მართლა შეიცვალა ფეხბურთი თუნდაც ამ ბოლო ათ წელიწადში?

- ჩემი აზრით, შეიცვალა ფეხბურთელების მენტალიტეტი და არა თავად ფეხბურთი, როგორც ასეთი. იმის გათ-

ვალისწინებითაც კი, რომ დღეს ტურნირების გრაფიკი უფრო ინტენსიურია, თამაში ისევე ისეთია. შესაძლოა, დღეს ზოგიერთ ფეხბურთელს ნაკლები აქვს... როგორ გითხრათ, ბურთის შიმშილი. მოთამაშეებს ახლა მეტი პრივილეგია აქვთ, ვიდრე თუნდაც 10 წლის წინ იყო. იცით, მე ასე მეგონია, რომ მაშინ ჩვენ უფრო მეტბრძოლები ვიყავით. როცა რაღაც მიზეზების გამო მოედანზე გასვლა არ გვინებდა, ეს სამყაროს დასასრულს ჰგავდა. ახლა, მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ფეხბურთელებისთვის ეს აღარ არის მთავარი, რადგან ყოველთვის გამოიძებნება სხვა კლუბი და სხვა კონტრაქტი...

- რას შეცვლილით ამ მხრივ, როგორც მწვრთნელი?


- მწვრთნელს შეუძლია, რაღაც გამოასწოროს, მაგრამ ეს ვერ იქნება ძირითადი ცვლილებები. ეს ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. მე მაგალითად, შემოძლია შევცვალო ვარჯიშის პროცესი, თუმცა მთავარია, მოთამაშეებმა საკუთარ განვითარებაზე ინდივიდუალურადაც იზრუნონ.

- რას იტყობით "მარსელში" მთავარი მწვრთნელის რანგში დაბრუნებაზე?

- სიმართლე გითხრათ, ახლა ამაზე ნამდვილად არ ვფიქრობ. დღესდღეობით მთლიანად "ლანსზე" ვარ კონცენტრირებული, ჯერჯერობით საკუთარი თავი სხვა გუნდში ვერ წარმომიდგენია. ეს არის დიდი შანსი ჩემთვის და თუკი ჩვენს სამუშაოს კარგად შევასრულებთ, შედეგსაც მივიღებთ. ამასთან, პირობები, რომელიც არის "ლანსში", შესანიშნავია, განსაკუთრებით ეს სანვრთნელ კომპლექსს ეხება. შესაბამისად, ფეხბურთელებს ყველანაირი შანსი აქვთ, რომ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება მოახდინონ. ეს უკვე დიდი პლუსია.

- დაბოლოს, რა დაიტოვებთ 2007 წლისგან და რა იმედებს უკავშირებთ 2008 წელს?

- რაც შეეხება იმას, თუ რას დაიტოვებ, ეს არის "სტრასბურგის" ფეხბურთელებთან ერთად მუშაობა, რამაც უმალეს დივიზიონში გადასვლის საშუალება მოგვცა. 2008 წლისთვის კი, იმედი მაქვს, რომ "ლანსი" რომელიმე ფრანგულ სათასო ტურნირს მოიგებს.





რეპორტი



ყოფილი მწვრთნელი მალხაზ ჭიჭილაძე და ყოფილი კაპიტანი ილია ზედგინიძე

ინტერვიუ მალხაზ ჭიჭილაძესთან ლეინა ახალი ფურსელი უნდა დაგვიწეროს

პირველი გვერდიდან

მან რაღაც ახალი უნდა შემოიტანოს. უფრო გაამრავალფეროვოს და გააძლიეროს, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანოს ჩვენი ეროვნული ნაკრები. ქართველები მაქსიმალისტები და სულსწრაფები ვართ. რაც შეიძლება მაღელვებით ვეცადებოდა ქართველი ასისტენტი, რომელიც მეკავშირის როლს შეასრულებს მასა და მორაგებებს შორის.

- ტიმ ლეინის ვიზიტისას, მას შეხვედრას და ქართველ მწვრთნელთან. რაზე ისაუბრეთ, თუ საიდუმლო არაა და როგორი შთაბეჭდილება დატოვა მან?

- საიდუმლო და რაიმე განსაკუთრებული იქ არაფერი თქმულა. ვისაუბრეთ მისი ბიოგრაფიის შესახებ, რაზედაც არაერთხელ დაინერა და ითქვა. შთაბეჭდილება ნორმალური დატოვა. ისე კი, ადამიანზე რამე რომ თქვა, კარგად უნდა იცნობდ და შეხვედრის გაცემას.

- ნაკრების მწვრთნელი აღარ ხართ. გული არაფერზე გწყდება?

- არა, არაფერზე. არ განვიცდი, მშვენივრად მიხნავს. მწვრთნელის საქმიანობა საყოველთაოდ დაუფასებელი პრობლემაა. მწვრთნელი არასდროს ცხოვრობს დღევანდელი დღით, ის ყოველთვის წინ იხედება, ხვალისთვის დღესეული ფიქრობს, როგორ გააუმჯობესოს, აამაღლოს გუნდის თამაშის ხარისხი. ჩვენ, სამივემ, პაატა ნარიშვილიდან და დავით ჩავლეიშვილიდან ერთად ამ საქმეში მთელი სული და გული ჩავდეთ. ავად თუ კარგად, გამოვავიდა. ყოველ შემთხვევაში მიმართა და საზოგადოებრივი აზრიც ასეთია, რომ ჩვენ ნაკრებთან ერთად წარმატებას მივაღწიეთ. რაც ცოდნა და გამოცდილება გავგაჩნდა, მაქსიმალურად გამოვიყენეთ. რაც

მთავარია, საქართველოს ნაკრები აღმოჩნდა ის გუნდი, რომლის თამაშშიც აიძულა IRB-ის ხელმძღვანელები, მომავალი მსოფლიო თასზე გუნდების 16-მდე შემცირების გადაწყვეტილება შეეცვალა. ამასი წინი ჩვენც მივვიძვინეთ, ცხადია, ფრანგ კოლეგებთან ნიკოლა ფულკიესა და ანრი ბრონკანთან ერთად.

- რა გეგმები აქვს საქართველოს მორაგებთა ნაკრების ყოფილ მწვრთნელს?

- რაგბის კავშირმა სარაგბო აკადემიაში სამსახური შემომთავაზა, რომელიც ფუნქციონირებს იანვრიდან დაიწყებს. ვფიქრობ, ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. გარკვეული სქემა, როგორ უნდა ვიმუშაოთ შემუშავებული გეგმის მიხედვით. მთავარი მიზანი იქნება ახალგაზრდა მორაგებები სრულყოფილი, ჩამოყალიბებული სახით მოვუზადოთ სხვადასხვა ასაკის ნაკრებებს. ყურადღებას მართო სპორტულ მხარეს არ დავეთხოვით. მუშაობა წარიმართება ამ ბიჭების მენტალურად განვითარებაზეც.

რაგბის კავშირის ტექნიკურ დირექტორ გია ჭუმბურიძისთან შეთანხმებული ვართ, რომ აკადემიაში იმუშავებენ ჩემი კოლეგები დავით ჩავლეიშვილი და პაატა ნარიშვილი. ჩვენთან ერთად იქნება ფრანგი ფიზიოლოგების მწვრთნელი, ნიკოლა ფულკიე. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში პერიოდულად მოვიწვევთ უცხოელ მაღალი დონის სპეციალისტებსაც. აქვე ჩატარდება მსაჯთა სემინარებიც. ამას ითვალისწინებს IRB-ის პროგრამა, რომლის მიერ გამოყოფილი თანხაც მთლიანად, კონკრეტულად ამ აკადემიის აწყობასა და ფუნქციონირებისთვის დაიხარჯება.

ბესიკ ჯანაშვილი

ძიუდო

ახალი დარბაზი ფასანაურში

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამ ბოლო წლებში ძიუდოს დარბაზები სოკოებით რომ მომრავლდა, არახალია. გუშინ, 25 დეკემბერს მორიგი ძიუდოს დარბაზი დაბა ფასანაურში გაიხსნა, სადაც ახალი თაობისათვის დანერგული და მიუხედავად შენობის ადგილას, საუკეთესო პირობებით აღჭურვილი სპორტული დარბაზი აშენდა. ძიუდოს დარბაზი ყოფილი კინოთეატრის ადგილას მოეწყო, იქ, სადაც ბოლო წლებში მხოლოდ შენობის ნანგრევებია იყო შემორჩენილი.

ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობას სამი თვე დასჭირდა, ძირითადი თანხა კი სხვადასხვა ბიზნესმენის შემონიშნულობებით მოგროვდა.

ძიუდოს დარბაზის კეთილმოწყობისათვის მნიშვნელოვანი წვლილი გაიღო საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა და დუშეთის რაიონის გამგეობამ. დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურმა ფასანაურის დარბაზს ძიუდოს ორი ტაბაში და პატარებისათვის რამდენიმე აუთელური კომონო გადასცა, რამაც ახალ-ახალი ჯგუფების შექმნა და საერთოდ, დარბაზის გახსნა დააჩქარა.

დღეისათვის, ფასანაურის დარბაზში 60-მდე ბავშვმა უკვე დაიწყო ვარჯიში ძიუდოში, ხოლო სამომავლოდ 200-300 მოვარჯიშის თავშეყრა იგეგმება.




გუშინ, ახალი დარბაზის ოფიციალური გახსნის დღე იყო და ფასანაურში ამ ახალი ინიციატივის წამოწყებას მრავალი ადამიანი შეეგება. დარბაზის გახსნაზე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ერთად დუშეთის რაიონის გამგებელი გოდერძი ბერბერაშვილი იმყოფებოდა. ფასანაურში ბავშვებთან ერთად გახლდათ ევროპის რამდენიმეგზის ჩემპიონი, დღეისათვის კი დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულის თავმჯდომარის მოად-

გილე ივერი ჯიქურაული, ვისაც ამ კონკრეტულ რეგიონში სპორტის განვითარებისათვის ზრუნვა ევალება. ფასანაურის ძიუდოს დარბაზში მწვრთნელად მშები - ზაზა და ზურაბ მელიქიშვილები იმუშავენ. ფასანაურის ძიუდოს დარბაზში მსურველებს ახლომდებარე სოფლებიდანაც მიიღებენ. გუდამაყრელ, ჭართალელ, მუგულელ, მღეთელ და სხვა ადგილებიდან ძიუდოთი დაინტერესებულ მსურველებს თავისუფ-

ლად შეეძლებათ ვარჯიშზე მისვლა და სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში გაერთიანება. გუშინდელ გახსნაზე მთავარი სურვილი კის იყო, რომ ფასანაურის ძიუდოს დარბაზში მოვარჯიშე პატარებიდან მომავალში საქართველოს ნაკრებში მიიღოს შევება და საქართველოს ამ კუთხიდან ქვეყანას ახალ-ახალი ჩემპიონები შეემატოს.

გიორგი ჯანიშვილი, სპორტის დეპარტამენტის პრესმენტი



ქარიანი

ლომაიას ხსოვნის ბურნიერი

ქართულ ჭადრაკს მრავალი კოლორიტული ფიგურა ჰყავდა. მათ უდიდესი კვალი დატოვეს ამ სახეობის საქართველოში განვითარების საქმეში, სამწუხარო ისაა, რომ დიდ ნაწილს ქართული საზოგადოება კარგად არ იცნობს.

ერთ-ერთი ასეთი ბურჯთაგანი გახლდათ თეიმურაზ ლომია, რომელიც თავისი თაობის ლიდერად მიიჩნეოდა და ისეთ დიდ მოჭადრაკეს არ უდებდა ტოლს, როგორც რომან ჯინჯიასაშვილი იყო. საჭადრაკო ტალანტის მქონეს არც პიროვნული თვისებები დაეწინა-

ბოდა და ამითაც შეაყვარა თავი ყველას. კეთილსინდისიერი, მშვიდი, რაინდული ბუნების გახლდათ და პატივისცემასაც დასახურებულად იღებდა. სამწუხაროდ, ბატონ თეიმურაზს პირად ცხოვრებაში ასე კომფორტულად ვერ აენყო საქმე და მარტოსულად დარჩენილმა დიდი გალაკტიონივით დაასრულა სიცოცხლე...

მას შემდეგ კარგა ხანია გასული. საბედნიეროდ, ქართულმა საჭადრაკო სამართი თეიმურაზ ლომიას ხოსნას პატივი მიაგო და მისი სახელობის ტურ-

ნირს ჩაუყარა საფუძველი. ტურნირი ტრადიციულია და ძირითადად დაბალი ასაკის მოჭადრაკეებში ტარდება: 7-10-12 და 14 წლამდე. თეიმურაზ ლომიას სამწვრთნელო ასპარეზზე შესანიშნავი შედეგები ჰქონდა, მისი მოწაფეები იყვნენ - ზურაბ აზმაიფარაშვილი, გივი გოგიჩაიშვილი, დეზო მელაშვილი და სხვა ნიჭიერი ქართველი მოჭადრაკეები. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებს და წარმატებებსაც აღწევდნენ საკავშირო პირველობებზე.

მიმდინარე ტურნირმა სტარტი ორი დღის წინ, თბილისის ჭადრაკის სასახლეში აიღო. ჩატარების სისტემა შვეიცარიულია და 7 ტურად გაიმართება. სათამაშო დრო არასტანდარტულია: 1 საათი ეძლევა თითოეულ მოჭადრაკეს, ყოველგვარი წამების დამატების გარეშე.

მონაწილეთა რაოდენობა საკმაოდ დიდია და ტურნირსაც დიდი ინტერესი ახლავს თან: გარდა იმისა, რომ მოჭადრაკეები გაითამაშებენ საპრიზო ადგილებს, ქულები მათ მწვრთნელებსაც


დაენერგებათ და, შესაბამისად გამარჯვებული და პრიზორები მწვრთნელთა შორისაც გამოვლინდება. აქ ქულათა დარიცხვის სპეციალური სისტემა მოქმედებს: თითოეულ ასაკში პირველ ადგილზე გასული საკუთარ მწვრთნელს 15 ქულას შესძენს; მეორეადგილოსანი - 13-ს; მესამე - 11-ს; IV - 9; V - 8; VI - 7-ს; VII - 6-ს; VIII - 5-ს; IX - 4-ს და მეთექვსმეტე - სამს. როგორც მოჭადრაკეები, ისე მათი მწვრთნელები ფასიანი საჩუქრებით და დიპლომებით დაჯილდოვდებიან.

ზვიად შატირიშვილი



უნიკური ჟიდაობა

ჩეხეთს ალბათ დაასვენებენ



ბადრი ხასაია საქართველოს ჩემპიონატს ალბათ გამოტოვებს

ათიოდ ღვამს, საქართველოს ნაკრები ბაკურიანშია შეკრებაზე, რითაც საგაისო სეზონისთვის მზადებას ოფიციალურად შეუდგა. ეს შეკრება გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა, მაგრამ ნაკრების თხოვნით, მის მოსაწყობად სპორტის დეპარტამენტმა გამოიწვია სახსრები. ფალაგები ბაკურიანში ძირითადად ფიზიოთერაპიის ვარჯიშობენ. ისინი შეკრებას 30-ში დაამთავრებენ და საახალწლოდ სახლში დაბრუნდებიან, 2-3 დღე დაისვენებენ და მერე გლდანში, ყოფილი ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელში დაიწყებენ მორიგ შეკრებას.

იქიდან გამომდინარე, რომ გაისად ოლიმპიური წელიწადია, მოჭიდებთა უმთავრესი საზრუნავი მისთვის მომზადებაა. მართალია, მანამ ორი მნიშვნელოვანი ტურნირიცა - საქართველოს ჩემპიონატი და ევროპის პირველობა, მაგრამ ესეც ოლიმპიადისთვის მზადების გეგმაში შედის.

საქართველოს ჩემპიონატი 2-3 თებერვალს ტარდება, ოღონდ სად - ჯერ არ გადაწყვეტილა. საეარაუდოდ, მასში ქვეყნის ყველა უძლიერესი ფალაგანი იქიდავებს. ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები სწორედ ამ ტურნირში უნდა შეარჩიოს. ბუნებრივია, ჩემპიონატში ტრავმირებული ვერ გამოვლენ, ასეთი კი ამჟამად გუნდში მხოლოდ მსოფლიოს წლევანდელი მესამე პრიზიორი ბადრი ხასაიაა (84) - მან ვარჯიშზე ფეხის კუნთი დაიზიანა. შესაძლოა, მწვრთნელებმა მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონები - დავით ბედინაძე (60) და რამაზ ნოზაძე (96) დაასვენონ. ეს საკითხი ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია, თუმცა, ალბათ, მაინც დასვენებენ.

საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრები ბორჯომში გაემგზავრება შეკრებაზე, 28-29 თებერვალს კი

უნგრულ სომბათში მსოფლიო თასზე იქიდავებს. იქ ნასაყვანი შემადგენლობა ჯერ საბოლოოდ გარკვეული არაა, მაგრამ მწვრთნელები ფიქრობენ, რომ უძლიერესი შემადგენლობით იასპარეზონ. ეს ტურნირი 1-6 აპრილს ფინურ ტამპერეში გასამართი ევროპის პირველობისთვის მოსამზადებელი ეტაპია და ამიტომ ფიქრობენ უძლიერესთა ნაყვანას - ევროპის ჩემპიონატამდე ლიდერებისთვის სასტარტო შეჯიბრება სწორედ ეს იქნება. მსოფლიო თასამდე - 9-10 თებერვალს ანკარაში იასპარეზებს სახელობის „ოქროს დიდი პრიზის“ მეორე ტურნირი, სადაც ნაკრების სათადარიგო შემადგენლობა იქიდავებს.

ამის შემდეგ ევროპირველობისთვის მზადების მიზნით, ფინეთში ნასვლამდე ნაკრები ორ შეკრებას გამართავს. მათგან ერთს - მინსკში, სტაიკების ოლიმპიურ ბაზაზე, აპრილის დასაწყისშივე კი ტამპერეში ევროპის ჩემპიონატია. იქ ყოველ წონაში პეკინის ოლიმპიადის თითო ლიცენზიაც გაცივმა, მისი დასრულების შემდეგ კი ორი სალიცენზიო ტურნირი ჩატარდება - 9-11 მაისს რომში, 23-25 მაისს - სერბულ ნოვი სადში. იტალიაში ლიცენზიებს ექვეყნულში მოხვედრილები მიიღებენ, სერბეთში - მხოლოდ მედალოსნები. შეგახსენებთ, ლიცენზია მხოლოდ სამ წონაში გვაქვს მოპოვებული...

აქედან მოყოლებული, ნაკრები კვლავ მზადების საშეკრებო ციკლზე გადავა, რომელთაგან ერთს ისევ მინსკში, ზემოაღნიშნულ ბაზაზე გაივლიან, თუმცა ოლიმპიადამდე ნასვლამდე ერთ ტურნირშიც გამოვლენ - 13-15 ივნისს რუმინულ ბრაშოვში, იონ კორნეანუს მემორიალში... სეზონის დასკვნითი ტურნირი კი თავად ოლიმპიადამდე, 12-21 აგვისტოს პეკინში გაიმართება.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ 26-27 იანვარს საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაშიც იყო დაგეგმილი, მაგრამ, საეარაუდოდ, ამ ტურნირის თარიღი შეიცვალა. მოგეხსენებათ, ძიულში სალიცენზიო მსოფლიო თასიც სწორედ იმ დღეებში ტარდება და იგი ვერანაირად ვერ გადაიდება, საქართველოს პირველობის გადატანა კი ბევრად უმტკიცეყოფს მოხდება. იმედია, ჭიდაობის მესვეურნი ქომავისა და მედიის ინტერესს გაითვალისწინებენ და ამ მნიშვნელოვან ტურნირებს ერთმანეთს არ დაამთხვენ.

ირაკლი თაყაიძე

კალათბურთი



ვლადიმერ ბოისა

საოსრება: საკალათბურთო მატჩი ფრედ დამთავრდა

ბოისა ფინალური ოთხეულის მიღმა

ვლადიმერ ბოისას „სპარტაკ-პრიმორიე“ „უნიქსთან“ რუსეთის თასის მეოთხედფინალური მატჩი ფრედ 105:105 დაასრულა. შეიძლება ბევრმა არ დაიჯეროს, მაგრამ 105:105-ის შემდეგ გუნდები მშვიდად გავიდნენ გასახელებულში. გამოვლენებით, ეს ანგარიში მეც რომ ვნახე, მეგონა შეხვედრა არ იყო დასრულებული, მაგრამ თურმე ვცდებოდი. აი, რაში იყო საქმე: თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალში „უნიქსმა“ „პრიმორიე“ 9 ქულის სხვაობით დაამარცხა. საპასუხო მატჩში თავიდანვე ბოისას თანაგუნდელებმა მოიპოვეს უპირატესობა და შეხვედრა 85:76 მოიგეს. როგორც ხედავთ, ამჯერად „პრიმორიე“ იმარჯვა 9 ქულით და ლოკატორად ოვერტიმში დაინიშნა. საინტერესოა ისიც, რომ დამატებით დროში გუნდებმა 16-16 ქულა ჩააგდეს და მეორე ოვერტიმის წინ „სპარტაკ-პრიმორიე“ კვლავ 9 ქულით იგებდა - 101:92. მეორე დამატებით ხუთწუთეულში „პრიმორიე“ მასპინძლებთან სათანადოდ გასამკლავებლად ძალები აღარ ეყო და 4:13 დათმო. ასე რომ, საფინალო სირენამ საყაიმო ანგარიში დააფიქსირა - 105:105. ვინაიდან მეორე ოვერტიმის შემდეგ ორი მატჩის ჯამში „უნიქსი“ დანინაურდა, შეხვედრის გაგრძელებაც აღარ ვახან საჭირო. ფინალურ ოთხეულში ბოისას „პრიმორიე“ ნაცვლად ყაზანის „უნიქსი“ ითამაშებს.

საქართველოს ნაკრების ფორმირებაში საქართველო ეფექტური მონაგარით დაასრულა: 15 წუთში 3-დან 2 ორქულიანი, 4-დან 1 სამიანი ჩააგდო და 7 ქულას დასჯერდა. გარდა ამისა, ბოისას ანგარიშზე 5 მოხსნა, 2 შედეგიანი გადაცემა და 1 ჩაჭრა. „პრიმორიელთა“ რიგებში ამერიკელი ცენტრი ჯოზეფ ბლერი გამოირჩა: 26 ქულა (12-დან 11 ორქულიანი) და 13 მოხსნა.

ქართველ ლეგიონერთა შორის ყველაზე გრძელი საახალწლო არდადეგები ვლადიმერ ბოისას ექნება. მისი „სპარტაკ-პრიმორიე“ მომდევნო მატჩს რუსეთის ჩემპიონატში 19 იანვარს გამართავს. ვლადიმერ ბოისას ოქტომბრის სათამაშოდ მოსკოვის ოქს ესტუმრებიან.

ვაჟა სიმონიშვილი

ხალხური

თავზაკე შვედეთში აპირებს...

ცოტა უცნაურია, მაგრამ საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრების ძირითადი მენეჯერი შოთა თევზაძე კვლავ უგუნდოდაა. უფრო სწორად, თურქული „პოლის აკადემიიდან“ ნამოსვლის შემდეგ, მშობლიურ სტუთგარტში დაუბრუნდა და საქართველოს ჩემპიონატის სამედიცინო ეტაპზე ითამაშა. იგი ახლაც „თელავში“ ირიცხება, მაგრამ აქ გასაჩერებლად ნამდვილად არ გეგმავს და თავადც მტკიცედ აქვს გულში ამოჭრილი, რომ ზამთრის არდადეგაზე ახალი, უცხოური ნავთსაყუდელი გამოიხატოს.

როგორც ამასწინათ გაცნობით, შოთა ეროვნულ ნაკრებს თურქეთში ამხანაგური მატჩების სათამაშოდ ვერ გაშვება, რადგან შვედეთში იმყოფებოდა ერთ-ერთ იქაურ კლუბში მოსაწყობად. თუმცა, თევზაძე თბილისში აღმოვაჩინეთ და როგორც გვითხრა, სავიზო პრობლემის გამო, შვედეთში ჯერ არ წასულა.

შვედეთში ჩემი ჩასვლა გადაწყვეტილი ამბავი იყო, მაგრამ ვიზის ჩამოსვლა დაგვიანდა და თბილისში დავრჩი. თანაც შვედეთის ჩემპიონატში ზამთრის არდადეგები ახლოვდება, პირველი წრის დამთავრებამდე ერთი ტურილია დარჩენილი და გადაწყდა, რომ იქ იანვარში ჩავალ.

რომელი გუნდი გინვევს? - „მალმიო“. ეს გუნდი წლეულს გადმოვიდა შვედეთის ჩემპიონატის პირველი ლიგიდან უმაღლეს დივიზიონში და ამჟამად მეათე ადგილზე იმყოფება.

სხვა ვარიანტები არ გქონია? - იყო რუმინეთის ჩემპიონატში გადასვლის შანსიც, მაგრამ მერე შვედეთის ვარიანტი გამოჩნდა და ისევე სკანდინავია ვამჯობინე, რადგან იქ უფრო მაღალი დონეა. დასაკარგი არაფერი მაქვს და სადაც უმჯობესია, იქ ვავაგრძელებ კარიერას.


„მალმიო“ პირდაპირ კონტრაქტს გთავაზობს?

თავიდან ამაზე იყო საუბარი. თუმცა, როცა ვუთხარი, რომ თურქეთიდან ნამოსვლის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატში ვირჯებოდი და „ჩელენჯ ტროფის“ თბილისური ეტაპის შემდეგ არ მითამაშებ, გადაწყვიტეს, რომ ყოველი შემთხვევისთვის მაინც ჯერ დამაკვირდნენ და კონტრაქტზე მერე ვილაპარაკოთ. მოკლედ, ჩავალ იანვარში შვედეთში და ყველაფერი იქ გადაწყდება.

20 იანვარს ეროვნულ ნაკრებს „ჩელენჯ ტროფის“ ფინალი აქვს. ფინალამდე ჩახვალ შვედეთში თუ 20 იანვრის შემდეგ?

„ჩელენჯ ტროფის“ ფინალს აუცილებლად ვითამაშებ - ამაზე ორი აზრი არ არსებობს. შვედეთში ფინალის შემდეგ წავალ.

კობა ხატისაშვილი



თაჩილი

ვლადიმერ რუპაშვილი. 26.12.1940, ნაოზა, მცხეთა—01.02.1964, თბილისი. თავისუფალი ჭიდაობა (63კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (1961) 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, სსრკ ხალხთა III სპარტაკიადის ჩემპიონი (1963), სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

შოთა ხაბარაძე. დაიბადა 26.12.1958, ძლევიჯვარი, ქარელი. ძიულ (78კგ). 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1983), ევროპის ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1979, 83) ორგზის მეორე (1979, 82) და ორგზის მესამე (1981, 83) პრიზიორი პირად პირველობაში. შსრკ ხალხთა VIII სპარტაკიადის ჩემპიონი (1983), საქართველოს აბსოლუტური ფალაგანი ქართულ ჭიდაობაში (1981). სსრკ სპორტის დასახურებული ოსტატი, საქართველოს დასახურებული მწვრთნელი. საქართველოს ძიულისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1997-დან). ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის ორდენების კავალერი.

მილოცვა
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, ძიულს ეროვნული ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავენ სახელოვან ვეტერან ფალაგანს, წარმატებულ მწვრთნელს და ღირსეულ პიროვნებას შოთა ხაბარაძეს.

სხანოსნობა

შედეგები შეაჯამეს, ვებარანებსა დაფასებენ

გუნდის, საქართველოს ცხენოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა ჯაიანი) წლევანდელი სპორტული სეზონის შედეგები შეაჯამა და მომავალი წლის კალენდარული გეგმა დამტკიცა. გადაწყდა, რომ დელისის იმპროვიზებულ თაგლების დემონსტრაციის შემდეგ ერთი კეთილმოწყობილი საჯინბო მაინც დარჩება, სადაც თავს მოიყრის 30-მდე რჩეული სპორტული ცენი. ლისის ტბაზე მშენებარე ახალი იმპროვიზირებული ინფრასტრუქტურის მოწყობამდე, დელისში, შენარჩუნებული იქნება აგრეთვე ლია სარბიელი (საკონკურსო მოედანი) და დახურული მანეჟი, როგორც მხედართა მოსამზაბებლად, ისე შეჯიბრებების ჩასატარებლად.

2008 წლის სრულდება საქართველოში ცხენოსნობის ოლიმპიური სახეობების განვითარების 65 წელი, ფედერაციამ საჭიროდ ჩათვალა გამოავლინოს საქართველოს ყველა დროის 10-10 საუკეთესო მხედარი ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში — დაბრკობებთა გადალახვაში, ცხენის განვითარება და სამჭიდში. რჩეულთა სიები გამოქვეყნდება.

თორნიკე ბაჩიაჩილაძე



კალთბურთი

ხუთი კითხვა სუპერლიგის მონაწილეებს

სუპერლიგის მონაწილე ექვსივე გუნდის თითო წარმომადგენელს ერთ-სა და იმავე შემდეგ ხუთ კითხვაზე მოუხდათ პასუხის გაცემა:

1. რას ფიქრობთ სუპერლიგა 2007/2008-ზე?
2. რას ფიქრობთ მიმდინარე ჩემპიონატში თქვენი გუნდის გამოსვლაზე?
3. რას ფიქრობთ მიმდინარე ჩემპიონატში თქვენს პირად თამაშზე?
4. თქვენი აზრით, როგორი იქნება საპრიზო სამუშაო სუპერლიგის ფინიშიზე?
5. ამპლუების მიხედვით, დაასახელეთ მიმდინარე ჩემპიონატის 5 საუკეთესო მოთამაშე.

გიორგი გაყრელიძე ენერჯი ინვესტი

1. წლებიდან სუპერლიგა შარშანდელზე უკეთესია, როგორც წმინდა ორგანიზაციული, ასევე სათამაშო მხრივაც. პირადად ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, რომ თამაშები სპორტის სასახლეში იმართება და ეს დამატებითი მოტივაციის მომტანი ფაქტორია. ასე რომ, საერთო ჯამში, მხოლოდ დადებითად შევაფასებ.

2. ყველა შეხვედრა მოვიგეთ და ცხადია, შედეგი დადებითია, თუმცა კიდევ ბევრი მატჩი გვაქვს ჩასატარებელი და მოდუნების უფლება არ გვაქვს. "ენერჯი ინვესტი" ყველანი ერთი ოჯახის წევრებივით ვართ და წარმატებას დიდად სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს.

3. კარგი სეზონი მაქვს, თუმცა უკეთ თამაშზე ვეძებ.

4. 1. ენერჯი ინვესტი, 2. თბილავიამ-შენი, 3. ვითა.

5. კოტე ტულუში, ბესიკ ლევაია, შიო ხეცურანი, რეზო დიდა, ჟულიანო ტუფანი.

შიო ხეცურანი ტსუ

1. სუპერლიგა კარგად ტარდება, თუმცა ჩემი აზრით, შარშან უფრო მრავალფეროვანი იყო. ბოლოდროინდელმა აქციებმა ხალხს მეტი ინტერესი უნდა გაუჩინოს და იმედი მაქვს, ეს ჩემპიონატის მსვლელობაზე დადებითად აისახება. თავისთავად, მომწონს მოცუპვავე გოგონების მიერ დადგმული ნომრები.

2. თსუ-ს გამოსვლას დადებითად ვაფასებ. თავიდან ყველანი ინდივიდუალურად თავის გამოჩენას ვცდილობდით, თუმცა მერე და მერე ყველაფერი დალაგდა და დღეს გუნდური თამაშის მხრივ, დიდ პროგრესს განვიცდით. თამაშის ხარისხს ცემპიონატის მსვლელობისას კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ.

3. შედეგიანობის მხრივ, ნორმალური სეზონი მაქვს, თუმცა სჯობს, ჩემი გამოსვლა სხვებმა შეაფასონ.

4. 1. ენერჯი ინვესტი, 2. თბილავიამ-შენი, 3. ვითა.

5. კოტე ტულუში, გიორგი გამყრელიძე, მიხეილ ბერიშვილი, ვლადიმერ ბეჟანიშვილი, რიჩარდ მათიაშვილი.

კოტე ტულუში თბილავიამ-შენი

1. სუპერლიგა წელს ბევრად უკეთესია, ვიდრე შარშან. გაუმჯობესდა შოუს ელემენტები, მატჩები უფრო დაძაბულად მიმდინარეობს და მჯერა, რომ გაზაფხულზე სპორტის სასახლეში მეტი გულშემატკივარი მოვა, რაც ჩვენთვის, მოთამაშეებისთვის, დიდი სტიმულია.

2. გუნდის თამაშს არადამაკმაყოფილებლად შევაფასებდი, თუმცა შემად-

გენლობით სოლიდურად გამოვიყურებით და მჯერა, რომ ნელ-ნელა თამაშს გავაუმჯობესებთ. გუნდის ცუდი თამაშის ერთ-ერთი მიზეზი პირადად ჩემი ცუდი გამოსვლაა.

3. არადამაკმაყოფილებლად.

4. 1. ენერჯი ინვესტი, 2. ვითა, 3. თბილავიამ-შენი.

5. გიორგი გამყრელიძე, გიორგი ნიკოლაძე, ვლადიმერ ბეჟანიშვილი, იოვან სტეფანოვი, გიორგი შერმადინი.

გიორგი გულისაგადაშვილი დინამო

1. წინსვლა აშკარად იგრძნობა, თუმცა კარგი იქნება, თუ მეტი გულშემატკივრის წინ მოგვიწევს თამაში. საერთო ჯამში, გუნდები გათანაბრდნენ და ეს ჩემპიონატს მეტი ინტერესს სძენს.

2. "დინამო" შარშანდელთან შედარებით, ბევრად უკეთ გამოვიყურება, თუმცა ამაზე კარგად თამაშზე შეგვიძლია და მჯერა, რომ ამას სეზონის მსვლელობისას არაერთხელ ვაჩვენებთ.

3. მიკროტრავმების გამო, სეზონის სტარტზე ცუდად ვთამაშობდი, ახლა კი ოდნავ უკეთ გამოვიყურები. ეს ჩემი შესაძლებლობების ნახევარიც არ არის და იმედი მაქვს, მალე ჩემს საუკეთესო კალთბურთს ვითამაშებ.

4. 1. ენერჯი ინვესტი, 2. თბილავიამ-შენი, 3. დინამო.

5. გიორგი გამყრელიძე, კოტე ტულუში, ლექსო ლაფანაშვილი, ზვიად ბაბიაშვილი, გიორგი შერმადინი.

დავით ბერიშვილი მაპაზი

1. ჩემი აზრით, ყველაფერი უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული და შარშანდელთან შედარებაც კი არ არის. სპორტის სასახლეში გადასვლა ყველას ნაადგა, მოთამაშეებს კი - პირველ რიგში.

2. თავიდან დიდი მიზნები გვექონდა, კარგად დავინყეთ, მერე ოდნავ გავაუარესეთ თამაში და სიმართლე გითხრათ, მიჭირს ამ ეტაპზე საკუთარი გუნდის შეფასება.

3. არ ვარ კმაყოფილი. კარგად მხოლოდ 2 შეხვედრა ჩავატარე.

4. 1. ენერჯი ინვესტი, 2. ვითა 3. თსუ.

5. ირაკლი ბერიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, მიხეილ ბერიშვილი, რიჩარდ მათიაშვილი, გიორგი შერმადინი.

მიხეილ ბერიშვილი ვითა

1. დადებითად ვაფასებ და ეს პირველ რიგში, შოუს ელემენტებს ეხება. ასევე საგულისხმოა ისიც, რომ გათანაბრდა გუნდების დონე, რაც მატჩებს უფრო საინტერესოს ხდის და ინტერესს ყველა შეხვედრას თან სდევს.

2. წელს შევიკრიბეთ, უამრავი სათამაშო ნიუანსი გვექონდა ადსალაგებელი, მაგრამ ამის მოხუცდავად, სტარტი მაინც კარგი გამოგვივიდა. მერე ოდნავ მოვუკელით, თუმცა მთელი სეზონი წინ გვაქვს და ჩვენს ნამდვილ ძალას, სრულ შესაძლებლობებს კიდევ არაერთხელ ვაჩვენებთ.

3. დადებითად, მაგრამ მომატებაც ვეძებ.

4. 1. ენერჯი ინვესტი, ხოლო დანარჩენი ადგილებისთვის ყველა გუნდი თანაბრად იბრძობს.

5. გიორგი გამყრელიძე, კოტე ტულუში, მიხეილ ფანჩულიძე, ვლადიმერ ბეჟანიშვილი, გიორგი შერმადინი.





სუპერლიგა

26 დეკემბერი

15.00 ენერჯი-ინვესტი - დინამო



27 დეკემბერი


13.15 თსუ - მაპაზი


15.15 ავიაშენი - ვითა (ცანტარაული თამაში)

სპორტის სასახლე

გენერალური სპონსორი **სახალხო ბანკი**
PEOPLE'S BANK





NBA. ჩიკაგო ბულზი ჩიკაგოს მწვერლოელი აღარ უყავს

თქვენი დიდი ხათრი და პატივისცემა კი გვაქვს, მაგრამ საჩემპიონოდ დაქოქილები უფსკრულსიკენ რომ გავაქანე, ვერ შევინდობთ და სამსახური სხვაგან ეძებო - შეუთვალეს "ჩიკაგო ბულზის" მფლობელებმა ან უკვე ექს-მწვერთენელ სკოტ სკაილზს, რომელსაც კომპარული სტარტი არ აპატიეს და თანამდებობიდან დაითხოვეს.

ზუსტად 6 წლის წინ, "ჩიკაგოს" ბოსებს ახალი მთავარი მწვერთენელის ძებნა დასჭირდა. მაშინ, პოსტგორდონერ ერასში, გუნდი ტიმ ფლოიდის გარეშე დარჩა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ფლოიდმა გუნდს სამ სეზონში 190 შეხვედრის წაგების გამო ბოდიში მოუხადა და თავისი ნებით გადადგა, ხოლო სკაილზი კი უნიჭიერესი გუნდით კომპარული შედეგების ჩვენების გამო გადააყენეს პოსტიდან.

სკოტ სკაილზი მოთამაშეებისადმი მომთხოვნი, ლამის დესპოტიკური მიდგომისა და მათთან ზედმეტად მკაცრი ურთიერთობის გამო "ბულზში" თითქმის არავის უყვარდა. პერმანენტული კონფლიქტები ბენ უოლასთან, შვეიცარიულ ტაბო სეფოლოპასთან და არგენტინელ ანდრეს ნოჩიონისთან, ლიაომი მასამედის ფურცლებზე გუნდის კაპიტან კირკ პაინრიხთან და კიდევ ბევრი უსამოვნო ნიუანსის გამო, სკაილზს ბევრი დასანახავად ვერ იტანდა.

ამ სეზონში ილინოისელებმა 25 თამაშიდან მხოლოდ 9 მოიგეს და ეს მაშინ, როდესაც ამ გუნდით "ბულზი" ამოსავალის კი არა, ბარე მთელი ლიგის ლიდერებში უნდა იყვნენ. გუნდი კი აღმოსავლეთის აუტსაიდერებშია.

სკაილზის ხელმძღვანელობით "ჩიკაგოს" წინა წლებშიც უჭირდა რეგულარულის წარმატებით დაწყება. 2004-05 წლების სეზონი გუნდმა ზედიზედ 9 მარცხით დაიწყო და საბოლოოდ, 47 მოგებითა და საფულიოფო საზურით ჩამოთავრა სეზონი. დაახლოებით იგივე სიტუაცია განმეორდა ორი წლის მერეც, როდესაც "ბულზმა" პირველი 12 მატჩიდან მხოლოდ სამის მოგების მიუხედავად, სეზონი 49 გამარჯვებით ჩამოთავრა, რაც მაიკლ ჯორდანის გუნდის დაშლის შემდეგ, "ბულზისთვის" საუკეთესო მაჩვენებელი იყო. ფლვი ოფში სკაილზის შეგირდებმა მაშინ ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონი "მაიამი" 4:0 გაანადგურეს და პრინციპში, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს სპეციალისტებზე.

გუმინდელი დღე დან კი ხარების ჯოგი უთავაკოდ დარჩა და ვინც არ უნდა შეცვალოს სკაილზი, მას სანახევროდ დაძლიერი, მაგრამ უნიჭიერესი მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდით თუნდაც ფლვი ოფში მოსახვედრად დიდი ჯაფა დაადგება.

ზურაბ თალაყვაძე

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

კვირის მოთაგაგა

პროვულმა საკალთბურთო ასოციაციამ გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად კარმელო ენტონი და ჯო ჯონსონი აირჩია.

დასავლეთი კონფერენციის რჩეულმა კარმელო ენტონიმ ("დენვერ ნაგეტსი") სამ მატჩი მიიღო მონაწილეობა და სამივეში მინიმუმ 30 ქულასა და 12 მოხსნას აგროვებდა. საბოლოოდ, ენტონის საშუალო მონაგარმა 33.7 ქულა და 13.3 მოხსნა შეადგინა.

აღმოსავლეთში ყველას აჯობა "ატლანტა ჰოქსის" მცველმა ჯო ჯონსონმა. მისი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 28.0 ქულასა და 7.3 შედეგიან პასს გაუტოლდა, "ატლანტამ" კი, სამიდან სამი შეხვედრა მოიგო.

ჯონსონმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი "ვაშინგტონთან" შეხვედრაში, როცა 32 ქულა ჩაუგდო მეტოქეს, აქედან 16 მათზე მეტობედ და თავის გუნდს ზედიზედ მეოთხე მატჩი მოაგებინა.

აღმოსავლეთი კონფერენცია

	თ	მ	გ	%
1. ბოსტონი	25	22	3	88.0
2. დეტროიტი	27	20	7	74.1
3. ორლანდო	29	18	11	62.1
4. ატლანტა	26	14	12	53.8
5. ინდიანა	28	15	13	53.6
6. ტორონტო	29	15	14	51.7
7. ვაშინგტონი	26	13	13	50.0
8. ნიუ ჯერსი	27	12	15	44.4
9. კლივლენდი	28	12	16	42.9
10. მილუოკი	26	11	15	42.3
11. ფილადელფია	27	11	16	40.7
12. შარლოტი	25	10	15	40.0
13. ჩიკაგო	25	9	16	36.0
14. მაინაი	27	8	19	29.6
15. ნიუ იორკი	27	8	19	29.6

დასავლეთი კონფერენცია

	თ	მ	გ	%
1. სან ანტონიო	26	19	7	73.1
2. ფინიქსი	27	19	8	70.4
3. დენვერი	27	16	11	59.3
4. დალასი	28	19	9	67.9
5. ნიუ ორლეანი	27	17	10	63.0
6. ლიუპისი	27	17	10	63.0
7. ბ. სტიმტი	28	16	12	57.1
8. პორტლენდი	27	15	12	55.6
9. იუტა	29	15	14	51.7
10. პიუსტონი	28	13	15	46.4
11. სპარსენტი	26	11	15	42.3
12. კლიპერსი	26	9	17	34.6
13. მიშისი	27	8	19	29.6
14. სინსინათი	27	8	19	29.6
15. მინესოტა	26	4	22	15.4

გომარეობები

ლ. ჯონსონი (კლი)	29.5
ბრაიანტი (ლუი)	26.8
აივანსონი (დას)	26.4
მენტონი (დას)	25.4
რ. ჯოჯონსონი (ნ-ჯორ)	25.3
გაუზარი (იუტა)	24.7
სიდი (ვაიშ)	24.3
რეიდი (მილ)	23.9
დ. კოვარდი (ორლ)	23.4
მაპარტინი (პიუ)	22.8

მოხსნები

დ. კოვარდი (ორლ)	15.0
კიპანი (დას)	14.3
კაბანი (კლი)	14.0
მ. ჯოჯონსონი (მინ)	12.0
ჩინდლერი (ნ-ორლ)	11.9
გაუზარი (იუტა)	11.7
ოკაფორი (შარ)	10.8
ჯოჯონსონი (ვაშ)	10.7
მინი (პიუ)	10.6
მირიანი (ფინ)	10.5

პასები

ნაში (ფინ)	12.4
კიდი (ნ-ჯორ)	10.3
პოლი (ნ-ორლ)	10.0
ტინსლი (ინდ)	8.8
დ. უილიამსი (იუტა)	8.7
ბ. დევიზი (ბ-სტი)	8.0
კალდერონი (ტორ)	8.0



ბილასი (დებ) 7.6
ლ. ჯონსონი (კლი) 7.5
აივანსონი (დას) 7.3

ჩაქრები

პოლი (ნ-ორლ)	2.8
ბ. დევიზი (ბ-სტი)	2.5
აივანსონი (დას)	2.4
მირიანი (ფინ)	2.2
ბატლერი (ვაშ)	2.2
რ. ბრიუნი (იუტა)	2.2
ჯ. უოლასი (შარ)	2.1
ივანოვსკი (ფილ)	2.1
ბრაიანტი (ლუი)	2.0
ტინსლი (ინდ)	1.9
ჯოჯონსონი (ვაშ)	1.9

დაჯიჯიები

კიპანი (დას)	3.4
ჯოჯონსონი (ვაშ)	3.2
კაბანი (კლი)	2.9
დალმედატი (ფილ)	2.6
დ. კოვარდი (ორლ)	2.6
მინი (პიუ)	2.3
უ. უილიამსი (ნ-ჯორ)	2.1
ბინსლი (ლუი)	2.1
გაუზარი (იუტა)	2.0
ბ. სტაუბერტი (ფინ)	2.0
კირილიანო (იუტა)	2.0
ჯ. უილი (ინდ)	2.0

ჩიკაგო


ამოავალი ვარსკვლავი

პიუიზის კლონი

ავსტრალიას ტოპ-ჩოგბურთელები ყოველთვის ჰყავდა, ჰყავს და ოზური საჩოგბურთი ინდუსტრია იმდენად გამართულად მოქმედებს, რომ რეალურად ძლიერ მოთამაშეებს მომავალშიც მრავლად მიანგვდის საზოგადოებას.

ამჯერად თქვენს ყურადღებას ერთ უნიჭიერეს მოთამაშეზე გვაქვს მიმართვა, რომელიც თანამედროვეობის ყველაზე დიდი ავსტრალიელი მოგონის, ლეიტონ პიუიზის აზრით, პირველად მსოფლიოს მომავალი პირველი ჩოგანია.

გაიცანით ბერნარდ ტომიჩი. 10 დღის წინ, ფლორიდაში ორენჯ ბოულის მორიგი ტურნირი დასრულდა, რომელშიც პირველობისთვის ერთმა-



ბერნარდ ტომიჩი

ნეთს 16 წლამდე დაბადებული მოთამაშეები ებრძოდნენ. ფინალში ტომიჩმა ბრაზილიელი ხოსე პერეირა 6:2, 7:5 დაამარცხა და ერთი ძალიან იშვიათი და საინტერესო მიღწევის ავტორი გახდა - 2004-ში ბერნარდმა ორენჯ ბოული 12-წლამდელებში მოიგო, ორი წლის შემდეგ კი არავის დაუთმო მთავარი პრიზი უკვე ორი წლით უფროს მოთამაშეებში.

ტომიჩი ოქტობრის მსოფლიო კლასიფიკაციაში 15 წლის მოთამაშეებში პირველ ადგილზე იმყოფება და მწვერთენლის, მამამისის, ჯონ ტომიჩის თქმით, მისი შვილი გააკეთებს ყველაფერს, რათა მომავალში იმედისმომცემი ოქტობრიდან პროფესიონალებში გადასვლის მერეც არ დაიკარგოს.

"ბერნარდი ძალიან ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე და ეს მხოლოდ რუტინულ ვარჯიშში არ აისახება. დამიჯერეთ, საკუთარი შვილის შექება არ მიყვარს, მაგრამ მეც და სხვებმაც დარწმუნებულნი ვართ, რომ მასში ძალიან დიდი პოტენციალია", - მიჩნია უფროს ტომიჩს.

ტომიჩი სააგენტო IMG-ის კლიენტია და ამ ფირმის წარმომადგენლები მასში დიდ თანხას აბანდებენ. სააგენტოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, სტივენ ფორმენმა ვერ დაძალა გაკვირვება, როდესაც გაიგო, რომ მისმა კლიენტმა უარი განაცხადა 2008 წლის ავსტრალიის ლია პირველობაზე გამოსვლაზე. ტომიჩი სეზონის პირველ სასლემოზე ველური ბართით უნდა მოხვედრილიყო. ბერნარდს რომ თანხმობა განეცხადებინა, იგი გახდებოდა პრო-ტურის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მამაკაცი მეჭოვნე, რომელიც აღნიშნული სასლემოს ძირითად ბადეში ჩაერთვებოდა. რეკორდის მფლობელი კი პიუიტი, რომელმაც თავის დროზე ძირითად ბადეში 15 წლისა და 11 თვის ასაკში მიიღო მონაწილეობა.

ტომიჩებისთვის სასლემო დიდ მნიშვნელობას კი წარმოადგენს, მაგრამ უფროსი ტომიჩი მიიჩნევს, რომ მის შვილს ჯერ სამოყვარულო დონეზე სათამაშო პრაქტიკის შექმნა სჭირდება.

"ჩვენი მიზანი რეკორდების განახლება ნამდვილად არ არის, მაგრამ ერთი ასეთი მიზანი მაინც გვაქვს - მთელი გულით მსურს, ბერნარდი ავსტრალიის სადევისისთვის ნაკრების ისტორიაში მისი ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე გახდეს", - ამბობს ჯონი, რეკორდსმენი კი ჯონ ალექსანდერია, რომელიც 1968 წელს ოზების ლარსებას 17 წლისა და 6 თვის ასაკში იცავდა. ბერნარდ ტომიჩს უკვე აქვს მოგებული ოქტობრის დევისის თასი თავისი ქვეყნის სახელით - მან ეს სექტემბერში გააკეთა.

რას ფიქრობს თანამემამულეზე პიუიტი?

"უძლიერესი მონოდება, რომელიც რალაციით გორან ივანიშვილის საშინელ, მომაკვდინებელ მონოდებას მაგონებს. ძალიან კარგი ბექჰენდი და გათვალისწინეთ ისიც, რომ იგი ამ დარტყმას ცალი ხელით ასრულებს", - ამბობს ლეიტონი. ბერნარდი კი მიიჩნევს, რომ იგი თავისი სახელოვანი თანამემამულის, ანუ პიუიტის ასლია, თუმცა არც იმას მალავს, რომ მისთვის ჩოგბურთში იდეალი შვეიცარიელი როჯერ ფედერერია.

"ლეიტონი ჩემთვის ყოველთვის მისაბაძი მაგალითი იქნება, მაგრამ ნომერი პირველი მაინც როჯერია, რომელიც ჩემი აზრით, სრულყოფილი ჩოგბურთელია და კიდევ დიდხანს დარჩება მსოფლიო კლასიფიკაციის სათავეში", - განაცხადა ტომიჩმა.

ის უკვე ცნობილია, რომ სეზონის დასაწყისში ბერნარდ ტომიჩი "უფროსების" ერთ-ერთ ტურნირზე ნამდვილად მიიღებს მონაწილეობას და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდება, მისი პროფესიული დებიუტი ადელაიდაში შედგება.

ზურაბ თალაყვაძე

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

კვირის სამი პარსკვლავი

გასული კვირის სამივე საუკეთესო მოთამაშედან ორი ფორვარდია და ერთი - მეკარე.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ვარსკვლავი გახდა "მინესოტა უაილდის" სლოვაკი თავდამსხმელი მარიან გაბორიკი, რომელმაც "ნიუ იორკ რინგერსთან" მატჩში 5 გოლი გაიტანა და სულ 6 ქულა მიითვალა. 1996 წლის 26 დეკემბრის შემდეგ, გაბორიკი პირველი ჰოკეისტი, ვინც ერთ შეხვედრაში 5 შაიბის გატანა შეძლო.

სლოვაკმა მთლიანად გასულ კვირას 6 გოლი და 2 შედეგიანი პასი მიითვალა.

კვირის მეორე ვარსკვლავიც ლეგიონერია - "ატლანტა ტრეშერზის" მეკარე კარი ლეჰტონენი. ფინელი გოლკეპერი საკუთარ კარში 1.96 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 93.5 პროცენტს იგერებდა. მისი წყალობით, გასულ კვირას "ატლანტამ" 4-დან ოთხივე მატჩი მოიგო.

რაც შეეხება მესამე ვარსკვლავის სტატუსს, ის "ნეშვილ პრედატორზის" ცენტრალურ თავდამსხმელმა ჯეისონ არნოტმა დაიმსახურა, რომელმაც 4 მატჩში 5 გოლი და 4 შედეგიანი პასი ჩაინერა აქტივში.

აღმოსავლეთი კონფერენცია

	თ	მ	გ	რგ	ქ
1. ტამპა	35	23	8	4	50
2. ნიუ ჯერსი*	36	20	13	3	43
3. კაროლინა*	37	19	15	3	41
4. ბოსტონი	36	18	14	4	40
5. მონრეალი	36	17	13	6	40
6. გაზალო	34	19	14	1	39
7. პიტსბურგი	36	18	16	2	38
8. რიჩმონდი	36	17	15	4	38
9. ატლანტა	36	18	17	1	37
10. ფლორიდა	36	17	16	3	37
11. ტორონტო	36	15	14	7	37
12. აილენდერსი	34	17	15	2	36
13. ფილადელფია	34	16	14	4	36
14. ტამპა პი	36	15	18	3	33
15. ვაშინგტონი	36	13	19	4	30

დასავლეთი კონფერენცია

	თ	მ	გ	რგ	ქ
1. დეტროიტი*	36	26	7	3	55
2. დალასი*	37	21	12	4	46
3. კოლორადო*	36	21	13	2	44
4. ვანკუვერი	37	20	13	4	44
5. მინსოტა	35	20	13	2	42
6. სან ხოსე	35	18	12	5	41
7. კალგარი	37	17	13	7	41
8. ანაჰაიმი	38	18	15	5	41
9. ს. ლუისი	33	18	12	3	39
10. ჩიკაგო	35	18	15	2	38
11. კოლუმბია	35	15	14	6	36
12. ფინიქსი	34	17	16	1	35
13. ედმონტონი	37	16	18	3	35
14. ნეშვილი	34	16	16	2	34
15. ლოს ანჯელესი	37	12	23	2	26

* - დივიზიონის ლიდერი

კონფერენცია (გოლი+პასი)	გოლი
აღმოსავლეთი (ბ-პი)	53 (23+30)
ვაშინგტონი (დას)	50 (25+25)
ინდიანა (კალ)	49 (24+25)
კაროლინა (პი)	48 (16+32)
კოლუმბია (ბალ)	47 (29+18)
ალბერტონი (იუტა)	46 (20+26)
პიტსბი (იუტა)	45 (22+23)
საბა (იუტა)	44 (12+32)
შარლოტი (კოლორ)	43 (15+28)
დასიუი (დას)	43 (14+29)

გოლკეპლები	გოლი
კოლუმბია (ბალ)	29
ვაშინგტონი (დას)	25
ინდიანა (კალ)	25
ინდიანა (კალ)	24
აღმოსავლეთი (ბ-პი)	23
პიტსბი (იუტა)	22
გოლი (ს-ლუი)	21
ალბერტონი (იუტა)	20
ო. იუინგსი (ფლო)	19
პირი (ანა)	19
რიჩმონდი (დას)	19

ასისტენტები	გოლი
საბა (იუტა)	32
კოლუმბია (პი)	32
საპარო (ბოს)	31
აღმოსავლეთი (ბ-პი)	30
ლინკოლნი (დას)	29
ვაშინგტონი (დას)	29
დასიუი (დას)	29
კალგარი (იუტა)	29
ს. სანდინი (ბან)	29
კოლინი (პარ)	28
სანტ ლუისი (ბ	

რედკლიფი ღოპინგზე კანონის გამაყარებელ მოხერხებას

მსოფლიოს რეკორდსმენი მარათონულ რბენაში, ბრიტანელი პოლა რედკლიფი აცხადებს, რომ უმჯობესი იქნება, თუ მძღვანელობის ფედერაციას საერთაშორისო ასოციაცია (IAAF) დამოუკიდებელი ბრძოლა კიდევ უფრო გაამკაცრებს, თუნდაც ამისათვის მრავალი ვარსკვლავის დასჯა გახდეს საჭირო. რედკლიფი აღიარებს, რომ ბრძოლის გამკაცრებას შეიძლება მძღვანელობისთვის სახელის შელახვა მოჰყვეს, ცუდმა უმჯობესი იქნება, თუ სპორტსმენებს თანაბარ პირობებში მოუწევთ ასპარეზობა და მათ, ვინც თაღლითობს, თავის გამოჩენის საშუალება არ მიეცემა.

შეგახსენებთ, რომ გასული სპორტული სეზონის ერთ-ერთ მთავარ მოვლენად იქცა ხუთი ოლიმპიური მედლის მფლობელის, ამერიკელი სპრინტერი მერიონ ჯონსის აღიარება. მან განაცხადა, რომ სიღნევის ოლიმპიადამდე და მას შემდეგაც, აკრძალულ პრეპარატებს იყენებდა, რამაც სიღნევი ხუთი მედლის (მათგან სამი ოქროსი იყო) მოპოვების საშუალება მისცა.



პოლა რედკლიფი

მერიონზე ადრეც ეჭვობდნენ, რომ აკრძალულ პრეპარატებს იყენებდა. ის ბალკო-ს საქმესთან დაკავშირებით რამდენჯერმე დაიკითხა, თუმცა მის წინააღმდეგ ბრალის დაკავშირებული ნივთმტკიცების მოპოვება არ ხერხდებოდა. მაგრამ გამოძიებამ საბოლოოდ მაინც მიადგინა იმას, რომ ჯონსს თავისი დანაშაული ელიარებინა.

შეგახსენებთ, რომ იმავე ბალკო-ს საქმეში გარეული იყო ჯონსის ყოფილი ქმარი და სავარჯიშო პარტნიორი, მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი 100 მეტრზე სპრინტში, ამერიკელი ტიმ მონტგომერი. ბალკო-ს საქმესვე შეეხებოდა ბრიტანელი სპრინტერის, ევროპის ყოფილი რეკორდსმენი დუაინ ჩემბერსის სამძღვანელო კარიერა. ჩემბერსამდე, დომინგზე ჩავარდა კიდევ ერთი სახელოვანი ბრიტანელი სპრინტერი, ას მეტრზე სპრინტში ოლიმპიური ჩემპიონი ლინფორდ კრისტი.

მაგრამ რედკლიფი თვლის, რომ IAAF-ს დამოუკიდებელი ბრძოლის გამკაცრება მაინც მართებს. ამასთან, მარათონელი მიჩნევს, რომ საქმეს არაფერი ეშველება, თუ ხელუხლებელი დარჩებიან დომინგის გამაყარებლები.

"მიმანჩია, რომ მძღვანელობა დომინგთან ბრძოლის ავანგარდშია, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველება, თუ იმ ხალხს არ ვებრძოდით, რომლებიც ჩვენს სპორტს სახელს უტყევენ. ჩვენ დომინგთან ბრძოლის საქმეში სოლიდური გამოცდილება შევიძინეთ, თუმცა მიმანჩია, რომ გაცილებით ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი იმისათვის, რომ ეს ქირი მოვიშოროთ. ამასთან, ზოგიერთ სპორტის სახეობაში საჭიროდაც არ თვლიან დომინგთან ბრძოლით თავის შეწუხებას. ისინი იგნორირებას უკეთებენ იმ ფაქტს, რომ დომინგი სერიოზული პრობლემაა. იმისათვის, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული სუფთა სპორტი გამოვიდეს, სპორტსმენებმა, ფედერაციებმა და მთავრობებმაც კი, ერთობლივად უნდა იმუშაონ", - ამბობს რედკლიფი.

გასულ სეზონში IAAF-მა დომინგთან ბრძოლაში 2.8 მილიონი დოლარი დახარჯა. ამასთან, 2 000 არასამედიცინო დომინგტესტი ჩატარდა, რაც ცურვაში ჩატარებულ ანალოგიური ტიპის ტესტებთან შედარებით, თითქმის 50 პროცენტით მეტია.

IAAF-ის დომინგსაწინააღმდეგო სააგენტოს პრესმდივან კრის ბატლერის თქმით, თითო არასამედიცინო ტესტი, რომლის დროსაც სპორტსმენი მრავალ პრეპარატზე მონმდება, დაახლოებით 600 დოლარი ჯდება. ოღონდ, ამ თანხაში არ შედის ანალიზისთვის საჭირო მონაცემების და სპეციალისტების ტრანსპორტირების ხარჯები.

ბატლერისვე თქმით, 2006 წლის სეზონში 82 ტესტზე დადებითი პასუხი იქნა მიღებული. გასულ სეზონში კი, ჯერჯერობით მხოლოდ 40 სპორტსმენია დისკვალიფიცირებული. თუმცა, მისივე ვარაუდით, ბევრი ტესტის შედეგი ჯერაც გადასამოწმებელია.

პრივი

პარსკვლავი

პატონი ხუთი ბრძოლას კიდევ გამართავს

ფლოიდ მიუჩერთან ნაგების შემდეგ, როტოს ნონის ბრიტანელმა ვარსკვლავმა რიკი პატონმა განაცხადა, სანამ ჩემი მომავლის შესახებ გადაწყვეტილებას მივიღებ, რამდენიმე თვე დასვენებას ვაპირებ. მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და პრესას თავისი სამომავლო გეგმები მამამისის, რეი პატონის პირით უკვე გაანდო.

პატონი პროფესიულ რინგზე კიდევ ორ წელს დაჰყოფს და ხუთ ბრძოლას გამართავს. ამ ხუთიდან ორ ბრძოლას მერმის გეგმავს, სამს კი მომდევნო სეზონში. რეი პატონმა უარყო ხმები იმის შესახებ, რომ თითქოს, რიკის მომდევნო მეტოქე ბრიტანელი ჯუნიორ უიტერი იქნება. თუმცა დასძინა, რომ ამ მოკრივეს მისი შვილი რინგიდან ნასვლამდე მაინც შეხვდება.

"რიკი ახლა 29 წლისაა და მას რინგიდან ნასვლა ჯერ არ სურს. ის კიდევ ერთ ორ წელს დარჩება, მაგრამ არც ის გვინდა, მანამ იჩხუბოს, სანამ თავისივე ჩრდილს დაემსგავსება. როგორც წესი, ის სეზონში ორ-სამ ბრძოლას მართავს. წელს სამი ბრძოლა გამართა. ესე იგი, მერმის ორი იქნება, მას შემდეგ კი - სამი. საერთოდ, ის მანჩესტერში ბრძოლას არჩევს, მაგრამ ბრძოლის ირლანდიაში გამართვა შესაძლებელია, რადგან იქაც უამრავი ქომაგი ჰყავს. ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია, თუ ვინ იქნება მისი მომდევნო მეტოქე. თუმცა გარანტირებთ, რომ ეს უმაღლესი კლასის მოკრივე იქნება. რიკის სურს, რომ მომდევნო ბრძოლები სწორედ უმაღლესი დონის მეტოქეებთან გამართოს. ჯუნიორ უიტერს შეხვდებით, მაგრამ არა ამ ეტაპზე", - განაცხადა რეი პატონმა.

მეივერთან შეხვედრამდე, რიკიმ დაადასტურა ხმები იმის შესახებ, რომ მისი ბანკი მოლაპარაკებას ანარმოებ-


და ოსკარ დე ლა პოიასთან. ამ ინფორმაციას თავად "ოქროს ბიტი" (დე ლა პოიას მეტსახელი) არ უარყოფდა. პატონი იმასაც ამბობს, რომ როტოს ნონაში აღარაფერი ესაქმება და მომდევნო ბრძოლებს ქვე-როტოს ნონაში გამართავს.

უიტერი სწორედ ქვე-როტოს ნონაში ფლობს WBC-ს საჩემპიონო ქაშარს, რომლის შესანარჩუნებლად, ბოლო ბრძოლაში თანამემამულე ვივიან პარისი დაამარცხა. ჩემპიონს ახლა რიკისთან შეხვედრა სურს, მაგრამ პატონის ადვოკატი გარეტ უილიამსი ამბობს, რომ რიკის პირადი მიზეზები აქვს იმისათვის, რომ უიტერს ჯერ არ შეხვდეს.

"რიკი გრძობს, რომ უიტერი, ჩემპიონობის მოუხედავად, მისი დონის მოკრივე არაა. რიკისთან შეხვედრით, მას სახელის მოხვეჭა სურს და ამავდროულად, რიკის უმატივცემულოდ მოიხსენიებს. ასე არ გამოვა. რიკის ათასობით ფანი ჰყავს, რომლებიც მეივერთან მისი ბრძოლის სანახავად ლას ვეგასშიც ჩავიდნენ. ეს იმ დროს, როცა უიტერის ბოლო ბრძოლას ორივე კაცმა და სატელეფონო ჯიხურში გამომწვევულმა ძალმა უყურა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მათ შორის უზარმაზარი სხვაობაა", - ამბობს უილიამსი.

არაა გამორიცხული, რომ პატონთან შეხვედრის შემთხვევაში, უიტერის თავისი ტიტულის დათმობა მოუწევს, თუმცა მას ეს სულაც არ ანაღვლებს. მას ამ ბრძოლაში არც შემოსავალი აინტერესებს. როგორც უიტერის პრომოუტერი მიკ ჰენესი ამბობს, პატონთან ბრძოლაში ჯუნიორისთვის მთავარი სახელის მოხვეჭაა და ის თანახმაა, ბრძოლის შემოსავლის "ლომის წილს" პატონს დაუთმოს.

"ჯუნიორის პრიორიტეტებში არასოდეს ყოფილა ფული. ახლაც შემოიძლია ვთქვა, რომ ის გასამრჯელოს გარეშეც სიამოვნებით იბრძოდებს. ერთადერთი, რასაც ჯუნიორი ესწრაფვის, არის ის, რომ ყველას დაუმტკიცოს - ქვე-როტოს ნონაში მსოფლიოში მას ბადალი არ ჰყავს. თუ რიკი ჩვენთან შეხვედრას ისურვებს, თანახმანი ვართ, შემოსავლის დიდი წილი მან წაიღოს. ვიმედოვნებ, ამით მის ყურადღებას მიიქცევთ", - ამბობს ჰენესი.



რიკი პატონი

TV სპორტი

26 დეკემბერი, ოთხშაბათი

HTB-ალანი (ფაზაუკით)

- 13:00 თავისუფალი დარტმა. საინფორმაციო პროგრამა.
- 13:20 გასული კვირის პიტ-ალბუმი.
- 15:10 ტოქ-შოუ - 21.
- 15:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
- 16:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა (LIVE).
- 18:55 ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ უინ (LIVE).
- 20:55 თავისუფალი დარტმა. საინფორმაციო პროგრამა.
- 21:15 ინგლისის ჩემპიონატი. დერბი-ლივერპული.
- 23:05 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეფურალი.
- 23:40 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-არსენალი (LIVE).
- 01:40 თავისუფალი დარტმა. საინფორმაციო პროგრამა.
- 01:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა.

SPORT 1 (ქართული)

- 08:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ტოტენჰემი.
- 09:50 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
- 10:03 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
- 11:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-სამპდორია.
- 12:47 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
- 13:40 სპორტდღისე. თხილამურები.
- 14:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რასინგა.
- 15:57 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
- 16:50 ფეხბურთი. Barca TV.
- 17:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა (LIVE).
- 19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ უინ (LIVE).
- 21:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
- 21:08 სპორტის სამყარო.
- 21:38 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მარსელი-ლივერპული.
- 23:35 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
- 23:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-არსენალი (LIVE).
- 01:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-სამპდორია.
- 03:40 ფეხბურთი. Barca TV.
- 03:49 სპორტდღისე. თხილამურები.
- 04:20 სპორტკლუბი.
- 04:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
- 05:30 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. სენტ ლუისი-დეტროიტი (LIVE).

EUROSPORT

- 11:30 მულტისპორტი. 12.30 ცეროგოლი - ყოველკვირული საფეხბურთო მიმოხილვა.
- 13:15 ფეხბურთი. ევრო 2008. 11 საუკეთესო.
- 13:45 ტრამპლინგის ბტომა. მსოფლიო თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
- 15:15 ევროსპორტის ჩემპიონები. ტური ანრი.
- 15:45 ცეროგოლი - ყოველკვირული საფეხბურთო მიმოხილვა.
- 16:30 ფეხბურთი. გრეგორი კუპე.
- 17:00 მულტისპორტი.
- 19:00 ტრამპლინგის ბტომა. მსოფლიო თასი. HS131. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
- 20:00 ფეხბურთი. უფავს თასის კლასიკა. სელტიკი-პორტუ. 2002-2003.
- 21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. ლივერპული-მილანი. 2004-2005.
- 22:00 ტრამპლინგის ბტომა. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
- 23:00 ფიგურული სრიალი. საქმენებელი გამოსვლები. ტოკიო. იაპონია.
- 01:00 სპორტული სამეჯლისო ცეკვები. ინსბრუკი. ავსტრია.
- 02:00 ბრძოლა წესების გარეშე.
- 03:30 ელიმიპიზმი. ოლიმპიური დღიური.
- 04:00 მულტისპორტი.

EUROSPORT-2

- 10:30 ახალი ამბები.
- 13:00 სერენიტი. ევროპის ტური. ბრიტანეთი.
- 13:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ფინალი. საფრანგეთი.
- 14:30 სერენიტი. ევროპის ტური. ბრიტანეთი.
- 15:00 ახალი ამბები.
- 17:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. ცრენა ზეგხა (სერბეთი)-პანელინიოსი (საბერძნეთი).
- 18:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეკენდები. ეგვიპტე-2006.
- 19:00 ტრილი. მსოფლიო ჩემპიონატი. ალიკანტი. ესპანეთი.
- 20:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯეჯუფური ეტაპი. III ტური. მასაელიკი (ბელგია)-დინამო (რუსეთი).
- 21:00 ახალი ამბები.
- 21:30 ქსტრემალური სპორტი.
- 22:30 მულტისპორტი.
- 23:00 ახალი ამბები.
- 23:30 ბოულინგი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სანტ-პეტერბურგი. რუსეთი.
- 00:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ამ-ის გრან-პრი.
- 01:30 რესტლინგი.
- 02:00 ახალი ამბები.
- 02:15 ნარდი. მსოფლიო სერია. ბრიტანეთი.
- 03:15 ექსტრემალური სპორტი.
- 03:45 ახალი ამბები.

სხვადასხვა

ჩოგბურთი

სტონური ავსტრალიის ლიაზე არ იქნება

ქალთა შორის ავსტრალიური ჩოგბურთის ლიდერმა სამანტა სტოსურმა ავსტრალიის ღია პირველობიდან საკუთარი განაცხადი გამოიტანა. 2007 წლის სეზონის ბოლოს, სტოსური ბევრს ავადმყოფობდა და დღემდე ვერ შეძლო ძალევის აღდგენა. სამანტა იძულებული გახდა შეენყვიტა სანვრთნული პროცესი და საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზრუნვა დაეწყო. თავდაპირველად, სტოსურს პრობლემები ივლისში შეექმნა, როცა ვირუსული ინფექცია შეეყარა, ორი თვის შემდეგ კი, ჩოგბურთელი მენინგიტის დიაგნოზით საავადმყოფოში მოხვდა. "იმედგაცრუებული ვარ, რადგან არ შემოიძლია ავსტრალიის ღიაზე გამოსვლა. ვარჯიშები სულ ცოტა ხნის წინ განვაახლე და მცირე დრო მაქვს იმისთვის, რომ ავსტრალიის ჩემპიონატისთვის მოვემზადო. ამიტომაც გადაწყვიტე უარი მიეთქვა ჩემს საყვარელ ტურნირში გამოსვლაზე", - განაცხადა სტოსურმა.

ანენა

აკალემია გახსნა

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ფუსტინ ანენმა თავისი სახელობის საჩოგბურთო აკადემია დააარსა, რომელსაც "მეექვსე გრანობა" დაარქვა. ყველა მსურველს შეეძლება ითანამშრომლოს 47 ღია თუ დახურულ კორტზე. "სიტყვა 'აკადემია' ნურავის ეხამულება. ჩემი საჩოგბურთო სკოლის ელიტარულიობაზე საუბარიც ზედმეტია. ყველას, ვისაც კი მოესურვება, შეუძლია აქ ითანამშრომლოს. ჩვენ შევეცდებით, ძირითადად ახალგაზრდა ჩოგბურთელებს გავუწიოთ დახმარება. იმედი მაქვს, ეს შესანიშნავი ცენტრი იქნება, თავადაც დიდი სიამოვნებით ვივარჯიშებ ამ კორტებზე", - აღნიშნა ბელგიელმა ჩოგბურთელმა.

გაილოვოვა

ავსტრალიელი გახდა

20 წლის სლოვაკმა ჩოგბურთელმა იარმილა გაიდოშოვამ მოქალაქეობა გამოიცვალა და ამიერიდან ტურნირებზე ავსტრალიის სახელით გამოვა. ზრატისლავაში დაბადებული იარმილა საბოლოოდ გადასახლდა სიღნევიში და მცირე ფორმალობების მოგვარება რჩება ავსტრალიური პასპორტის მისაღებად. შესაბამისად, მას უფლება ექნება ფედერაციის თასზე ავსტრალიის ნაკრების ღირსება დაიცვას. მსოფლიოს 142-ე ჩოგანი ორი წელია ცხოვრობს "მწვანე კონტინენტზე". ეს სწორედ ის დროა, რაც ავსტრალიის მთავრობისგან ამ ქვეყნის პასპორტის მიღებას სჭირდება. ავსტრალიის ღია პირველობის დირექტორმა კრეივ ტილიმ განაცხადა, რომ გაიდოშოვა ძალიან კარგი ჩოგბურთელია და ის ავსტრალიურ ჩოგბურთის გამოადგება. 2006 წელს, იარმილა რეიტინგში 64-ე ადგილს იკავებდა, რაც მის კარიერაში ჯერჯერობით საუკეთესო მაჩვენებელია.

ქალთა ჩოგბურთი

ქალი ღენაერსაზ მოუნდა

ბუშინდელ ნომერში ვიტყობინებოდი, რომ "ლეიკერსი" და "ნიუ ჯერსი" მოთამაშეების გაცვლაზე ანარმობენ მოლაპარაკებებს. კალიფორნიელი კლუბი მზად არის სამი კალათბურთელი (ფარმარი, რადმანოვიჩი, კვაპე ბრაუნი) და დრაფტში ორი მოთამაშის არჩევის უფლება დათმოს "ნეტსის" გამთამაშებელ ჯეისონ კიდში. გუშინ კი გაირკვა, რომ კიდისთვის ბრძოლაში "დენვერ ნაგეტსიც" ჩაერთო. ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ჯორჯ კარლი ვეტერანი მოთამაშის ხელში ჩასაგდებად ორი წყვილი კალათბურთელიდან თითოს თმობს: ნენე ილარიოს ან მარკუს კემპისა და ლინას კლეიზას ან ჯეი არ სმიტს.

საუკუნის პროფესი



ას იყო ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული დანაშაული, რასაც არანაკლებ გახმაურებული სასამართლო პროცესი მოყვა. 1994 წელს, ამერიკელ მსახიობსა და ფეხბურთელს, ოჯეის სიმპსონს ცოლისა და მისი მეგობრის, რონალდ გოლდმანის მკვლელობისთვის ასამართლებდნენ. იმ საღამოს, ოჯეი ჩვეულებრივად ადრე დაბრუნდა შინ და თავისი მეუღლე მეგობარი ფეხბურთელის მკვლელობაში იხილა. გაცოფებულმა სიმპსონმა დანა აიღო და საყვარელს უამრავი ქრილობა მიაციენა, რის გამოც ორივენი დაიღუპნენ. მკვლელობა სახლში ბევრი კვალი დატოვა. მის მანქანაში სისხლიანი ხელთათმანი იპოვნეს და გამოძიებამ დაადგინა, რომ ის სიმპსონს ეკუთვნოდა, ხოლო მასზე აღმოჩენილი სისხლის კვალი, მოკლული მეუღლის სისხლის ჯგუფისა იყო. სიმპსონმა გაქცევა სცადა, მაგრამ პოლიციამ დააკავა.



1994 წლის 26 სექტემბერს, ლოს ანჯელესის სასამართლოში დაიწყო პროცესი, რომელიც ცხრა თვე გრძელდებოდა. საბოლოოდ, ნაფიცმა მსაჯულებმა, რომლებიც თითქმის მთლიანად შავკანიანებისგან და ლათინოამერიკელებისგან შედგებოდა, ოჯეი გაამართლა. ერთადერთი სასჯელი, რაც ყოფილმა ფეხბურთელმა მიიღო, 67 მილიონი დოლარის ოდენობის ჯარიმა იყო, რომელიც მან დალუპულთა ოჯახებს გადაუხადა.

ბით, ნიკოლის თავი თითქმის დაშორებული იყო სხეულს. მას სხვა ადგილებზეც ჰქონდა ქრილობები. გოლდმანს ყელის, მკერდისა და მუცლის არემო აღენიშნებოდა რამდენიმე სასიკვდილო იარაღი. მას სახეც დასერილი ჰქონდა. გვამები შუალამის შემდეგ მეზობელმა აღმოაჩინა, რომელიც თავის ძაღლთან ერთად ქუჩაში სასიეროდ გავიდა. პოლიციამ გამოძიება დაიწყო და სასამართლოზე დაცვისა და ბრალდების მხარისთვის, სწორედ ეს გამოძიება გახდა მთავარი განხილვის საგანი. ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი. მაგრამ თავიდანვე, საქმეს ისეთი მსვლელობა არ მისცემია, როგორც ეს ამერიკაში, ჩვეულებრივ სხვა მკვლელობების დროს ხდება. ამის მიზეზი იყო ის, თუ ვინ გახლდათ ერთდროს ნიკოლ სიმპსონის ქმარი.

რული გახდა. გარდა ამისა, სხვა რეკლამებითაც იყო დაკავებული. შემდეგ ტელევიზიაში კომენტატორი გახდა. დაიწყო მსახიობის კარიერა და ამ ფრონტზე განსაკუთრებით პოპულარული "შიშველი პისტოლეტის" ტიპის ფილმებში გახდა. ის მუდმივად ინარჩუნებდა სუპერადვებით, სუპერჭკვიანი და სუპერმილიონერის იმიჯს.

მაგრამ ამ იმიჯში ბოლომდე ყველაფერი ვერ ჯდება. მართალია, ის ყოველთვის დიდი მზრუნველობით ეყრდნობოდა დედამისს და არასოდეს ტოვებდა განსაცდელში თავის მეგობრებს, მაგრამ ოჯეის "ანგარიშზე" იყო აგრეთვე არცთუ ისე კარგი დამოკიდებულება პირველ ცოლთან, რომელსაც ოჯეი მამინ გაეყარა, როცა უბედურება შეემთხვა მათ პატარა ქალიშვილს - ეს უკანასკნელი მათი სახლის აუზში დაიხრჩო. სიმპსონმა ნიკოლთან ურთიერთობა 1977 წელს, ჯერ კიდევ ცოლიანმა დაიწყო. 1985 წელს იქორწინეს, 1992-ში დაშორდნენ ერთმანეთს. როგორც ამბობდნენ, მათი ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული იყო. სიმპსონის მკვლელობაში დადანიშნულების შემდეგ ცნობილი გახდა ნიკოლ სიმპსონის მიერ 1989 წელს პოლიციის გამოძახების ფაქტი. მან დარეკა და დახმარება ითხოვა, ვინაიდან ოჯეი ცოლს მოკვლით დაემუქრა. ადგილზე მისულ პოლიციელებს ქალი ნაცემი დახვდა. მოგვიანებით, ცოლმა მოხსნა ბრალდება და სასამართლომ ფეხბურთელს პასუხი ვერ აგებინა. და ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა.

აღამიანი

ორენტელ ჯეიმს სიმპსონი - ამერიკული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი. ამერიკელებს ძალიან უყვართ უცხოელებისთვის მისი და მისთანების ისტორიის მოყოლა. ამით ისინი მიგვახიზნებენ, რომ ამერიკაში ნებისმიერს შეუძლია თავისი ნიჭის წყალობით მწვერვალს მიაღწიოს. სან ფრანცისკოს ლარიბ კვარტალში გაზრდილმა ოჯეიმ, რომელსაც ფეხბურთთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, თავად შექმნა ამერიკული ლეგენდა. ის სუპერვარსკვლავი გახდა.

მაშ ასე, ლოს ანჯელესის პოლიციას უკვე ჰქონდა სიმპსონის აგრესიული ქცევის მაგალითები. ამასთან, ამერიკაში მკვლელობათა დიდ ნაწილს ოჯახური წარმომავლობა აქვს. ამან პოლიციას მანქანაში მისცა სიმპსონზე ეჭვის ალბის საფუძველი, თუმცა საზოგადოებას თავიდან არაფერი შეატყობინეს: ოჯეი ხომ ვარსკვლავი იყო. მაგრამ ბუნებრივია, მკვლელობამ პრესის ყურადღება მიიპყრო და ინფორმაციის გაფორმება თავიდან ვერ აიცილეს. უკვე ისმოდა გაკვირვებული კითხვები: როდის აიყვანენ სიმპსონს? ბევრს გმირის მიმართ სიბრალულის გრძობა გაუჩნდა. ამის შემდეგ კი, მათი ყურადღება ახალი ამბების ყოველდღიური ბლოკის მისამართით გადაერთო.

მასმედია

ამ ისტორიის გასაშუქებლად უამრავი რეპორტაჟი მომზადდა. საღამო მოაზროვნე ადამიანისთვის, ეს აშკარად გადაუმეტებელი რაოდენობა იყო, ამერიკელებისთვის კი, სავსებით საკმარისი, რადგან მათ განსაკუთრებული სიყვარული ახასიათებთ ყველაფერი სკანდალურისა და სენსაციურისადმი, მით უმეტეს, თუ საქმე ცნობილ ადამიანს ეხება. პრესა არაჯანსაღ აუიოტაჟს ქმნიდა. მოკლულების და ეჭვმიტანილის პირადი ცხოვრება, გაცხარებული დებატების საგანი გახდა. ჟურნალები და ტელეკომენტატორები ცოლების ცემის, შერუილი ქორწინებების, პოპულარობის მიმე ჯედრის საკითხებში სპეციალიზირდებოდნენ, ანუ ყველაფერ იმაში, რაც ამ ინციდენტს შიდილებოდა დაკავშირებოდა. პრესის მასალების მიხედვით, ქვეყანას ის უფრო ალელებდა, თუ როგორ ახასიათებდა ეს შემთხვევა ამერიკელებს, როგორც ერს.

სიმპსონი, ყოველთვის კეთილგანწყობილი, მომღიმარი, რომელიც მუდმივად მზად იყო ავტოგრაფის ან ინტერვიუს მისაცემად. არასოდეს ყოფილა ქედმაღალი და ცხვირანული როგორც ეს დღევანდელი ვარსკვლავების შემთხვევაში ხდება. მას შემდეგ, რაც მისი სპორტული კარიერა დასრულდა, სხვა სუპერვარსკვლავებისგან განსხვავებით დებურესია არ ჰქონია. პირიქით, ავტომობილების გამჭირავებელი კომპანის წარმომადგენლის როლში, ის უფრო პოპულარული გახდა.

დაიწყო ეროვნული ემიდგია, სახელოდ ოჯეი: პრაქტიკულად ყველა, იმის მიუხედავად, თვლიდა თუ არა ის სიმპსონს დამნაშავედ, ყველაფერში საზოგადოების დადანიშნულებას ცდილობდა. ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის უამრავი გამოკითხვა, რომელმაც ერთი კანონზომიერება გამოავლინა: თეთრების უმეტესი ნაწილი ოჯეის დამნაშავედ მიიჩნევდა, იმ დროს, როცა ზანგების უმრავლესობას ფეხბურთელის უდანაშაულობა სჯეროდა. კვლავ ნამოყო თავი რასიზმის პრობლემებზე, რომელმაც მოგვიანებით, ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა. ლოს ანჯელესის სასამართლო პანიკამ მოიცვა. სად უნდა ეპოვნათ 12 ნაფიცი მსაჯული, რომლებსაც ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ობიექტური აზრი ექნებოდათ? ამის შანსი არ არსებობდა - ყველას თავისი აზრი გააჩნდა, თანაც უმეტეს შემთხვევაში ეს აზრი პრესის მასობრივი საშუალებების მიერ იყო თავსმოხვეული.

1994 წლის 12 ივნისს, გვიან ღამით ორი ადამიანი მოკლეს. ერთ-ერთი ცნობილი სპორტსმენის, მსახიობისა და მილიონერის, ოჯეი სიმპსონის ყოფილი მეუღლე ნიკოლ ბრაუნ-სიმპსონი იყო. მეორე მისი მეგობარი რონალდ გოლდმანი. პოლიციამ ამ მკვლელობებში სიმპსონი დაადანიშნა. მის ნაცვლად, რომ პოლიციას ჩაბარებოდა, სიმპსონი თავის ძველ მეგობართან ერთად დედასთან სახლში გაიქცა. პოლიცია დისტანციას იკავებდა, რადგან ყოფილ ფეხბურთელს საფეთქელზე პისტოლეტი ჰქონდა მიბჯენილი. მან წერილი დატოვა, რომელშიც თავითმკვლელობით იმუქრებოდა. რამდენიმე საათის შემდეგ, როცა სიმპსონი დედის სახლთან მივიდა, პოლიციამ მისი დაყოლიება შეძლო. ოჯეი მანქანიდან გადმოვიდა და ის მამხინვე დააპატიმრეს. ასეთია მოკლე შინაარსი იმ მოკლევნებისა, რომელიც წინ უძღოდა სასამართლო პროცესს.

მკვლელობა

1994 წლის 12 ივნისს ნიკოლ ბრაუნის ლოს ანჯელესის ცნობილ რესტორანში გახშობდა. მას იქ შემთხვევით სათვალე დარჩა და ოფიციალტმა რონალდ გოლდმანმა პირადად ითავა ნივთის პატრონისთვის დაბრუნება. გოლდმანი ნიკოლის მეგობარი იყო. ზუსტად როდის მოხდა მკვლელობა, ეს სასამართლო გარჩევისას გადაამწყვეტი მომენტი გახდა. ერთი საათით ადრე ან ერთი საათით გვიან - სწორედ ამას უნდა გაერკვიო, ჩაიდინა თუ არა ეს მკვლელობა ოჯეი სიმპსონმა. დანაშაული ნიკოლ სიმპსონის რეზიდენციაში მოხდა. მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით იყო ჩადენილი. ორი ადამიანი დანით გამოასალმეს სიცოცხლეს. ყელის გასწვრივ სამინელი ქრილო-



დევეა

ყველაფერი პოლიციელებისგან უშედეგო გაქცევის შემდეგ შეიცვალა. სინამდვილეში, ეს არასოდეს განუხილავთ, როგორც სიმპსონის მხრიდან გაქცევის მცდელობა. პოლიციას მისი დაჭრა ნებისმიერ მომენტში შეეძლო, მაგრამ ეს იმიტომ არ გააკეთა, რომ დედის დროს, ოჯეი თავის მოკვლას აპირებდა და პოლიციას მისი პროვოცირების შეეშინდა. ისინი ელოდნენ, თუ როდის ჩაბარდებოდა ის პოლიციას. მაგრამ ამის ნაცვლად, სიმპსონმა გაქცევა გადაწყვიტა, მანამდე კი, დედის მონახულება განიზრახა. ოჯეის ძველმა მეგობარმა ელ კოლინზმა, სიმპსონის ჯიბი ყოფილი ფეხბურთელის დედის სახლთან მიიყვანა. ის ძალიან ნელა მიდიოდა და პოლიცია (დი-

მთავარი რედაქტორი თინგიზ ბარჩილაძე

- დირექტორი პაატა ბალაშვილი
- რედაქტორები მამუკა ჩხეიძე, გინა თვალაბაიშვილი
- მართლმწიფი სპორტი ნიკოლოზ ნუშარიძე, პაატა თოთაძე, მერაბ მამულაშვილი, დავით ცაბაძე, ლევან ჯანაშვილი, გინა ტუშაშვილი, ირაკლი თაყაიძე, ვაჟა სიმონიშვილი, ზვიად შათირიშვილი, კობა ხატინაშვილი, ზენიპ ჯანაშვილი
- შტაბის უფროსი შალვა ზიგრაძე, გოტფრიდ ლევიცი, ილია ნიკოლაიშვილი, მერაბ ლორთქიფანიძე, დავით ზუბინიძე, ზურაბ თალაქაძე
- რეგისტრირებული კორესპონდენტები: დავით კოსტანიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძოლიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი ღვარცამულია, ნიკო პაპიაშვილი
- ფოტო: ალექსანდრე კომოდაშვილი, ნუზურ სურიაძე

ტექნიკური რედაქტორი მინილე ჯაში

ტექნიკური რედაქტორი: მანანა აიშიშვილი, ზინა ულიჯანაშვილი, ვასილ სამხარაძე, დავით გვაგუაძე, კობა ბალაშვილი

კორექტორი: ლევა ხომასურიძე, ლევან ზიგრაძე

გაზეთის მისამართი: ვინაიანის რაიონი, ვინაიანის ქუჩა, 46/34/48) ბაქა ბარჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სკოპი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლულუს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76) პრაიმო მახათაძე (1952-53) ირაკლი შულაშვილი (1953-64) ანტონ ბასილაძე (1976-83) არჩილ გომეზი (1984-85) თინგიზ ბარჩილაძე (1985-დან)

დაფუძნებლები: შან ბაჩათი, ლელო, შან სპორტმენი

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი: მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი

ტელეფონი: 99 56 14 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)

ახმატაძის 10, 0159 თბილისი (ფაქსი): 98 23 94 30 97, პირველი სართული, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, 97

ფაქსი: +995 32 46 30 97

e-mail: sport@sport.ge, gazeti_lelo@mail.ru

ინდექსი 66435 INDEX

გამოცემის ყოველწლიური ბარათი